

# **სანიციო სამართალი**

## **შემოსის სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე**  
2014, №11

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2014, №11**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2014, №11**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2014, №11**

## **ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## სანივთო სამართალი

### პირადი უფლებების დაცვა

#### განჩინება

№ას-1378-1300-2012

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 17 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ე. ქ-ემ მოპასუხე ზ. მ-ის მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება მისი პატივისა და ღირსების შელახვის გამო.

სარჩელის თანახმად, 2009 წლის ზაფხულში მოპასუხემ გერმანიაში გამგზავრებისათვის დახმარება თხოვა მოსარჩელეს. ეს უკანასკნელი დაპირდა მოპასუხეს, რომ 10 დღით მიწვევას გაუკეთებდა, მგზავრობის საფასურს გადაუხდიდა და ბილეთებსაც თავად შეუძენდა, რისი ხარჯებიც მოპასუხეს უნდა დაებრუნებინა გერმანიაში ჩასვლის დროს. მოსარჩელემ თავისი დანაპირები შეასრულა. რაც შეეხება მოპასუხეს, იგი ბერლინში 2010 წლის 26 ივნისს ჩავიდა და იქ 10 დღე იცხოვრა. ამ დროის მანძილზე იგი გაეცნო მოსარჩელის კომპიუტერული მონაცემების ბაზას, კერძოდ, გაიგო სად სწავლობდა და ვისთან მუშაობდა იგი. ამის შემდეგ, მოპასუხემ მოსარჩელეს სთხოვა სამსახურის შოვნა, რაც ამ უკანასკნელის შესაძლებლობებს აღემატებოდა და შესაბამისად, მოპასუხემ თხოვნაზე უარი მიიღო. მოსარჩელის მტკიცებით, ამ დროიდან დაიწყო მოპასუხის მხრიდან მისი სახელისა და ღირსების შელახვა, კერძოდ, მოპასუხემ ინტერნეტში ღოუტუბ-ის გვერდზე განათავსა მოსარჩელის პასპორტის ის ადგილი, სადაც მისი ფოტო იყო განთავსებული და ზედ წითელი ასოებით დააწერა „შვაინ“, რაც ქართულად ნიშნავს „ღორს“. ამავდროულად, მოპასუხემ მოსარჩელის ხელმძღვანელს სამსახურში ინტერნეტით მისწერა წერილი, რომელიც ლახავდა მოსარჩელის პატივსა და ღირსებას, მოპასუხემ

მას უწოდა კრიმინალი, არალეგალი და ლორი, ხოლო სამსახურიდან მოსარჩელის გაუთავისუფლებლობის შემთხვევაში მის ხელმძღვანელს ჩივილით და 50000 ევროს ოდენობით დაჯარიმებით დაემუქრა. შედეგად, მოსარჩელე სამსახურიდან გაათავისუფლეს.

მოპასუხებ შესაგებელში განმარტა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტები მისი მხრიდან მოსარჩელის შეურაცხოფის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, პირიქითი, მოსარჩელე თავად უგზავნიდა მას შეურაცხმყოფელ წერილებს. მოპასუხებ აღნიშნა ასევე, რომ მოსარჩელებში მას მართლაც გაუგზავნა ვიზა და დაუჯავშნა ბილეთი, თუმცა აღნიშნული ხარჯები მოსარჩელისათვის ანაზღაურებული ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ე. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიწვევით მოპასუხე 2010 წლის 26 ივნისს ჩავიდა გერმანიაში და დაახლოებით ათი დღე ცხოვრობდა მასთან ბინაში. YouTube-ზე განთავსებული იყო მოსარჩელის პირადი პასპორტის ის ადგილი, სადაც დამაგრებული იყო ფოტო და ენერა „შვაინ“, რაც გერმანულად ნიშნავს ლორს. YouTube-ზე განთავსებული იყო ასევე მოსარჩელის სამსახურის უფროსის მიმართ მუქარა, რომ სამსახურიდან მოსარჩელის გაუთავისუფლებლობის შემთხვევაში, მას დააჯარიმებდნენ 50000 ევროთი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაცია ინტერნეტში მოპასუხებ გაავრცელა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელებ ვერ წარადგინა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია ცილისწამებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ე. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა აპელანტის (მოსარჩელის) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შეურაცხმყოფელი განცხადება ინტერნეტში მოპასუხებ განათავსა, ვინაიდან, მოსარჩე-

ლე სათანადო მტკიცებულებებით ვერ ადასტურებდა მითითებულ გარემოებას. ასევე არ არსებობდა მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ მოსარჩელის პატივის და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანისასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ ზიანის არსებობის დასადგენად საკმარისი არ იყო მხოლოდ იმ გარემოების არსებობა, რომ პირის მიმართ ადგილი ჰქონდა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებას, ვინაიდან აღნიშნული სახის განცხადებას, შედეგად უნდა მოჰყოლოდა პირის პატივის, ღირსების ან/და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ამასთან, ისინი საზოგადოებაში აღქმული უნდა ყოფილიყო, როგორც რეალური, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ ადასტურებდა, კერძოდ, მოსარჩელე ვერ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ინტერნეტში გავრცელებული შეურაცხმყოფელი განცხადებები მოპასუხის მიერ იქნებოდა გავრცელებული, მისმა გავრცელებამ გამოიწვია საზოგადოებაში მოსარჩელის რეპუტაციის დისკრედიტაცია, საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტით დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ქ-ე სამუშაოდან გათავისუფლდა დროებით, პირადი განცხადების საფუძველზე. ამდენად, მის გათავისუფლებას საფუძვლად არ დადებია ინტერნეტის მეშვეობით სამსახურის უფროსისათვის მიწერილი განცხადება. გარდა ამისა, მოპასუხის ახსნა-განმარტებით დაგინდა, რომ ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული განცხადებების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა თავად მოსარჩელის სატელეფონო საუბრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ემ. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

კასატორის მოსაზრებით, მან სასამართლოს მიაწოდა მის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც წათლად მიუთითებდნენ, რომ მოპასუხის ბრალეული მოქმედებებით შეიღახა მისი პატივი და ღირსება. მოპასუხემ, მადლიერების სანაცლოდ, მოსარჩელის

მიმართ უამრავი არასწორი ინფორმაცია მოიგონა. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის დასთან სატელეფონო საუბარში გაუდერებული მუქარა იმ მუქარის იდენტურია, რომელიც მოპასუხემ ინტერნეტით მიწერა მოსარჩელის უფროსს. ამასთან, ინტერნეტით გავრცელებული ყველა შეურაცხმყოფელი გზავნილი გაგზავნილია ქ.თბილისიდან. სასამართლომ არასწორად შეაფასა ასევე მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი, რამდენადაც სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანებაში აღნიშნული მიზეზის მითითების შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ იგი აღიარებდა თავის დანაშაულს და დაჯარიმდებოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ქ. ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერნეტში YouTube-ზე განთავსებულია მოსარჩელის პასპორტის სურათი-ანი გვერდის ასლი, რომელზეც გაკეთებულია წარნერა „შვაინ“, რაც გერმანულად ნიშნავს ლორს. YouTube-ზე განთავსებულია ასევე წერილები მოსარჩელის სამსახურის უფროსის მიმართ, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „ქალბატონი ქ-ე (მოსარჩელე) მუშაობს უკვე 7 წელია სახელფასო გადასახადის გაანგარიშების ბარათის გარეშე, მას უფლება აქვს იმუშაოს მხოლოდ 90 დღის განმავლობაში, ის არის ლორი . . .“, „ქალბატონი ქ-ე არალეგალურად მუშაობს. კრიმინალი უცხოელი გავაგდოთ აფთიაქიდან. ის უკვე 7 წელია აქ მუშაობს. ეს ხომ უკვე კრიმინალია და თქვენ გადაიხდით ჯარიმას 50000 ევროს ოდენობით“.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ინფორმაციის მოპასუხის მიერ ინტერნეტში გავრცელების ფაქტი მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, ვინაიდან მან ვერ წარადგინა აღნიშნული გარემოების დამასტურებელი მტკიცებულებები.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ მოპასუხის მიერ სადაც ინფორმაციის გავრცელების ფაქტს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ განსახილველი დავის მიმართ გამოყენე-

ბულ უნდა იქნეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე კერძო პირს წარმოადგენს მის მიმართ უნდა გავრცელდეს კერძო პირის ცილისნამების სტანდარტი. კერძო პირის ცილისნამებისათვის სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესდებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისნამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა.

მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს შემდეგი:

ა) მოპასუხებ მოსარჩელის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;

ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;

გ) სადავო განცხადება ლახავს მის პატივსა და ლირსებას.

ცილისნამების იურიდიული შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს მოპასუხის მიერ სადავო განცხადების გავრცელება უშუალოდ მოსარჩელის შესახებ. თუ სადავო განცხადება არ არსებობს, მაშინ ცილისნამებაც არ არსებობს. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო განცხადების მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ამონარიდებით ინტერნეტის ვებგვერდიდან, ასევე მოპასუხის სატელეფონო საუბრის ჩანაწერით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან მის მიერ მითითებული მტკიცებულებებით მხოლოდ ის ფაქტი დასტურდება, რომ ინტერნეტის შესაბამის ვებ-გვერდზე ნამდვილად არის გამოქვეყნებული სადავო ინფორმაცია, მაგრამ ამ მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ეს ინფორმაცია მოპასუხებ გაავრცელა. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ასეთი ფაქტის არსებობას უარყოფს, ხოლო ინტერნეტში სადავო განცხადების განთავსების შესაძლებე-

ლობა გააჩნდა არა მხოლოდ მოპასუხეს, არამედ შესაბამის ვებგვერდზე დარეგისტრირებულ წებისმიერ პირს. რაც შეეხება მოპასუხის სატელეფონო საუბრის ჩანაწერს მოსარჩელის დასთან, არც აღნიშნული მტკიცებულება შეიცავს პირდაპირ ან არაპირდაპირ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სადავო განცხადებები მოპასუხებ გაავრცელა. ასევე უსაფუძვლოა კასატორის მითითება სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ ცნობაზე, ვინაიდან სადავო გარემოება არც ამ მტკიცებულებით დასტურდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააგემაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დადგინდა:**

1. ე. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პირადი უფლებების დაცვა

### განერიცხვა

№ას-1332-1258-2012

23 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრიკია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მორალური ზიანის ანაზღაურება, სასამარ-  
თლოს მიერ დადგენილი ფორმით სასამართლოს გადაწყვეტი-  
ლების შესახებ ცნობის გამოქვეყნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ო. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა. ჰ-ის“ მიმართ  
მორალური ზიანის – 50000 ლარის დაკისრებისა და სასამარ-  
თლო გადაწყვეტილების შესახებ სასამართლოს მიერ დადგე-  
ნილი ფორმით ცნობის გამოქვეყნების დავალდებულების მოთ-  
ხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2011 წლის 4 ივნისს გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ დაიბეჭდა  
შურნალისტ დ. ჩ-ის სტატია სათაურით – „ამას რომ ნაიკითხავს  
აბა, ერთი, მაშინ გამოვიდეს ეგ ნაძირალა ო. კ-ე და ხმა ამოი-  
ლოს!“, აღნიშნული სტატიით მოსარჩელეს ცილი დასწამეს პე-  
დოფილობასა და სხვა გარყვნილი ქმედების არასრულწლოვან-  
თა მიმართ ჩადენაში, სტატია არ არის გამყარებული რაიმე მტკი-  
ცებულებებით, გარდა ვინმე კ. ა-ის მიმართ 70-იან წლებში ნარ-  
მოებული სისხლის სამართლის საქმის მასალებისა. ამ სტატიის  
გამოქვეყნების შემდგომ, ამავე გაზეთის სხვა ნომრებში (№27,  
№28, №32, №33) კვლავ გამოქვეყნდა სხვადასხვა სტატიები,  
რომლებიც მოსარჩელის თაობაზე შეიცავდნენ არსებითად  
მცდარ და სახელის გამტეს განცხადებებს და გამოყენებულ იქ-  
ნა ისეთი შეურაცხმოფელი განაცხადი, როგორიცაა ნაძირალა,  
პედოფილი და ა.შ.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-  
რის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა:

ნარმოდგენილი საგაზეთო სტატიებიდან ჩანს, რომ ისინი  
რესპონდენტის ინტერვიუა, შესაბამისად, არც ერთი განცხადე-  
ბის ავტორი შურნალისტი არ არის, რაც შეეხება აზრსა და შეფა-  
სებას, იგი კანონით აბსოლუტური პრივილეგითაა დაცული, რის

გამოც აზრის გამოთქმა სამოქალაქო პასუხისმგებლობას არ იწვევს, მოსარჩევებ შპს „ა. ჰ-ს“ მიმართა განცხადებით, მიენოდებინა მისთვის ინფორმაცია განცხადების გამავრცელებელი პირის თაობაზე, თუმცა უურნალისტს უფლება აქვს, არ გაამულავნოს პროფესიული საიდუმლოება ან ინფორმაციის წყარო. გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 27 ივნისის 26-ე ნომერში გამოქვეყნებულია სტატია ე. ჯ-ან, სადაც რესპონდენტი არ მალავს ვინაობას, სხვა რესპონდენტებისაგან განსხვავებით, მას უურნალისტისაგან მისი პიროვნების გაუმჯღავნებლობა არ მოუთხოვთ, თუმცა ო. კ-ეს, მიუხედავად კანონის დათქმისა, ეს უკანასკნელი მოპასუხედ არ დაუსახელებია, ამავე გაზეთის 27-ე ნომერში ასევე გამოქვეყნებული ჯ. ჩ-ის ინტერვიუ და არც ეს უკანასკნელია დასახელებული მოპასუხედ. სტატიიდან ნათლად იკვეთება, რომ საქმე პოლიტიკურ დებატებს შეეხება, სადაც სტატიები მას შემდეგ გავრცელდა და მიიპყრო საზოგადოების ინტერესი, რაც მოსარჩელებ ერთ-ერთ გაზეთში გააკეთა განცხადება 6. გ-ის, ე. ჯ-ის, ს. ჯ-სა და სხვათა თაობაზე, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული პოლიტიკაში და სწორედ პოლიტიკური განცხადებისა და აქტივობების შედეგია გამოქვეყნებული სტატიების გავრცელება. მოპასუხებ ასევე მიუთითა სარჩელის უსაფუძღლობასა და დაუსაბუთებლობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-ები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით ო. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ა. ჰ-ს“ ო. კ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დაეკისრა 50 000 ლარის გადახდა, შპს „ა. ჰ-ს“ დაევალა გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამ გადაწყვეტილების სრულად გამოქვეყნება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გაზეთ „კვირის ქრონიკა“ იბეჭდება დიდი ტირაჟით და ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ო. კ-ე ცნობილი ქართველი მსახიობია. გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 4 ივლისის ნომერში (№33 (503)), მე-20 გვერდზე უურნალისტ დ. ჩ-ის ავტო-

რობით გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც უურნალისტი ო. კ-ეს ბრალს სდებს ამორალურ და დანაშაულებრივ ქმედებებში, კერძოდ: „...გუნებაში კიდევ არ მჯეროდა, რომ ო. კ-ე ასეთ გარეუნილებას ეწეოდა“; „არქის, რომელზედაც ქალბატონნა მიმითითა, ძანაც არ მინდა, მაგრამ აუცილებლად მივაკითხავ, რადგან ო. კ-ემ ჩემი მრნამსა და ის პოლიტიკური სიმპათია შეძლალა, რომელიც მე სულმნათი ზ. გ-ს მიმართ ყოველთვის მქონდა და და მექნება. დიახ, რა პირით დებდა პედოფილი და ბავშვების გამრყენელი ო. კ-ე...“; „საერთოდ, მიხრნილებაში გადამდგარ კაცთან პაექრობა რომ მინევს, ეს არ არის კარგი საქმე და, ამ თვალსაზრისით, დისკომფორტს აშეკრად ვგრძნობ... მაგრამ რა ვენა, სამართალი უნდა აღსრულდეს!..“ თბილისის საქალაქო სასამართლოს 1977 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით კ. ა-ე არასრულწლოვნების მიმართ გარყვნილი ქმედების ჩადენაში იქნა მსჯავრდებული. არ იქნა გაზიარებული მოპასუხის განმარტება, რომ „გამოქვეყნებული სტატიები უბრალოდ წარმოადგენდა რესპონდენტთა გამონათქვამებს და ამის თაობაზე დ. ჩ-ის შეფასებას. შპს „ა. ჰ-ის“ უურნალისტის არ დაუდასტურებია რაიმე მასში მოთხოვბილი ფაქტი“. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლზე, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის“ მე-19 მუხლზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე და განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე თავისუფალი და ღია დისკუსიების გამართვის საშუალება, იმავდროულად თავად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს და განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, როდესაც საქმე პრესის თავისუფლებას შეეხება. პრესის მთავარი ფუნქცია საზოგადოების საჭირობოთ საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელებაში მდგომარეობს და პრესის მიერ ამ ფუნქციის შეუსრულებლობა, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიღებისა და მასზე თავისი შეხედულების ქონის უფლების წარმევის ტოლფასია. პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს შეხედულებებსა და პრაქტიკზე, რომლის თანახმადაც „უურნალისტი შეიძლება იყოს პროვოკაციული ან გააზვიადოს ფაქტები“, ამასთან, „მიუღებელია უურნალისტის ჩამოერთვას უფლება, გამოხატოს კრიტიკული შეფასებები, მსჯელობები, თუ ვერ შეძლებს მათი ჭეშმარიტების დამტკიცებას“. ევროპული სასამარ-

თლოს აღნიშნული განმარტებები შეეხება პრესის თავისუფლების მაღალი დირექულების შესახებ იდეას და მიიჩნია, რომ ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელების თავისუფლება, შესაძლოა, უფრო მეტადაა საჯარო ინტერესის საგანი, ვიდრე ცალკეული ინდივიდის უფლებების დაცვა, ამასთან, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პრესის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს, თუ არსებობს საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი. პალატის მითითებით, ზემოხსენებული საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განსახილველ საქმეში მოპასუხეს წარმოადგენს პრესა (გაზრი) და სწორედ გაზრიში გამოქვეყნებული გამონათქვამების გამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობა წარმოადგენს განსახილველი დავის საგანს. სადავო განცხადებების (გამონათქვამების) მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი სადავო არ არის, მაგრამ შპს „ა. ჰ-ი“ მიიჩნევს, რომ სადავო სტატიებში მოყვანილი გამონათქვამები წარმოადგენს ავტორის მოსაზრებებს, შეფასებებს და არა ფაქტებზე მითითებას. პალატის განმარტებით, დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს რას წარმოადგენს მოპასუხის მიერ გამოქვეყნებული სტატიების სადავო გამონათქვამები – ფაქტებს თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს). ამ მიმართებით, სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ ცილისნამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. ამდენად, მოსარჩევეს, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხებ უშუალოდ მის შესახებ გავრცელა ფაქტები, რომლებიც არსებითად მცდარი იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. არ იქნა გაზიარებული შპს „ა. ჰ-ის“ წარმომადგენლის პოზიცია, რომ სადავო სტატიებში მითითებული გამონათქვამები მხოლოდ შპს „ა. ჰ-ის“ (უურნალისტ დ. ჩ-ის) მოსაზრებებს წარმოადგენს, ასახავს სუბიექტურ დამოკიდებულებას, სუბიექტურ აზრს და არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას. სასამართლოს განმარტებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ და „ა“ ქვეპუნქტების თანახმად, „ფაქტისა“ და „მოსაზრების“ გამიჯვნა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცილისნამების ცნების განსაზღვრისათვის. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, „ფაქტი“ „შეფასებისაგან“ განსხვავდება, რადგან „შე-

ფასება“ კონსტიტუციით დაცული აზრის გამოხატვაა. გაზეთ „ქვირის ქრონიკის“ 2011 წლის 8-14 აგვისტოს 32-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატიის შესაბამისად, „..პატივცემულო მკითხველო, კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ, არც თქვენი გვარი მაინტერესებს არც სახელი, არც ეროვნება, არც ფოტოსურათი. უბრალოდ მოპრანდით რედაქციაში თუ იცით ამის შესახებ, მიამბეთ ო. კ-ის გარყვნილების ისტორიის დეტალების თაობაზე და მერე წაბრძანდით!.. პირობას გაძლევთ თქვენს ნალაპარაკევს „ქრონიკის“ ყოველ ნომერში უცვლელად დავბეჭდავთ ხოლო თქვენ არანაირი პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ და ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს!.. არ შეგეშინდეთ, მე თქვენი ვინაობა საერთოდ არ მაინტერესებს!.. კ-ეს ისე დაემართა, როგორც ეს ერთ შაირშია ნათქვამი: „მე შაირი არ მინდოდა შენ ამტებე ძალადაო!..“ ხალხს მაგისი ბილნი წარსული თითქმის მივიწყებული ჰქონდა, მაგრამ მ. ს-ის „ერთგულმა ჯარისკაცმა“ არ მოისვენა და აზი ყველაფერი თავის თავს მოკითხოს!..“ იმავე გაზეთის 2011 წლის 15-21 აგვისტოს 33-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატიის შესაბამისად, „...არქივს, რომლის შესახებაც ქალბატონმა მიმითითა, ძაანაც არ მინდა, მაგრამ აუცილებლად მივაკითხავ, რადგან ო. კ-ემ ჩემი მრნამსი და ის პოლიტიკური სიმპათია შებლალა, რომელიც მე სულმნათი ზეიად გამსახურდიას მიმართ მქონდა და მექნება... დიახ, რა პირით დებდა პედოფილი და ბავშვების გამრყენელი ო. კ-ე მამალ ზიოადისტობაზე თავს და რა პირით ბედავდა შ-ის წინააღმდეგ ბრძოლას, როცა შ-ემ გადაარჩინა და ნისკარტი გამოუწმინდა? საერთოდ, მიხრნილობაში გადამდგარ კაცთან პაექრობა რომ მიწევს, ეს არ არის კარგი საქმე და, ამ თვალსაზრისით, დისკომფორტს აშკარად ვგრძნობ, მაგრამ რა ვქნა, როგორც ისტორიკოსსა და უბრალოდ, კარგ მეითხველს, ტვინში სისხლის ჩაქცევამდე მიყვარს ძეველი რომაელები, რომლებიც ამბობდნენ: „ქვეყნიერება რომც დაიქცეს, სამართალი უნდა აღსრულდეს!..“ აი, ო. კ-ის შემთხვევაში, დღეს როგორ უნდა აღსრულდეს სამართალი, ეგ არ ვიცი!..“ სააპელაციო პალატის შეფასებით, მოყვანილი ფრაზები სადაც სტატიის გამრყვნელს „ ბავშვების მოსაზრებებს. აღნიშნული გამონათქვამების ავტორი ჟურნალისტი დ. ჩ-ა, რომელიც ო. კ-ეს მიმართავს როგორც „პედოფილსა“ და „ბავშვების გამრყვნელს“ და პირდაპირ მოუწოდებს, უამბონ „ო. კ-ის გარყვნილების ისტორიის დეტალების თაობაზე“. სადაც გამონათქვამები არ ასახავენ მხოლოდ მათი ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ, რომელსაც არ გააჩნია კონკრეტული ფაქ-

ტების მტკიცების პრეტენზია. სტატიების ავტორის ზემოხსენებული სადავო გამონათქვამები, კერძოდ, პირდაპირი მოწოდება, მიიღოს მეტი ინფორმაცია მოსარჩელის „გარყვნილების ისტორიის დეტალების“ შესახებ, „პავშვების გამრყვნელი“ მოსარჩელის მიმართ „სასამართლის აღსრულების“ პათოსი, პალატის მოსაზრებით, უნდა შეფასდეს სწორედ ფაქტების დამტკიცების მცდელობად. აღნიშნული გამონათქვამები არ წარმოადგენს „აზრს“ (მსჯელობას, თვალსაზრისს), რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგით და გამორიცხავს სამოქალაქო პასუხისმგებლობას. სასამართლომ მიუთითა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც „ო. კ-ე, როგორც ცნობილი მსახიობი, მიჩნეულია საჯარო პირად, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება“ და სასამართლომ მის მიმართ საჯარო პირის ცილისწამების სტანდარტით იხელმძღვანელა. ეს გარემოება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. საჯარო პირის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას აწესებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი, რომელიც მტკიცების ტყირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს, რომ: ა) მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ლირსებას და საქმიან რეპუტაციას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება, რის გამოც მოსარჩელებ სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა ფაქტები, ხოლო ეს ფაქტები არსებითად მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გაზიეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 4-10 ივლისის 27-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია (ამონარიდი სტატიიდან): „...ა-ე იყო ო. კ-ის ძმაკაცი. ესენი მიდიოდნენ ამ მუსიკალურ სასანავლებელში, არასრულნლოვან ბავშვებს ჩაკეტავდნენ ა-ის კაბინეტში და საშინელ გარყვნილებას ეწეოდნენ. ...აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მცირენლოვანთა გარყვნილების მუხლით. თბილისის რომელი რაიონის სასამართლომ განიხილა ეგ საქმე? – მე ასე მახსოვს, რომ ეს კალინინის რაიონის სასამართლომ განიხილა. – როგორი იყო ამ საქმის განაჩენი? – მუსიკალური სკოლის დირექტორი ა-ე დაიჭირეს და თუ არ ვცდები,

სამი თუ ოთხი წელი მისცეს, მაგრამ ამ ნაგავს ყველგან ფესვები ჰქონდა გადგმული, ქვეყანას იცნობდა და კ-ე ამ საქმიდან გამოაძვრინეს.“ ამავე გაზეთის 2011 წლის 15-21 აგვისტოს 33-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია (ამონარიდი სტატიიდან): „...ერთეულთმა ქალბატონმა პირდაპირ მითხრა – ბატონი დ., ეს საქმე 1977 ან 1978 წელს განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ... ო. კ-ე მოწმის სტატუსით დაიკითხა... ისნის რაიონის პოლიციის შენობის მესამე სართულზე არის სასამართლოს არქივი და რომ იკითხო „ა-ის საქმე“, იქ წაიკითხავ ყველაფერს კ-ის „კაი კაცობის“ შესახებ.“ სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ ო. კ-ის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი 1977 წლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ცალსახად დასტურდება, რომ არასრულწლოვნების მიმართ გარყვნილი ქმედებების ბრალდების სუბიექტს ის არ წარმოადგენდა და, რომ განაჩენი გამოტანილია სხვა პირის მიმართ. ო. კ-ე მითითებულ სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობდა არც მოწმისა და არც რაიმე სხვა სტატუსით, რაც, პალატის მოსაზრებით, სათანადო და საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენდა მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ფაქტების მცდარობის დასადასტურებლად. გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობის თაობაზე მოპასუხეს არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოში არ მიუთითებია, აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიმართ ადგილი ჰქონდა ცილისწამებას. გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 4 ივლისის ნომერში (№33 (503)), მე-20 გვერდზე უურნალისტ დ. ჩ-ის ავტორობით გამოქვეყნებული განცხადება შეიცავდა ცილისმწამებლურ ინფორმაციას, კერძოდ, ბრალს სდებდა ო. კ-ეს დანაშაულებრივ და ამორალურ ქმედებებში, პედოფილიაში, უღირსი საქციელის ჩადენაში, რის შედეგადაც ზიანი მიადგა მოსარჩელის ინტერესებს. სასამართლოს განმარტებით, ო. კ-ის მიყენებული ზიანის მაღალ ხარისხს განაპირობებდა ის გარემოება, რომ მოსარჩელის პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალები, მისივე პროფესიიდან გამომდინარე, წარმოადგენდა საჯარო ინტერესის სფეროს, რომლის მიმართაც დიდი იყო საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი, მისი პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალების მიმართ მოპასუხების ზერელე მიღდგომითა და გადაუმოწმებელი, ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებით ილახებოდა მოსარჩელის პატივი და ლირსება და, საბოლოოდ, მას ადგებოდა ზიანი. მოპასუხების სუბიექტური დამოკიდებულება ამ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების მიმართ,

სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის უხეში დაუდევრობა იყო, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ დარღვეული იყო სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით დაცული უფლებები და სარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურებისა და გავრცელებული ინფორმაციის უარყოფის შესახებ საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელე მიყენებული ზიანის კომპენსირებას მოითხოვდა როგორც მორალური ზიანის ანაზღაურებით, ისე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების გზით. მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის სახით 50 000 ლარის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანს წარმოადგენდა, რადგანაც კანონმდებული არ ადგენდა იმ კრიტიკულს, რომლითაც უნდა დადგენილიყო მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები. ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ორიგინალობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყვეტილიყო. პალატამ ამ მიმართებით გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირია, ასევე ის, რომ განცხადება, რომელიც გავრცელდა მოპასუხის მიერ და შეიცავდა ცილისმრამებლურ ინფორმაციას მოსარჩელეზე, დიდი ტირაჟით გამოიცა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა და ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მკითხველისათვის, ამ პირობებში სარჩელით მოთხოვნილი 50 000 ლარი დასაბუთებული და გავრცელებული ფაქტის მიმართ მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი იყო. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების საკითხს კი, პირდაპირ ითვალისწინებდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა. პ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატის განმარტებით, გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ 2011 წლის 4 ივლისს (№33 (503)) მე-20 გვერდზე უურნალისტ დ. ჩ-ისა ავტორობით გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც უურნალისტი კ-ეს ბრალს სდებს ამორალურ და დანაშაულებრივ ქმედებაში. სასამართლოს, ამავდროულად, არ დაუსაბუ-

თებია, უურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატიები რატომ წარმოადგენდა ო.კ-ის ბრალის დადებას. გამოქვეყნებული სტატიები წარმოადგენდა რესპოდენტის გამონათქვამებსა და უურნალისტის შეფასებას (აზრს), თანახმად „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონისა. უურნალისტს სტატიაში მოთხოვნილი რაიმე ფაქტი არ დაუდასტურებია. პალატამ მიუთითა გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 8-14 აგვისტოს 32-ე ნომრიდან და 2011 წლის 15-21 აგვისტოს 33-ე ნომრიდან ამონარიდებზე და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სტატიებიდან მოყვანილი ფრაზები რესპოდენტის მოსაზრებებს არ წარმოადგენდა, აღნიშნული განმარტებების აფტორი უურნალისტია, რომელიც ო.კ-ეს „პედოფილსა“ და „ბავშვების გამრყვნელს“ უწოდებს და მოუწოდებს საზოგადოებას, უამბონ „ო. კ-ის გარყვნილების ისტორიის დეტალების საფუძველზე“. პალატამ ყურადღება მხოლოდ იმ გარემოებაზე გაამახვილა, თუ განმარტებები ვის მიერ იყო გაკეთებული და მას სამართლებრივი შეფასება არ მიუცია იმ გარემოებისათვის, გამონათქვამები რატომ ჩათვალა ფაქტად და არა უურნალისტის მოსაზრებად, რომელიც აბსოლუტური პრივილეგიითაა დაცული და სამოქალაქო პასუხისმგებლობას არ ინვევს. პალატა შეეხო საჯარო პირის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის საკითხს, მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლზე, თუმცა ერთობლიობაში არ შეაფასა საქმის მასალები. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ა-ის საქმეზე მიღებულ განაჩენს, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად, რესპოდენტის მიერ იყო ნახსენები, თუმცა გვერდი აუარა რესპოდენტის მიერვე ხსენებულ სხვა მონაცემებს და ისინი, სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეაფასა, კერძოდ, სასამართლოს არ უმსჯელია, გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 27 ივნისის 26-ე ნომერში გადმოცემული რესპოდენტ ე. ჯ-ის განმარტებაზე და ეს განცხადება არც, როგორც არსებითად მცდარი და მოსარჩელისათვის ზიანის მომტანი გამონათქვამი, არ შეუფასებია, არამედ შეაფასა მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არ შეისწავლა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა მტკიცებულებები.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე დაარღვია კანონი, კერძოდ, არასწორად განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, ამავე კანონის თანახმად, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, რაც, მოცემულ შემთხვევაში, ო. კ-ემ ვერც

ერთი ინსტანციის სასამართლოში სათანადოდ ვერ უზრუნველყო, სადაც სტატიუბთან მიმართებით, ერთადერთი მტკიცებულება, რაც მან წარადგინა, კანონიერ ძალაში შესული ა-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენია, სადაც პირდაპირ და პირადად ო. კ-ე წახსენები არ არის, საყურადღებოა, რომ თავად რესპონდენტი ამ განაჩენის მიმართ განმარტავს, რომ სუბიექტური პრივილეგიის გამო, ო. კ-ე საქმეს ჩამოაშორეს და ყველაფერი ა-ეს გადაეკისრა, ამასთანავე, საქმეში არსებული განაჩენით დასტურდება რესპონდენტის მიერ აღნიშნული გარემოებები საქმის მხარეების, განმხილველი მოსამართლისა და ადვოკატის შესახებ. სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია რესპონდენტის სხვა განმარტებებზე. კასატორმა მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ და „ფ“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნა, რომ სტატიებში არსებულ განმარტებები რესპონდენტთან ინტერვიუს სახითაა წარმოდგენილი, ხოლო უურნალისტის განმარტებები აზრის, შეფასებითი მსჯელობის სახითაა გადმოცემული, ასეთ ვითარებაში კი, როდესაც უურნალისტი კეთილსინდისიერად და ზუსტად გადმოსცემს საჯარო ინტერვის შემცველ ინფორმაციას, მან არ შეიძლება პასუხი აგოს მესამე პირთა განცხადებების გამო. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები, ამასთანავე, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმადაც კველაზე დიდ სირთულეს „ფაქტების გადმოცემისა“ და „შეფასებითი მსჯელობის“ გამიჯვნის საკითხი წარმოადგენს. კასატორმა მიუთითა სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაზე (იერუსალიმი ავსტრიის წინააღმდეგ, 2001; დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ 1997) და განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს შპს „ა. ჰ-ის“ შეფასებითი მსჯელობის გადაჭარბებულად მიჩნევისათვის, მოპასუხის განცხადებები სწორედ შეფასებითი მსჯელობაა, მოსარჩელეზე არა უმიზეზო, პერსონალური თავდასხმა, არამედ რესპონდენტთა ინტერვიუებთან დაკავშირებული აზრია. ცილისნამების განსაზღვრისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სავალდებულოდ მიჩნა ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა, ამ მიმართებით, საინტერესოა ამავე სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ლინგენი აგსტრიის წინააღმდეგ (1986), ობერმდიუ ავსტრიის წინააღმდეგ (1997), დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ (1999).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განჩინებით შპს „ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 1977 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით კ. ა-ე მსჯავრდებულ იქნა არასრულწლოვნების მიმართ გარყენილი ქმედების ჩადენაში. აღნიშნული განაჩენის სუბიექტს არ წარმოადგენდა ო. კ-ე და იგი სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობდა რაიმე სტატუსით.

გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 4 ივლისის (№33 (503)) ნომერში, მე-20 გვერდზე, უურნალისტ დ. ჩ-ის ავტორობით გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ო. კ-ის მიმართ გამოყენებულია შემდეგი შინაარსის ფრაზები: „...გუნდებაში კიდევ არ მჯეროდა, რომ ო. კ-ე ასეთ გარყენილებას ეწეოდა“; „...არქივს, რომლის შესახებაც ქალბატონმა მიმითითა, ძაანაც არ მინდა, მაგრამ აუცილებლად მივაკითხავ, რადგან ო. კ-ემ ჩემი მრნამსი და ის პოლიტიკური სიმპათია შებძლალა, რომელიც მე სულმნათო ზვიად გამსახურდიას მიმართ შეკონდა და შექნება... დიახ, რა პირით დებდა პედოფილი და ბავშვების გამრყვნელი ო. კ-ე მამალ ზვიადისტობაზე თავს და რა პირით ბედავდა შ-ის ნინააღმდეგ ბრძოლას, როცა შ-ემ გადაარჩინა და ნისკარტი გამოუწმინდა? საერთოდ, მიხრნილობაში გადამდგარ კაცთან პაექრობა რომ მინევს, ეს არ არის კარგი საქმე და, ამ თვალსაზრისით, დისკომფორტს აშეარად ვგრძნობ, მაგრამ რა ვქნა, როგორც ისტორიკოსსა და უბრალოდ, კარგ მკითხველს, ტვინში სისხლის ჩაქცევამდე მიყვარს ძველი რომაელები, რომლებიც ამბობდნენ: „ქვეყნიერება რომც დაიქცეს, სამართალი უნდა აღსრულდეს!..“

აი, ო. კ-ის შემთხვევაში, დღეს როგორ უნდა აღსრულდეს სა-მართალი, ეგ არ ვიცი!..“

გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 4-10 ივლისის №27 ნო-მერში, ო. კ-ის მიმართ გამოყენებულია შემდეგი შინაარსის ფრა-ზები: „..ა-ე იყო ო. კ-ის ძმაკაცი. ესენი მიღიოდნენ ამ მუსიკა-ლურ სასწავლებელში, არასრულწლოვან ბავშვებს ჩაეტავდნენ ა-ის კაბინეტში და საშინელ გარყვნილებას ეწეოდნენ. ...აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მცირებლოვანთა გარყვნილების მუხ-ლით. თბილისის რომელი რაიონის სასამართლომ განიხილა ეგ საქმე? – მე ასე მახსოვს, რომ ეს კალინინის რაიონის სასამარ-თლომ განიხილა. – როგორი იყო ამ საქმის განაჩენი? – მუსიკა-ლური სკოლის დირექტორი ა-ე დაიჭირეს და თუ არ ვცდები, სამი თუ ოთხი ნელი მისცეს, მაგრამ ამ ნაგავს ყველგან ფესვე-ბი ჰქონდა გადგმული, ქვეყანას იცნობდა და კ-ე ამ საქმიდან გამოაძრონეს.“

გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 8-14 აგვისტოს №32 ნომერში, ო. კ-ის მიმართ გამოყენებულია შემდეგი შინაარსის ფრაზები: „..პატივცემულო მყითხველო, კიდევ ერთხელ უმორ-ჩილესად გთხოვთ, არც თქვენი გვარი მაინტერესებს არც სახე-ლი, არც ეროვნება, არც ფოტოსურათი. უბრალოდ მობრძანდით რედაქციაში, თუ იცით ამის შესახებ, მიამბეთ ო. კ-ის გარყვნი-ლების ისტორიის დეტალების თაობაზე და მერე წაბრძანდით!. . პირობას გაძლევთ თქვენს ნალაპარაკეეს „ქრონიკის“ ყოველ ნომერში უცვლელად დავბეჭდავთ ხოლო თქვენ არანაირი პა-სუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ და ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს!.. არ შეგეშინდეთ, მე თქვენი ვინაობა საერთოდ არ მა-ინტერესებს!.. კ-ეს ისე დაემართა, როგორც ეს ერთ შაირშია ნათ-ქვაში: „მე შაირი არ მინდოდა შენ ამტეხე ძალადაო!..“ ხალხს მაგისი ბილი ნარსული თითქმის მივიწყებული ჰქონდა, მაგრამ მ. ს-ის „ერთგულმა ჯარისკაცმა“ არ მოისვენა და აწი ყველაფე-რი თავის თავს მოკითხოს!..“

გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2011 წლის 15-21 აგვისტოს №33 ნომერში, ო. კ-ის მიმართ გამოყენებულია შემდეგი შინაარსის ფრაზები: „..ერთ-ერთმა ქალბატონმა პირდაპირ მითხრა – ბა-ტონოდ, ეს საქმე 1977 ან 1978 წელს განიხილა თბილისის საქა-ლაქო სასამართლომ... ო. კ-ე მოწმის სტატუსით დაიკითხა... ის-ნის რაიონის პოლიციის შენობის მესამე სართულზე არის სასა-მართლოს არქივი და რომ იკითხო „ა-ის საქმე“, იქ წაიკითხავ ყველაფერს კ-ის „გაი კაცობას“ შესახებ.“

ო. კ-ე, როგორც ცნობილი მსახიობი, „სიტყვისა და გამოხატ-ვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნები-

სათვის, წარმოადგენს საჯარო პირს.

სადავო გამონათქვამები არ ასახავს ინფორმაციის გამავრცელებლის სუბიექტურ დამოკიდებულებას, სუბიექტურ აზრს ო. კ-ის მიმართ. შპს „ა. ჰ-ის“ უურნალისტს არ დაუდასტურებია სტატიაში მოთხოვნილი ფაქტები. ამასთან, უურნალისტმა გამოიჩინა უხეში დაუდევრობა.

მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ფაქტები მცდარია. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ცილისნამებას, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს – შეიღახა მისი პატივი და ღირსება.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები: მოსარჩელე საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირია; განცხადება შეიცავდა ცილისმნამებლურ ინფორმაციას მოსარჩელეზე; გაზეთი დიდი ტირაჟით გამოიცა, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, გავრცელდა და ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მკითხველისათვის.

საკართველოს სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის, 2004 წლის 24 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, დადგინდა პირის პატივის, ღირსების, პირადი ცხოვ-რების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია. ამასთან, 2004 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომლითაც დაკავიდრდა ისეთი ცნებები, როგორიცაა აზრი და ცილისნამება.

მოსარჩელის განმარტებით, გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ მის შესახებ გამოქვეყნებული სტატიები შეიცავს ცილისმნამებლურ ინფორმაციას, კერძოდ ო.კ-ეს ცილი დასწამეს პედოფილიასა და სხვა გარკვენილი ქმედებების ჩადენაში არასრულწლოვნების მიმართ, რითაც შეიღახა მისი პატივი, ღირსება და რეპუტაცია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავაუნდა გადაწყვდეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალური კანონით.

ვინაიდან მოსარჩელე წარმოადგენს საჯარო პირს, ამიტომ მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო პირის ცილისნამებისათვის გათვალისწინებული სტანდარტი, კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისნამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუ-

ალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხებ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. ამდენად, მითოთებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს. კერძოდ, მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს, რომ: მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადაცო განცხადება; სადაცო განცხადება არ შეესბამება სინამდვილეს, ანუ იგი არსებითად მცდარი ფაქტის შემცველია; განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხებ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა; სადაცო განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტილის, მნიშვნელოვანია პირველ რიგში გაირკვეს, საქმე გვაქვს აზრის გამოხატვასთან თუ ცილისწამებასთან, ვინაიდან კანონით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც წინავას პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათვისუფლებას. კასატორის მოსაზრებით, გამოქვეყნებული სტატიები წარმოადგენს რესპონდენტთა გამონათქვამებს და უურნალისტის შეფასებას (აზრს), შესაბამისად, სახეზეა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სსაფუძვლები.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აზრი განმარტებულია, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, ხოლო იმავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით ცილისწამება, ეს არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამონმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქ-

ტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნანილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებლია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (8 ივნისი, 1986 წელი), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა შემდეგიც: მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუქრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც მოსარჩელის შესახებ გავრცელებული სადავო სტატიები შეიცავს, როგორც შეფასებით, ასევე ფაქტობრივ ელემენტებს. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს გაზრი „კვირის ქრონიკის“ 33-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ჟურნალისტი დ. ჩ-ე ო. კ-ის მიმართ იყენებს შემდეგ გამონათქვამებს: „დიახ, რა პირით დებდა პედოფილი და ბავშვების გამრყვნელი ო. კ-ე მამალ ზვიადისტობაზე თავს და რა პირით ბედავდა შ-ის წინააღმდეგ

ბრძოლას, როცა შემ გადაარჩინა და ნისკარტი გამოუწმინდა?”, ასევე იმავე გაზეთის 27-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც უურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში, ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებს: „..ა-ე იყო ო. კ-ის ძმაკაცი. ესენი მიდიოდნენ ამ მუსიკალურ სასწავლებელში, არასრულწლოვან ბავშვებს ჩაკეტავდნენ ა-ის კაბინეტში და საშინელ გარყვნილებას ეწეოდნენ.“. ორივე საგაზეთო სტატიაში, უურნალისტის მიერ გავრცელებული განცხადებიდან ფაქტების კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს შემდეგ ფრაზებს: „პედოფილი და ბავშვების გამრყვნელი ო. კ-ე“; „ესენი მიდიოდნენ ამ მუსიკალურ სასწავლებელში, არასრულწლოვან ბავშვებს ჩაკეტავდნენ ა-ის კაბინეტში და საშინელ გარყვნილებას ეწეოდნენ.“. აღნიშნული ფრაზები აღნიშნული და მათზე ვრცელდება სისწორისა და ნამდვილობის მტკიცების კრიტერიუმები.

ამდენად, კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სადაც ვო სტატიები შეიცავდა მხოლოდ უურნალისტის შეფასებას (აზრს) და არა ფაქტებზე მითითებას, გაზიარებული ვერ იქნება. რაც შეეხება კასატორის აპელირებას იმასთან დაკავშირებით, რომ სტატიათა უმეტესი ნაწილი რესპონდენტთა გამონათქმებია, რომელსაც არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მედიაში უურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისნამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს გამავრცელებლის მიმართებას მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მცდარბა-ჭეშმარიტებასთან. დაუშვებელია მედიის ნარმომადგენლებს მოეთხოვთ ასი პროცენტით გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა, გონივრულ ფარგლებში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რათა არ მოხდეს დემოკრატიულ ფასეულობათა გაუფასურება. ქცევის ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელია უურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლიბა“, მათ შორის მნიშვნელოვანია უურნალისტი საჭიროების შემთხვევაში გაემიჯნოს რესპონდენტების მიერ გამოთქმულ შე-

ხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რათა წესით თუ ენებ-ლიედ არ გადაიქცეს სიძულვილისა თუ ძალადობის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად. საქმეზე დადგენილი გარემოებები, უფრო მეტად შურნალისტის მხრიდან ამ მოვალეობათა დარღვევაზე მიანიშნებენ, ვიდრე დაცვაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გავრცელებული ფაქტების მცდარობის დასასაბუთებლად მართებულად მიუთითა კანონიერ ძალაში შესულ თბილის საქალაქო სასამართლოს 1977 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, რომლითაც არასრულწლოვნების მიმართ გარყვნილი ქმედების ჩადენაში მსჯავრდებულ იქნა კ. ა-ე, ხოლო ო. კ-ე არანაირი სტატუსით არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დათქმას, რომლის თანახმადაც, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. მოცემულ შემთხვევაში, განაჩენის, როგორც ერთერთი და საკმარისი მტკიცებულების საეჭვოობა საქმის მასალებით არ დგინდება, ხოლო კასატორს ამ კუთხით დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ლირსება გამოხატავს პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებას თვით ამ პიროვნების მიერ, ხოლო პატივი პიროვნული თვისებების შეფასებას საზოგადოების მიერ, ანუ იმას, თუ როგორ აღიქმება პიროვნება საზოგადოების თვალში. სასამართლოს შეფასებით, უნდა დავუშვათ იმის პრეზუმუცია, რომ სადავო ინფორმაციის გავრცელებით შეილახებოდა ნებისმიერი საშუალო ადამიანის პატივი და ლირსება, მით უმეტეს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერაა დადგენილი, ო. კ-ე არის ცნობილი მსახიობი. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხს შეეხებოდა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ლირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია.“ (იხ.სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ამდენად, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პრეტენზია, რომელიც ზიანის

არარსებობის ფაქტს უკავშირდება.

საკასაციო საჩივარი ასევე არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას უურნალისტის დაუდევრობასთან დაკავშირდებით. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ მოპასუხე დაადასტურებდა, რომ ინფორმაცია მიიღო ოფიციალური წყაროებიდან, უურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, უურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამონმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან გადაამონმება დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია გამორიცხული იყო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ანალოგიურ დავებში, ვიდრე ჩარევის თანაზომიერების საკითხი გადაწყდებოდეს, მნიშვნელოვანია გაირკვეს ჩარევის „აუცილებლობის“ საკითხი, ვინაიდან თუ „აუცილებლობა“ არ იქნება დასაბუთებული, არც გამოხატვის შეზღუდვის საფუძველი იარსებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ანალოგიური პრინციპია გატარებული ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ აღნიშნული ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს.

ევროპული სტანდარტების მიხედვით, შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშთოთებელი ინფორმაცია ყველაზე მეტად პრესის თავისუფლებითაა უზრუნველყოფილი. დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ემყარება პლურალიზმისა და შემწყნარებლობის ფასეულობებს, ცალკეულ შემთხვევებში ადამიანებს ავალდებულებს აიტანონ მათთვის მიუღებელი ინფორმაციის მოსმენა. ამასთან, საჯარო პირებთან მიმართებაში „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან მიმართებაში. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება იმდენად არ უნდა გაფართოვდეს, რომ მან დაკარგოს თავისი არსი, რაც სხვათა უფლებების გადაჭარბებულ ხელყოფაში გა-

მოიხატება.

საკასაციონ პალატის მოსაზრებით, როდესაც საქმე გვაქვს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ბალანსის დაცვასთან, მნიშვნელოვანია შეფასდეს ის, თუ ვის მიმართ გავრცელდა შეურაცხმყოფელი განცხადება, რა ფორმით გავრცელდა ინფორმაცია, როგორია კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ზიანი, შეეხება თუ არა გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს, დარღვეულია თუ არა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ და ა.შ.

როგორც განსახილველი საქმის ანალიზიდან ირკვევა, დარღვეულია უურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, გამოხატვა განხორციელდა იმგვარი ფორმით და მანერით, რომ საშუალო მკითხველში აღძრავს მოსარჩევლის მიმართ ზიზღს, მოსარჩევეს წარმოაჩენს, როგორც დამნაშავეს, რომელმაც თავი აარიდა პასუხისმგებლობას, ამასთან, სახეზეა კანონიერი ინტერესის სერიოზული დაზიანება. ამდენად, ის გარემოებები, რომლებიც ჩარევის აუცილებლობას ამართლებენ, საკმარისადა მოცემული.

რაც შეეხება ჩარევის თანაზომიერების საკითხს, ანუ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ხარისხს, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უფლების შეზღუდვა იმდენად დისპროპორციული არ უნდა იყოს, რომ ამას შედეგად მოყვეს გაზეთის ტირაჟის შემცირება, ან კიდევ უფრო მძიმე შედეგი, გაზეთის დახურვამდე მიყვანა. არათანაზომიერების შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში განისაზღვრება. მაგალითად, დაკისრებული ჯარიმისა და კომპენსაციის დიდ ოდენობას დაეფუძნა ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს დასკვნა ჩარევის არათანაზომიერად მიჩნევის თაობაზე, საქმეში KARHUVAAARA AND ILTALEHTI v. FINLAND, რომელიც შეეხებოდა გაზეთის მთავარი რედაქტორის დასჯას პარლამენტის დეპუტატის პირად ცხოვრებაში ჩარევისათვის. ეკროპულმა სასამართლომ მიჩნია, რომ ჯარიმისა და კომპენსაციის დიდი მასშტაბები დეპუტატის პირადი ცხოვრების უფლების არც თუ ისე სერიოზული დარღვევის ფონზე, აშკარად დისპროპორციულ ლონისძიებად უნდა ჩათვლილიყო.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გამოხატვის უფლებაში ჩარევის ხარისხის შემოწმება განეკუთვნება ფაქტის საკითხს, შესაბამისად, სასამართლო, ჩარევის პროპორციულობას ვერ გადაწყვეტს, თუ სახეზე არ იქნება ფაქტები, რომლებიც სასამართლოს ლირებულებათა კონფლიქტში მეტი სიცხადის შეტანაში

დაეხმარება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მოკულებულია შესაძლებლობას განიხილოს კასატორისათვის დაკისრებული თანხის პროპორციულობა, ვინაიდან, საკასაციო საჩივარი ამ კუთხით არ შეიცავს პრეტენზიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკისრის საფუძვლები, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკისრის საფუძვლებს საკასაციო საჩივრს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას კი, საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ჟ ვ ვ ი ტ ა :**

1. შპს „ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკისრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და
2. უცვლელად დარჩეს თბილისს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საცდაზმულობის ვალი სახელშეკრულებო მოთხოვნებზე

## საცდაზმულობის ვალის შეწყვეტა

### განჩინება

№ას-392-371-2013

8 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: თ. ოოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
გ. ალავიძენა

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

### აღნერილობითი ნაწილი:

ც. ბ-ემ, ვ. ნ-მა, მ. ნ-ემ, მ. ჭ-ემ, ქ. ს-ემ, დ. კ-ემ, მ. ე-ემ, ი. წ-მა, მ. გ-ემ, რ. დ-ემ, ნ. ბ-ემ, მ. ლ-ემ, რ. მ-მა, შ. მ-ემ, ლ. ნ-ემ, ნ. ქ-ამ, ვ. კ-ემ, გ. ა-მა, მ. კ-ემ, გ. კ-ემ, მ. ნ-მა, ე. ბ-ემ, მ. მ-ემ, ნ. ფ-ემ, მ. ნ-ემ, მ. კ-მა, გ. მ-მა, ლ. ქ-ემ, მ. გ-ემ, ც. ფ-ემ, ც. გ-მა, ნ. ა-ემ, ც. ა-მა, დ. გ-ემ, რ. ს-ემ, თ. კ-ემ, თ. კ-ემ, ა. კ-ემ, მ. ზ-ემ, ლ. დ-ემ, ნ. ყ-ამ, ლ. ს-ემ, ხ. ყ-მა, ნ. გ-ამ, ე. ღ-ემ, ნ. მ-ემ, ნ. ლ-ემ, ნ. ა-მა, ე. გ-მა, ი. გ-მა, ა. კ-ემ, ზ. ც-ემ, ფ. ს-ემ, ნ. გ-მა, მ. ჭ-ემ, მ. გ-ემ, თ. გ-ემ, მ. შ-მა, ლ. გ-მა, მ. შ-მა, მ. კ-ამ, გ. კ-ემ, მ. კ-ემ, მ. ხ-ემ, თ. ჭ-ემ, ნ. ზ-ემ, ნ. მ-მა და ს. მ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „ზ. რ. ც. პ-ის“ მიმართ და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოითხოვეს შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელე-ები 10 წელზე მეტია რაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე საზოგადოებაში იყვნენ დასაქმებულნი და გასამრჯელოს სატარიფე (საათობრივი) განაკვეთისა და გამომუშავების ფორმით იღებდნენ. დამსაქმებელი საზოგადოების მხრიდან ხელფასების გადახდის გაფიანურების მიუხედავად, მათ მიუღებელი ხელფასი სასამართლო წესით არ მოუთხოვიათ, რადგანაც ადმინისტრაცია ვალის ეტაპობრივად გასტუმრებას მუდმივად ჰპირდებოდა. რეორგანიზაციის გამო შპს-მ მოსარჩელე-ებთან ხელშეკრულებები ისე შეწყვიტა, რომ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანებები არ გამოუცია. მოსარჩელებს ერთი თვის ხელფასი როგორც კომპენსაცია არ ანაზღაურებიათ.

მოპასუხე სარჩელი ცნო 2011 წლის სექტემბრის თვის ხელ-

ფასის და ერთი თვის შრომის ანაზრაურების (კომპენსაციის) ნაწილში, ხოლო 2001, 2002, 2003 წლის გაუცემელ ხელფასებზე განმარტა, რომ მართალია ეს ხელფასები მოსარჩელეებს არ მიუღიათ, მაგრამ ამ ეტაპზე მოთხოვნა ხანდაზმულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მესამე პირის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2011 წლის სექტემბრის თვის ხელფასის და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) ნაწილში მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის გამო მოთხოვნას მხარს უჭერს, რაც შეეხება 2001, 2002, 2003 წლის გაუცემელ ხელფასებს, მიაჩინა, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ც. ბ-ის, ვ. ნ-ის, მ. ნ-ის, ქ. ს-ის, დ. კ-ის, მ. ე-ის, ი. წ-ის, მ. გ-ის, რ. დ-ის, ნ. ბ-ის, მ. ლ-ის, რ. მ-ის, შ. მ-ის, ლ. ნ-ის, ნ. ქ-ას, ვ. კ-ის, გ. ა-ის, მ. კ-ის, გ. კ-ის, მ. ნ-ის, ე. ბ-ის, მ. მ-ის, ნ. ფ-ის, მ. ნ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, ლ. ქ-ის, მ. გ-ის, ც. ფ-ის, ც. გ-ის, ნ. ა-ის, ც. ა-ის, დ. გ-ის, რ. ს-ის, თ. კ-ის, თ. კ-ის, ა. კ-ის, ლ. დ-ის, ნ. ყ-ას, ხ. ყ-ის, ნ. გ-ას, ე. ლ-ის, ნ. მ-ის, ნ. ლ-ის, ნ. ა-ის, ე. გ-ის, ი. გ-ის, ა. კ-ის, ზ. ც-ის, ფ. ს-ის, ნ. გ-ის, მ. ჭ-ის, მ. გ-ის, მ. გ-ის, ნ. შ-ის, ლ. გ-ის, მ. შ-ის, მ. კ-ას, გ. კ-ის, მ. კ-ის, მ. ხ-ის, ნ. ზ-ის, ნ. მ-ის, ს. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „ზ. რ. ც. პ-ას“ გადასახდელად დაეკისრა:

1. ც. ბ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 12,3 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 12,3 ლარის გადახდა.

2. ვ. ნ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 57,5 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 57,5 ლარის გადახდა.

3. მ. ნ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 7,9 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 7,9 ლარის გადახდა.

4. ქ. ს-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 15,65 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 15,65 ლარის გადახდა.

5. დ. კ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 18,61 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 18,61 ლარის გადახდა.

6. მ. ე-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 29,38 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 29,38 ლარის გადახდა.

7. ი. წ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის

– 2,53 ლარისა და ერთი თვეს შრომის ანაზღაურების (კომპენ-საციის) – 2,53 ლარის გადახდა.

8. მ. გ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 13,75 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 13,75 ლარის გადახდა.

9. რ. დ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 79,83 ლარისა და ერთი თვეს შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 79,83 ლარის გადახდა.

10. 6. ბ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 15,99 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 15,99 ლარის გადახდა.

11. მ. ლ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის-52,54 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპ-პრენსაციის) – 52,54 ლარის გათახა.

12. ន. ៨-ឯស សាសារក្រប់លពណ៌, 2011 នៅក្នុង សេវកម្មបំរិត នៃ ក្រសួង -  
សាធារណការ គឺ 187,87 លានរៀល ដែល ត្រូវបាន បញ្ជាក់ ជាប្រាក់ ក្នុង ការបង់ប្រាក់  
ក្នុង ការបង់ប្រាក់ ក្នុង ការបង់ប្រាក់ ក្នុង ការបង់ប្រាក់ ក្នុង ការបង់ប្រាក់

13. მ. მ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 43,22 ლარისა და ერთი თვეს შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 43,22 ლარის გადახდა.

14. ლ. ნ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 33,45 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპ-პრენსაციის) – 33,45 ლარის გათახბა.

15. 6. ქ-ას სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 11,84 ლარისა, ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 11,84 ლარის გადახდა.

16. ვ. კ-ის სასარგებლობ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 137,99 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპ-პრენსაციის) – 137,99 ლარის გადახდა.

17. გ. ა-ის სასარგებლოვ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 79,79 ლარისა ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 79,79 ლარის გადახდა.

18. მ. კ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 38,4 ლარისა და ერთი თვეის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 38,4 ლარის გადახდა.

19. გ. კ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 196,8 ლარისა და ერთი თვეს შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 196,8 ლარის გადახდა.

20. გ. ნ-ის სასარგებლობა, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 40,3 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 40,3 ლარის გადახდა.







62. 6. ზ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 51,44 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 51,44 ლარის გადახდა.

63. 6. მ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 42,34 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 42,34 ლარის გადახდა.

64. ს. მ-ის სასარგებლოდ, 2011 წლის სექტემბრის ხელფასის – 308,36 ლარისა და ერთი თვის შრომის ანაზღაურების (კომპენსაციის) – 308,36 ლარის გადახდა.

მოსარჩელების მოთხოვნა – 2001, 2002 და 2003 წლის მიუღებელი ხელფასების ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლისა და 28 მარტის განჩინებებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: რაიონულმა სასამართლომ სავსებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტებს, მართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლას და 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და სწორად მიიჩნია სარჩელი ხანდაზმულად. პალატამ არ გაიზიარა პელანტების პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარე მუდმივად აღიარებდა ვალდებულების არსებობას და ამით ხანდაზმულობის ვადა წყდებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, კი სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოქავს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის ნინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლ??????., რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ არის გარიგება. პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული „მოთხოვნის არსებობის აღიარება“

არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სა-მართლებრივი ურთიერთობის – ხანდაზმულობის შეწყვეტისა-კენ. ამიტომ, ამ ნორმით გათვალისწინებული ნების გამოვლენა გარიგებაა. აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დე-ნას წყვეტს ნების მხოლოდ ისეთი გამოვლენა, რომლიდანაც ხათლად დგინდება, რომ მოვალე უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს ვალდებულების არსებობას და მზად არის იგი შეას-რულოს. ამავდროულად, ხანდაზმულობას წყვეტს მხოლოდ ის აღიარება, რომელიც ხანდაზმულობის ვადის ფარგლებშია – უკ-ვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა შეუძლე-ბელია. ვალდებულების არსებობის, კანონით დადგენილი წესით, აღიარება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ წარმოშობს ახალ ვალდებულებას, თუმცა უკვე გასული ხანდაზმულობის ვადას იგი ვერ აღადგენს და, მითუმეტეს, ვერ შეწყვეტს. ამის გამო, აპელანტთა პოზიცია დასაბუთებული იქნებოდა, თუ ისი-ნი წარმოადგენდნენ იმის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომ ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, ე.ი. 2007 წლამდე მო-წინააღმდეგე მხარე უპირობოდ იღებდა ვალდებულებას გადა-ეხადა მათთვის სახელფასო დავალიანება.

აპელანტთა შუამდგომლობით შპს „ზ. რ. ც. პ-ან“ გამოხო-ვილ საბუთებში არის ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილია, მხო-ლოდ, აპელანტთა მიერ მიუღებელი ხელფასის ოდენობა. პალა-ტამ მიიჩნია, რომ სანარმომ დააფიქსირა მოთხოვნა, რომელიც თავისთავად, არ ნიშნავს მისი გადახდის ვალდებულების აღია-რებას. ხანდაზმულობის შინაარსიც სწორედ ისაა, რომ, ამ დროს, მოვალე კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს ვალდებულების არსებობას, მაგრამ მის შესრულებაზე უარს აცხადებს ვადის გასვლის გამო. ამის გამო, ზემოხსენებული ცხრილით აპელან-ტთა პოზიცია არ დასტურდება. აპელანტების მოთხოვნას, რა-საკვირველია, არ ამტკიცებს მათი დანიშვნისა და გათავისუფ-ლების ბრძანებები და საგადასახადო შედარების აქტი; მინიშ-ვნელოვანია, რომ შედარების აქტი მოიცავს არა 2001-2003 წლე-ბის, არამედ 2012 წლის 2 იანვრიდან 2012 წლის 17 სექტემბრამ-დე საანგარიშო ჰერიოდში წარმოშობილ საგადასახადო ვალდე-ბულებებს. ამიტომ, ამ აქტში დაფიქსირებული მონაცემები გან-სახილველ საქმესთან შემხებლობაში არ არის. თავიანთი მოთ-ხოვნის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები აპელანტებს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარუდგენიათ. სააპე-ლაციო სასამართლოში აპელანტებმა წარმოადგინეს საწარმოს ყოფილი დირექტორის, ს. მ-ის ახსნა-განმარტება, სადაც იგი აღ-ნიშნავს, რომ ადმინისტრაცია აპელანტებს ჰპირდებოდა ხელ-

ფასის ანაზღაურებას „ეკონომიკის სამინისტროდან ჩამორიცხვისთანავე“.

პალატამ აღნიშნა, რომ ს. მ-ე იყო აპელანტების საპროცესო თანამონაწილე – თანამოსარჩელე. ამიტომ, სინამდვილეში, ზემოხსენებული მტკიცებულება არა მოწმის ჩვენება ან წერილობითი მტკიცებულება, არამედ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება. მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება კი პალატას, მოცემულ შემთხვევაში, არ მიაჩნია საკმარის მტკიცებულებად მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. გარდა ამისა, აპელანტებმა სააპელაციო საჩივარს დაურთეს ზესტაფონის რაონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის, მსგავს საქმეზე გამოტანილი, გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მე-2 და 3.2.1. პუნქტებში კი მითითებულია, რომ შპს „ზ. რ. ც. პ-ა“ სულაც არ იღებდა აპელანტთა სასარგებლოდ გადახდის ვალდებულებას და მიაჩნდა, რომ მის ასანაზღაურებლად მუშაკებს უზნდა მიემართათ სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტოსათვის. აქედან გამომდინარე, მხარის ახსნა-განმარტება ეწინააღმდეგება წერილობით მტკიცებულებაში დაფიქსირებულ ფაქტებს. ამის გამო, პალატამ იგი არასარწმუნოდ მიიჩნია. ს. მ-ეს არ განუმარტავს, რომ სანარმო 2007 წლამდე, უპირობოდ, იღებდა ვალდებულებას გადაეხადა მუშაკთათვის სახელფასო დავალიანება. ამის გამო, ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტები, დადასტურების შემთხვევაშიც, ვერ შეწყვეტდა ხანდაზმულობის ვადის დენას.

აპელანტებმა პალატას წარმუდგინეს სასამართლოს მიერ მსგავს საქმეზე გამოტანილი 2009 წლის 27 მაისის გადახდის ბრძანება და 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ შპს „ზ. რ. ც. პ-ას“, მათ შორის, აპელანტების, ლ. ქ-სა და თ. კ-ის სასარგებლოდ დაკისრა 2001-2003 წლებში მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. პალატამ აღნიშნა, რომ გადახდის ბრძანების გამოტანის დროისათვის მოქმედი რედაქციით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადახდის ბრძანების გამოტანის დროს სასამართლო არ ამოწმებდა, ჰქონდა თუ არა განმუხადებელს აღძრული მოთხოვნის უფლებას.

ზემოხსენებული გადახდის ბრძანებით იმის დადგენა, აღიარებდა თუ არა სანარმო კრედიტორთა მიმართ ვალდებულების არსებობას, შეუძლებელია. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მოვალე უფლებამოსილია და

არა ვალდებული უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს. ეს ნიშნავს, რომ თუ მხარე არ ისარგებლებს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილებით, არ მიუთითებს მოთხოვნის ხანდამულობაზე და, ამ მოტივით, არ განაცხადებს უარს ვალდებულების შესრულებაზე, სასამართლო ამ ფაქტზე ვერ იმსჯელებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 თებერვლისა და 28 მარტის განჩინებები საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. კ-ემ, თ. კ-ემ, ლ. ქ-ემ, ც. ბ-ემ და სხვებმა შემდეგ გარემონებათა გამო: მოპასუხის მიერ დარღვეული იქნა შრომის კანონმდებლობა. სარჩელი დაკმაყოფილების საფუძველი იყო ის გარემოება, რომ მოპასუხე სახელფასო დავალანებებს აღიარებდა და ეტაპობრივად ანაზრაურებდა მას. აღნიშნულს ადასტურებს კასატორების მიერ სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებები. სარჩელი არასწორად იქნა მიჩნეული ხანდაზმულად. მოპასუხე წერილობით აღიარებდა ვალს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიჩნევს, რომ ა. კ-ის, თ. კ-ის, ლ. ქ-ის, ც. ბ-სა და სხვათა საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემონებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს

დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 30 სექტემბრამდე აპელანტები მუშაობდნენ შპს „ზ. რ. ც. ს-ი“. მათ 2001-2003 წლების ხელფასი არ აუღიათ. შპს „ზ. რ. ც. პ-ი“ გამოთხოვილ საბუთებში არის ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილია მხოლოდ აპელანტთა მიერ მიუღებელი ხელფასის ოდენობა. სააპელაციო სასამართლოში აპელანტებმა წარმოადგინეს სანარმოს ყოფილი დირექტორის, ს. მ-ის ახსნა-განმარტება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია აპელანტებს ჰპირდებოდა ხელფასის ანაზღაურებას „ეკონომიკის სამინისტროდან ჩამორიცხვისთანავე“.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტების პოზიცია იმის თაობაზე, რომ მონინააღმდეგე მხარე მუდმივად აღიარებდა ვალდებულების არსებობას და ამით ხანდაზმულობის ვადა წყდებოდა. სანარმომ დააფიქსირა მოთხოვნა, რომელიც, თავისთავად, არ ნიშნავს მისი გადახდის ვალდებულების აღიარებას. რაც შეეხბა, ს. მ-ის ახსნა-განმარტებას, პალატამ მიიჩნია, რომ მას არ განუმარტავს, რომ სანარმო 2007 წლამდე უპირობოდ იღებდა ვალდებულებას, გადაეხადა მუშაკთათვის სახელფასო დავალიანება. აქედან გამომდინარე, ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტები, დადასტურების შემთხვევაშიც, ვერ შეწყვეტდა ხანდაზმულობის ვადის დენას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სადაცო, არის თუ არა მოსარჩელეების მოთხოვნა 2001-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმული და საქმეში არსებული მტკიცებულებები, სახელდობრ, შპს „ზ. რ. ც. პ-ის“ ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილია მოსარჩელეთა მიუღებელი ხელფასების რაოდენობა, წარმოადგენს თუ არა მოპასუხის მხრიდან ვალის აღიარებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა საქმეში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები შეფასდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლებით განსაზღვრული წესის მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მტკიცებულებებს სასამარ-

თლოს წარუდგენენ მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით კი, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, როს შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

საკასაციო სასამართლო ზემოდასახელებული მუხლების გათვალისწინებით აფასებს რა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, შპს „ზ. რ. ც. პ-ის“ ცხრილს, მას 341-ე მუხლის თანახმად, ვალის აღიარების დოკუმენტად ვერ მიიჩნევს. ამასთან, პალატა სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე, 137-ე და მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ მოსარჩელეების მოთხოვნა 2001-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულია, შემდეგი სამართლებრივი დასაბუთების საფუძველზე:

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დრინა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის ნარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

ზემოდასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილე-

**ბელია წერილობითი აღიარება.**

მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ახალ მოთხოვნას ქმნის. ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადაცობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. თუ მსარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან, ა. კ-ის, თ. კ-ის, ლ. ქ-ის, ც. ბ-სა და სხვათა სასარჩელო მოთხოვნას 2001-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება წარმოადგენდა, მათ უნდა წარმოედგინათ ხანდაზმულობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც, არ განუხორციელებიათ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სარჩელის დაქმაყოფილების ერთ-ერთი წინაპირობა იქნებოდა, თუ მოსარჩელები წარმოადგენდნენ მოპასუხის მიერ ვალის არსებობის აღიარების დოკუმენტს. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით რეგულირდება ვალის არსებობის აღიარებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელიც წარმოადგენს ცალმხრივ და აბსტრაქტულ ხელშეკრულებას, რომლის დადებას მოეთხოვება წერილობითი ფორმის დაცვა და, შესაბამისად, მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღება. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ბუღალტრული ან სხვა თვალსაზრისით და რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის შესახებ ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ამგვარი აქტი ახალ ხელშეკრულებას არ წარმოად-

გენს. ამ შემთხვევაში ესაა ძველი ხელშეკრულების ფარგლებში განხორცილებული გარკვეული მოქმედება და იგი ვერ გამოიწვევს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

მოცემულ შემთხვევაში, არც შპს „ზ. რ. ც. პ-ის“ ცხრილი და არც სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ს. მ-ის ახსნა-განმარტება, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებულ ცხრილში მითითებულია მხოლოდ მოსარჩელეთა აუდებელი ხელფასების ოდენობა. ამასთან, ახსნა-განმარტებით არ დგინდება, რომ ს.მ-ე, როგორც სადაც პერიოდში მოპასუხის დირექტორი, იღებდა სამომავლოდ ვალდებულების შესრულების მოვალეობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც, საკასაციო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. კ-ის, თ. კ-ის, ლ. ქ-ის, ც. ბ-ის, ვ. ნ-ის, მ. ნ-ის, ქ. ს-ის, დ. კ-ის, მ. ე-ის, ი. წ-ის, მ. გ-ის, რ. დ-ის, ნ. ბ-ის, მ-ი ლ-ის, რ. მ-ის, შ. მ-ის, ლ. ნ-ის, ნ. ქ-ას, ვ. კ-ის, გ. ა-ის, მ. კ-ის, გ. კ-ის, მ. ნ-ის, ე. ბ-ის, მ. მ-ის, ნ. ფ-ის, მ. ნ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, ლ. ქ-ის, მ. გ-ის, ც. ფ-ის, ც. გ-ის, ნ. ა-ის, ც. ა-ის, დ. გ-ის, რ. ს-ის, თ. კ-ის, თ. კ-ის, ა. კ-ის, ლ. დ-ის, ნ. ყ-ას, ხ. ყ-ის, ნ. გ-ას, ე. ღ-ის, ნ. მ-ის, ნ. ლ-ის, ნ. ა-ის, ე. გ-ის, ი. გ-ის, ა. კ-ის, ზ. ც-ის, ფ. ს-ის, ნ. გ-ის, მ. ჭ-ის, მ. გ-ის, მ. გ-ის, ნ. შ-ის, ლ. გ-ის, მ. შ-ის, მ. კ-ას, გ. კ-ის, მ. კ-ის, მ. ხ-ის, ნ. ზ-ის, ნ. ბ-ის, ს. მ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

კასატორები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ცვლილებების შეტანა მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში**

### **გადაცევის შეტანა საკართველოს სახელით**

№ას-1648-1545-2012

6 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე**

**დავის საგანი:** მინის ნაკვეთის საკადასატრო აზომვით ნა-  
ხაზში ცვლილების შეტანა

#### **აღნიშვნის ნაწილი:**

შ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ეკო-  
ნომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მესამე პი-  
რის ინდენტარმე მ. ა-ის – „კ-ს“ წინააღმდეგ და მოითხოვა, სა-  
ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინის-  
ტროს დაევალოს, შეიტანოს ცვლილება მისი დაკვეთით ინდ. მე-  
ნარმე „კ-ს“ მიერ ქ. ახალქალაქში, ძ-ის ქ. №2-ში მდებარე არა-  
სასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწაზე 2011 წელს შედ-  
გენილ მინის ნაკვეთის საკადასატრო აზომვით ნახაზში (სარე-  
გისტრაციო ზონა 63, სექტორი 18, კვარტალი – 04, ნაკვეთი 181),  
შ. ა-ის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების გადაფარვის  
ფარგლებში. მოსარჩელის აზრით, სადაც 599 კვ.მ მინის ნაკვე-  
თი წარმოადგენს მის საკუთრებას, რომელიც ახალქალაქის სა-  
ქალაქო საბჭოს მშრომელ დეპუტატთა აღკომის 1992 წლის 29  
დეკემბრის № 187 გადაწყვეტილებით გამოყო ინდივიდუალუ-  
რი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და წარმოადგენს  
საკარმიდამი მინის ნაკვეთს.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვი-  
თარების სამინისტროს წარმომადგენელმა მ. პ-ემ სარჩელი არ  
ცნო და განმარტა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა  
კაბინეტის 1992 წლის 5 მარტის №268 დადგენილებით საერ-  
თოდ აკრძალული იყო სახელმწიფო ქონების გასხვისება ან იჯა-  
რით გადაცემა, ან უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ქონების მარ-  
თვის კომიტეტის თანხმობა და ახალქალაქის საქალაქო საბჭოს  
მშრომელ დეპუტატთა აღკომის 1992 წლის 29 დეკემბრის № 187

გადაწყვეტილებით შ. ა-ის მინის გამოყოფისის შესაბამისი თანხმობა არ არსებობდა. ამასთან, მოპასუხის აზრით, შ. ა-ის გამოყოფილი მინის ნაკვეთი არ წარმოადგენს საკარმიდამო მინის ნაკვეთს, ვინაიდან საკარმიდამოდ მინის ნაკვეთი გამოიყოფა ერთ ადგილზე და არა რამოდენიმე ადგილას

მესამე პირმა ინდმენარმე მ. ა-მა განმარტა, რომ მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე პასუხისმგებელია მინის ნაკვეთის მესაკუთრე. ახალქალაქის ვეტსადგურის უფროსის შეკვეთით შეადგინა მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელმაც (უფროსმა) თავად მიუთითა მინის ნაკვეთის საზღვრების მონაცემები და მის მიერ მითითებული საზღვრების მიხედვით შეადგინა მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით შ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა, შეეტანა ცელილება მისი დაკვეთით ინდმენარმე „კ. დ-ს“ მიერ ქ. ახალქალაქში ძ-ის ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინაზე 2011 წელს შედგენილ მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში (სარეგისტრაციო ზონა 63, სექტორი 18, კვარტალი – 04, ნაკვეთი 181), შ. ა-ის საკუთრებაში არსებულ 39 კვ.მ მინის ნაკვეთის (მდებარე შ. ა-ის საცხოვრებელი სახლის უკანა მხარეს, უშუალოდ გვერდით) გადაფარვის ფარგლებში. დარჩენილი 560 კვ.მ (სამი ნაკვეთის) გადაფარვის ფარგლებში შ. ა-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

შ. ა-მა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცელებმ) სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინებით შ. ა-სა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სააპელაციო სა-

ჩივრები არ დაკმაყოფილდა.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ახალქალაქის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1992 წლის 29 დეკემბრის №187 გადაწყვეტილებით შ. ა-ს ახალქალაქის ვეტ-სადგურის ტერიტორიიდან გამოყენ 0.08 ჰა მიწა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

შენებლობის პროექტის მიხედვით, გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე შ. ა-მა 1993 წელს საცხოვრებელი სახლი ააშენა 201 კვ.მ. ფართზე.

2011 წლის 22 ივნისიდან ქ. ახალქალაქში, ძ-ის ქ.№2ბ-ში მდებარე 201.00 კვ.მ მიწა და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი) საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია შ. ა-ის საკუთრებად. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია ახალქალაქის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1992 წლის 29 დეკემბრის №187 გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ საჯარო რეესტრში შ. ა-ს უარი უთხრა სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დარჩენილი ფართის (599 კვ.მ.) საკუთრებაში დარეგისტრირებაზე, რადგან ეს ფართი საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით ინდ. მეწარმე შ. ა-ი – „კ-დს“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე სახელმწიფოს სახელზე იყო რეგისტრირებული.

ახალქალაქის ვეტსადგურის ტექპასპორტით დადგენილია, რომ თავდაპირველად ვეტ.სადგურის სარგებლობაში იყო 4732,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მათ შორის, სადავო მიწის ნაკვეთიც.

ახალქალაქის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1992 წლის 29 დეკემბრის №187 გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული გამოყოფილი მიწის ნაკვეთის კონკრეტული საზღვრები, ხოლო მშენებლობის პროექტში აღნიშნულია 4 ცალკ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოშორებით არსებული ნაკვეთი.

ქ. ახალქალაქი ძ-ის ქ. №2ბ საცხოვრებელი სახლის 1995 წლის ტექნიკური პასპორტის მიხედვით, ახალქალაქის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში შ. ა-ის სახელზე რეგისტრირებულია 800 კვ.მ – მათ შორის განაშენიანების ფართი 151.9 კვ.მ.; მიწის ნაკვეთის გეგმის მიხედვით, ასევე დასტურდება, რომ ეს ფართი შედგება ერთმანეთისაგან დაცილებული და დამოუკიდებელი ოთხი ნაკვეთისაგან, რომელთაგან მხოლოდ ერთზე მდებარეობს საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობა.

იმავე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში, ახალქალაქის ვეტერინარიის სადგურზე რეგისტრირებული დარჩა 4732,4 კვ.მ,

რომელშიც ასევე შედის ზემოთ აღნიშნული შ. ა-ის 800 კვ.მ. მინის ნაკვეთი.

ახალქალაქის ვეტსადგური სახელმწიფო დაწესებულება იყო, შესაბამისად, მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა.

პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მინასთან დაკავშირებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგებული იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიწის კოდექსით, რომელიც ამოქმედდა 1971 წლის 1 ნოემბრიდან. მიწის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, მინა წარმოადგენდა განსაკუთრებულ სახელმწიფო საკუთრებას და იგი გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, მინა სარგებლობისათვის მიეცემოდათ სსსრ-ის კავშირის მოქალაქეებს.

მიწის კოდექსით განსაზღვრული იყო მიწის სარგებლობისათვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემის უფლება ჰქონდათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების მუდმივ ან დროებით სარგებლობაში – ქალაქის, დაბების მიწებიდან. ამდენად, პალატამ არ გაიზიარა შ. ა-ის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 1995 წლიდან შ. ა-ი წარმოადგენდა ტექბიუროში მის სახელზე რეგისტრირებული 800 კვ.მ. მიწის ფართის მესაკუთრეს, რაც ცხადყოფს, რომ შ. ა-ი იყო ამ მიწის ნაკვეთის მოსარგებლე და არა მესაკუთრე.

ადგილზე დათვალიერების ოქმით დადგინდა, რომ ვეტსადგურის ტერიტორია შემოღობილია გარეთა საერთო ღობით. შ. ა-ის სარგებლობაში არსებული სამი ნაკვეთი შემოღობილია ცალკე შიდა ღობით, ხოლო შ. ა-ის სარგებლობაში არსებულ მეოთხე ნაკვეთზე აშენებულია საცხოვრებელი სახლი. აღნიშული მინის ნაკვეთები მდებარეობს ერთმანეთისაგან ცალკე-ცალკე და საცხოვრებელი სახლისაგან მოშორებით, ამასთან, მიწის 39 კვ.მ ნაკვეთი, რომელიც არ შედის შ. ა-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ 201 კვ.მ ფართში, მდებარეობს შ. ა-ის საცხოვრებელი სახლის უკანა მხარეს (უშუალოდ გვერდით). ამ სადაც 39 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აშენებულია დამხმარე ნაგებობა, რომელიც ეკუთვნის შ. ა-ს.

პალატის აზრით, მართებული იყო სასამართლოს მითითება, რომ, ვინაიდან სადაც მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით

599 კვ.მ ტექინვენტარიზაციის ბიუროში აღრიცხული იყო, როგორც შ. ა-ზე, ასევე ვეტ. სადგურზე (სახელმწიფოს სახელზე) და გამოვლინდა სადავო მინაზე დავა საკუთრების უფლებას შესახებ, მოსარჩელის მოთხოვნა (მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილების შეტანის დავალდებულების შესახებ) შეიძლება და გამაყოფილებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო მინის ნაკვეთზე.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელე საკუთრების უფლებას ადასტურებდა მხოლოდ 39 კვ.მ მინის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობდა შ. ა-ის საცხოვრებელი სახლის უკანა მხარეს, უშუალოდ გვერდით, რომელზეც აშენებული იყო დამხმარე ნაგებობა, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად იქნა მიჩნეული, რომ ამ ნაკვეთზე უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლით რეგლამენტირებული საკარმიდამო მინის ნაკვეთის სტატუსი და ეს ფართი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დროიდან (1997 წლის 25 ნოემბერი) უნდა ჩათვლილიყო შ. ა-ის საკუთრებად. ამასთან, დარჩენილ 560 კვ.მ ფართზე (სამ ნაკვეთზე) მოსარჩელე საკუთრების უფლებას ვერ ადასტურებდა.

პალატამ არ გაიზიარა შ. ა-ის მითითება იმის შესახებ, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის საფუძველზე, სადავო მინის ნაკვეთებზე მოპოვებული აქვს საკუთრების უფლება. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ტექბიუროში სადავო მინის ნაკვეთზე რეგისტრაცია განხორციელდა 1995 წელს, თუმცა იმ პერიოდში ეს მინის ნაკვეთი არ იყო შ. ა-ის საკუთრება. ამასთან, აღნიშნული მინის ნაკვეთი ამავდროულად რეგისტრირებული იყო ახალქალაქის ვეტსადგურის სახელზე, რომელიც სახელმწიფო დაწესებულება იყო და ამდენად, ამ მინის მესამეუთრეს წარმოადგენდა სახელმწიფო. ამდენად, პალატის მოსაზრებით, უდავო იყო, რომ სადავო მინის ნაკვეთი საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით, ასეთ პირობებში კი, სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა წინამდებარე საქმეზე არ არსებობდა. ამასთან, პალატის აზრით, სადავო სამართალურთიერთობაზე სასამართლომ სწორად გაავრცელა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, შ. ა-ის მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთები მდებარეობდა ერთმანეთისაგან განცალ-

კევებით და საცხოვრებელი სახლისაგან მოშორებით. სამ ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა არ არის განლაგებული, მხოლოდ შ. ა-ის საცხოვრებელი სახლის უკანა მხარეს (უშუალოდ გვერდით) სადაც 39 კვ.მ მინის ნაკვეთზეა აშენებული დამხმარე ნაგებობა, რომელიც ეკუთვნის შ. ა-ს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მხოლოდ საცხოვრებელი სახლის უკანა მხარეს მდებარე 39 კვ.მ. მინის ნაკვეთი ითვლებოდა საკარმიდამო მინის ნაკვეთად, ხოლო დანარჩენი სამი მინის ნაკვეთი არ წარმოადგენდა საკარმიდამო მინის ნაკვეთს, რის გამოც ვერ გავრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლით განსაზღვრული წესი.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მითითება იმის შესახებ, რომ მოცემული დავა უნდა განხილულიყო არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული სამართლალწარმოების წესით და მიიჩნია, რომ განსახილველი საქმე გამომდინარეობდა სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რის გამოც იგი სწორად იქნა განხილული სამოქალაქო სამართლწარმოების წესით.

პალატამ ასევე არ გაიზიარა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მითითებას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის დარღვევის შესახებ იმ საფუძვლით, რომ საქმეზე სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა ინდ. მენარჩე მ. ა-ი – „კ-დ“.

პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა მითითებული საპროცესო ნორმის გამოყენების წინაპირობა, რადგან, 2010 წლის 15 იანვარის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ნივთის მესაკუთრეს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სადაც უძრავი ნივთის მესაკუთრეს ნარმოადგენდა სახელმწიფო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამინისტროს მართებულად უთხრა უარი სათანადო მოპასუხით – იმ „კ. დ-ი“ შეცვლაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

შ. ა-მა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორის განმარტებით, ახალქალაქის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით რომ შ. ა-ს

1992 წლის დეკემბერში 800 კვ.მ მინის ნაკვეთი გადაეცა სარგებლობაში კანონის საფუძველზე, შესაბამისად, უტყუარად იყო დამტკიცებული, რომ შ. ა-ი 1995 წლიდან, ანუ ტექბიუროში 800 კვ.მ მინის დარეგისტრირების შემდეგ, გახდა აღნიშნული მინის მესაკუთრე სრულად და არა მხოლოდ 201 კვ.მ-ისა როგორც ამის შესახებ მიუთითა სასამართლომ, ამდენად, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ არ გამოიყენა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 167-ე, 1507-ე, 1514-ე მუხლებით და სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1413-ე მუხლი.

კასატორმა სსიპ „სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკავშირით გადაწყვეტილებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, თუ რატომ უნდა განხილულიყო მოცემული დავა სამოქალაქო და არა აღმინისტრაციული სამართლნარმოების წესით, კერძოდ, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ სააპელაციო საჩივრშიც და საქმის განხილვის ეტაპზეც მიუთითებდა, რომ აღნიშნული დავა წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით განსახილველ საქმეს.

კასატორის აზრით, საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ წარმოადგენს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. რეგისტრაციის პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტს წარმოადგენს ნორმატიული ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ხოლო, ამავე ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკადასტრო მონაცემები წარმოადგენენ რეგისტრაციის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) საფუძველს. ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი

დოკუმენტი და არა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს, ხოლო სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო სასამართლომ თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, რადგან არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილებად დაბრუნების საფუძვლები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ახალქალაქის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1992 წლის 29 დეკემბრის № 187 გადაწყვეტილებით შ. ა-ს ახალქალაქის ვეტსადგურის ტერიტორიიდან გამოყენ 0.08 ჰა მიწა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

მშენებლობის პროექტის მიხედვით, გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე შ. ა-მა 1993 წლს 201 კვ.მ-ზე ააშენა საცხოვრებელი სახლი.

2011 წლის 22 ივნისიდან ქ. ახალქალაქში, ძ-ის ქ. № 2ბ-ში მდებარე 201.00 კვ.მ მიწა და მასზე განთავსებული № 1 შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი) საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია შ. ა-ის საკუთრებად. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია ახალქალაქის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1992 წლის 29 დეკემბრის № 187 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ, საქმის მასალების მიხედვით საჯარო რეესტრმა შ. ა-ს უარი უთხრა სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დარჩენილი 599 კვ.მ-ის საკუთრებაში დარეგისტრირებაზე, რადგან ეს ფართი სახელმწიფოზე იყო რეგისტრირებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით ინდმენარმე მ. ა-ი – „კ-დ-ს“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე.

ქ. ახალქალაქში, ძ-ის ქ. № 2ბ საცხოვრებელი სახლის 1995 წლის ტექნიკური პასპორტის მიხედვით, ახალქალაქის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში შ. ა-ის სახელზე რეგისტრი-

რებულია 800 კვ.მ – მათ შორის განაშენიანების ფართი 151.9 კვ.მ.; მიწის ნაკვეთის გეგმის მიხედვით, ასევე დასტურდება, რომ ეს ფართი შედგება ერთმანეთისაგან დაცილებული და დამოუკიდებელი ოთხი ნაკვეთისაგან, რომელთაგან მხოლოდ ერთზე მდებარეობს საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობა.

შ. ა-ის სახელზე 800 კვ.მ-დან საჯარო რეგისტრში რეგისტრირებულია 201 კვ.მ რაზედაც მდებარეობს მისი საცხოვრებელი სახლი.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. ა-ის მიერ ვერ დასტურდება სადავო 599 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, ამასთან ერთად 1971 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედებული მიწის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, მიწა წარმოადგენდა განსაკუთრებულ სახელმწიფო საკუთრებას და იგი გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, მიწა სარგებლობისათვის მიეცემოდათ სსსარ-ის კავშირის მოქალაქეებს, ხოლო მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემის უფლება ჰქონდათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების მუდმივ ან დროებით სარგებლობაში – ქალაქის, დაბების მიზებიდან.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შ. ა-ის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 1995 წლიდან შ. ა-ი წარმოადგენდა ტექბიუროში მის სახელზე რეგისტრირებული 800 კვ.მ. მიწის ფართის მესაკუთრეს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. ა-ი იყო ამ მიწის ნაკვეთის მოსარგებელი და არა მესაკუთრე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება არ სებითად სწორია. კონკრეტულ შემთხვევაში, შ. ა-ი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ხოლო სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ მოჰყვება ის იურიდიული შედეგი, რომლის ინტერესიც გააჩნია მოსარჩელეს.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მხარეთა შორის დავას იწვევს არა მარტო საკადასტრო აზომვითი ნახაზი, არამედ საკუთრების უფლებაც სა-

დავონ მიწაზე. ამ თავისებურების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა საქმეზე მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზის სისტორის დადგენის გზით.

მოსარჩევე შ. ა-ის მოთხოვნა, დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (საქმე-ში უფლებამონაცვლედ ჩართულ იქნა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“) შეიტანოს ცვლილება მისი დაკვეთით ინდენციარმე „კ. დ-ს“ მიერ ქ. ახალქალაქის ძ-ის ქ. №2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 2011 წელს შედგენილ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში შ. ა-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გადაფარვის ფარგლებში. მოსარჩელის აზრით, სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მის საკუთრებას, რომელიც ახალქალაქის საქალაქო საბჭოს მშრომელ დეპუტატთა აღკამის 1992 წლის 29 დეკემბრის № 187 გადაწყვეტილებით გამოყენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის და წარმოადგენს საკარმიდამო მიწის ნაკვეთს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნით არ მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის ინტერესიც გააჩნია მოსარჩელეს. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართულია სადავო მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თავის საკუთრებად რეგისტრაციისაკენ. ამასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრმა შ. ა-ს უარი უთხრა სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დარჩენილი სადავო 599 კვ.მ-ის საკუთრებაში დარეგისტრირებაზე, რადგან ეს ფართი სახელმწიფოზე იყო რეგისტრირებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით ინდ. მენარმე მ. ა-ი – „კ-დ-ს“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე. ამდენად, უდავოა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე სადავოთ არ ხდის არც საჯარო რეესტრის მიერ შ. ა-ის სახელზე მიწის ნაკვეთის დარჩენილი სადავო ფართის (599 კვ.მ.) საკუთრებაში დარეგისტრირებაზე უარის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას და არც ამ ფართის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის ფაქტს, ამდენად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ამ ფაქტობრივ გარემოებებზე.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე

მუხლი ადგენს რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლებს, რასაც ასევე ითვალისწინებს „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-17 მუხლი (ანალოგიური დანაწესს ითვალისწინებდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის № 800 ბრძანებით დამტკიცებული უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის 68-ე მუხლი). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის, რომ ზემომითითებული ნორმებიდან გამომდინარე, საკადასტრო აზომვითი ნახაზში ცვლილებების განხორციელება არ იწვევს იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩევეს.

მოსარჩევე სადაცოდ ხდის მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზს, რაც თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით წარმოადგენს სარეგისტრაციო წარმოების დაწყების ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) საფუძველს („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი).

მითითებული ნორმის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

საკადასტრო პალატა განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის განხორციელების სამართლებრივი ნორმები წარმოადგენენ საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულსა-მართლებრივ საფუძვლების ერთ-ერთ მარეგულირებელ მექანიზმს, რითაც განისაზღვრება საჯარო რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებები. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მიწის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციისა და ადგილმდებარეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიცუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფი-

კულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. აღნიშნული დანაწესი უზრუნველყოფს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრის დადგენის რეალიზაციას („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 152-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აქედან გამომდინარე, საკადასტრო აზომებითი ნახაზი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ პირობებს, რომლის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზს თან უნდა ერთვოდეს წერილობითი ინფორმაცია საკადასტრო აღნერის უფლებამოსილი პირის, უძრავი ნივთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების აღნერილობისა და დაინტერესებული პირის შესახებ. დამსწრეთა და უძრავი ნივთის მოსაზღვრე უძრავი ნივთის (ნივთების) მართლზომიერი მფლობელის ან მესაკუთრის არსებობის შესახებ („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ წარმოადგენს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. რეგისტრაციის პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის № 800 ბრძანებით დამტკიცებული უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტს წარმოადგენს ნორმატიული ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათ შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ხოლო ამავე ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საკადასტრო მონაცემები წარმოადგენს რეგისტრაციის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) საფუძველს. ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად) საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი და არა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის ხარვეზიანობის დადგენა არ არის საკმარისი მოსარჩელის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისათვის. მნიშვნელო-

ვანია, რომ ამ უსწორობით ილახებოდეს მოსარჩელის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლი), რომლის დაცვას ის უნდა ახორციელებდეს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეყისრება უძრავი ნივთის მესაკუთრეს („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლი), მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე უთითებს საკუთრების უფლების დარღვევზე სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტით, მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზში ცვლილებების განხორციელება არ არის საკმარისი მოსარჩელის მიერ იურიდიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვითოთებს იმაზე, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზი წარმოადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ ინფორმაციას, ხოლო მასში სასამართლო გადაწყვეტილებით განხორციელებულ ცვლილებები არ არის საკმარისი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, შ. ა-ს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს საკადაციო საჩივარზე ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკადაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინება;

4. შ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

5. შ. ა-ს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სასამართლოდ დაეკისროს ამ უკანასაკენელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მოჩვენებითი და თვალთმაქცეული გარიგებანი

### განჩინება

№ას-1347-1272-2012

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

### აღნერილობითი ნაწილი:

სს „პ-მა“ სარჩელი აღმდრა სასამართლოში შპს „მ-ის“, ჭ., ვ., გ., გ. და თ. ჯ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა:

ბათილად იქნეს ცნობილი ჭ. ჯ-სა და თ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 4 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება;

ბათილად იქნეს ცნობილი ჭ. ჯ-სა და შპს „მ-ს“ შორის 2009 წლის 2 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება შესატანის დაბრუნების შესახებ;

ბათილად იქნეს ცნობილი ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 9 მარტს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება;

ბათილად იქნეს ცნობილი ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 17 მარტს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება;

ბათილად იქნეს ცნობილი გ. ჯ-სა და ვ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება №1;

ბათილად იქნეს ცნობილი გ. ჯესა და ვ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება;

ბათილად იქნეს ცნობილი ვ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის 2010 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება;

დაუბრუნდეს „მპს „მ-ს“ საკუთრების უფლება უძრავ ქონებზე, მდებარე ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12-ში საკადასტრო კოდი ... და თბილისში, ლ-ოს დასახლებაში არსებულ მინის ნაკვეთზე (ნაკვეთი 010, საკადასტრო კოდი ...).

დაუბრუნდეს ჭ. ჯ-ეს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, ქ. ქ. თბილისში, კ-ის ქ. №35-ში მდებარე №53 ბინაზე. (საკადასტრო კოდი ...); (2012 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმი; 10.34.-10.35.სთ; 10.38.სთ; 10.39.სთ).

მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად მიუთითა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 23 მაისს სს „პ. ბ-ა“ და ჭ. ჯ-ეს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა საკრედიტო ლიმიტი 600 000 აშშ დოლარი, მოქმედების ვადა 120 თვით, საპროცენტო განაკვეთი არა უმეტეს 24%-ი. აღნიშნულ ხელშეკრულებაში 2008 წლის 23 ივნისს განხორციელდა ცვლილება. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე იმავე შზარეებს შორის გაფორმდა შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებები, კერძოდ, 2008 წლის 23 მაისის შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №13.1.8897, რომლის საფუძველზეც მსესხებელზე შესაბამისი პირობებით გაიცა კრედიტი 310 000 აშშ დოლარი, 2008 წლის 23 მაისის №13.1.8941. საკრედიტო ხელშეკრულებით კი, ჭ. ჯ-ის სახელზე გაიცა 100 000 აშშ დოლარი კრედიტი, ხოლო 2008 წლის 23 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე კი, გაიცა კრედიტი 190 000 აშშ დოლარი, 119 თვის ვადით, 15%-იანი საპროცენტო სარგებლით.

აღნიშნული ხელშეკრულებები უზრუნველყოფილ იქნა:

- 2008 წლის 8 მაისს გაფორმებული №13.1.8897 იპოთეკის ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა მ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე გარდაპნის რაიონის სოფელ ტ-ი;

- 2008 წლის 18 ივნისის იპოთეკის ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა ე. კ-ის (ამჟამინდელი მესაკუთრე მ. ჯ-ე) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, მ-ის ქ. №8-ში ბინა №50-51;

- 2008 წლის 23 მაისის სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმებული იქნა მოსარჩე-

ლესა და შპს „ლ. 2005“-ს შორის;

– 2008 წლის 23 მაისს მოსარჩელესა და მ. ჯ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით სუბსიდიური ვალდებულების შესახებ;

– 2008 წლის 23 მაისს მოსარჩელესა და შპს „მ-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით სუბსიდიური ვალდებულებების შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, ჭ. ჯ-ემ დაარღვია საკრედიტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული სესხის დაფარვის გრაფიკი და მოსარჩელეს გაუჩნდა დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლება, როგორც მოვალისაგან, ისე, თავდები პირებისაგან. ჭ. ჯ-ემ რეალურად მის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული ქონება გადააფორმა თავისი ოჯახის წევრებზე და ახლო ნათესავებზე, კერძოდ:

– 2009 წლის 2 მარტს შპს „მ-სა“ და ჭ. ჯ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება შესატანის დაბრუნების შესახებ, რომლის საფუძველზე, ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12-ში მდებარე 7 571 კვ.მ. მინის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით და ლ-ოს დასახლებაში მდებარე 5 178 კვ.მ მინის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით აღირიცხა ჭ. ჯ-ის სახელზე;

– 2009 წლის 4 მარტს ჭ. ჯ-სა და თ. ჯ-ეს შორის გაფორმდა თბილისში, კ-ის ქ. №35-ში ჭ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული №53 ბინის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება;

– 2009 წლის 9 მარტს ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის გაფორმდა თბილისში, ი-ის ქ. №12-ში ჭ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება;

– 2009 წლის 17 მარტს ჭ. ჯ-ის წარმომადგენელს ვ. მ-ა და გ. ჯ-ეს შორის გაფორმდა თბილისში, ლ-ოს დასახლებაში არსებული ჭ. ჭ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება;

– 2009 წლის 2 ნოემბერს გ. ჯ-სა და ვ. ჯ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გ. ჯ-ემ ვ.ი ჯ-ეს საკუთრებაში გადასცა თბილისში, ი-ის ქ. №12-ში მდებარე მინის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით;

– 2010 წლის 17 დეკემბერს ვ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ვ.ი ჯ-ემ გ. ჯ-ეს საკუთრებაში გადასცა თბილისში, ი-ის ქ. №12-ში მდებარე მინის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილი;

მოსარჩელემ სარჩელში ასევე აღნიშნა, რომ:

– შპს „მ-ის“ 100% ნილის მფლობელი და დირექტორი იყო ჭ. ჯ-ე, რომელმაც ნილი მიიღო მ. ჯ-ან. მ. ჯ-ემ კი თავის მხრივ ნილი შეიძინა სახელმწიფოსაგან;

– ჭ. ჯ-ის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, კ-ის №35-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც შემდგომში გადააფორმა თ. ჯ-ის სახელზე;

– 2009 წლის 2 მარტს შპს „მ-სა“ და ჭ. ჯ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება შესატანის დაპრუნების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ჭ. ჯ-ემ დაიბრუნა საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავი ქონება;

– შპს „მ-ის“ საკუთრებას აგრეთვე წარმოადგენდა ქ. თბილისში არსებული სარეკინიგზო მისასვლელი ლიანდაგი, რომელიც ასევე წარმოადგენდა ჭ. ჯ-ის წარმომადგენელსა და გ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 17 მარტს დადებული ჩუქების ხელშეკრულების საგანს;

– თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებებით მოპასუხებებს: ჭ. ჯ-ეს, მ. ჯ-ეს, შპს „მ-ს“ და შპს „ლ-2005“-ს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 627 360,28 აშშ დოლარის და 2009 წლის 30 მაისიდან ძირითადი თანხის 577 101,73 აშშ დოლარის, 15% წლიური სარგებლის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. თითოეული თავდების – მ. ჯ-ის, შპს „მ-სა“ და შპს „ლ-2005-ის“ სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000,00 აშშ დოლარით. ჭ. და მ. ჯ-ის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა და მოთხოვნილ იქნა მისი ფორმულირების შეცვლა იმდაგვარად, რომ თუკი იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა საკმარისი არ იქნება დავალიანების დაფარვისათვის, აღსრულება გაგრძელდეს მხოლოდ თავდებების სხვა ქონებაზე და აღარ გაგრძელდეს ჭ. ჯ-ის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იპოთეკით დატვირთული ქონება ვერ უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნის დაქმაყოფილებას. გარდა მოწვევებით გასხვისებული ქონებისა, თავდებ პირებს არ გააჩნიათ სხვა რაიმე ქონება მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად;

– ვ. ჯ-ე ჯ-ის მამა, გ. ჯ-ე ჭ. ჯ-ის შვილი, ხოლო გ. ჯ-ე ჭ. ჯ-ის ძმა. ი-ის ქ. №12-ში მდებარე ქონება ჭ. ჯ-ემ გაასხვისა თავის შვილ გ. ჯ-ის სახელზე, რომელმაც შემდგომ იგივე ქონება საკუთარ პაპა-ვ. ჯ-ეს მიჰყიდა. ამის შემდეგ ვ. ჯ-ემ იგივე უძრავი ქონების ნაწილი გაასხვისა შვილზე – გ. ჯ-ე. ამასთან, ჭ. ჯ-ემ

მისი, როგორც ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, კ-ის 35-ში, ასევე გაასხვისა. აღნიშნული ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები პირდაპირ უკავშირდება მოსარჩელესთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რადგან ქონება, რომლებიც იქნა გასხვისებული ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებებით, წარმოადგენდა სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარის, შპს „მ-ის“ ქონებას. მოპასუხეთა შორის დადებული გარიგება განხორციელებულია ერთადერთი მიზნით, თავიდან ყოფილიყო აცილებული თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებრივი პასუხისმგებლობა მოსარჩელის წინაშე. ჭ. ჯ-ე გახლდათ შპს „მ-ის“ ერთადერთი პარტნიორი და დირექტორი. მისთვის კარგად იყო ცნობილი იმ ვალდებულების შესახებ, რომელიც თავდებობის ხელშეკრულებით ჰქონდა ნაკისრი შპს „მ-ს“.

შპს „მ-მა“, ჭ., ვ., გ., გ. და თ. ჯ-ა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს დაუსაბუთებლობის გამო და მოითხოვეს მის დაცმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით:

1. მოსარჩელე სს „პ. ბ-ის“ სარჩელი მოპასუხებას: შპს „მ-ის“, ჭ. ჯ-ის, გ. ჯ-ის, თ. ჯ-ის, ვ. ჯ-ის, გ. ჯ-ის მიმართ ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე დაცმაყოფილდა.

2. ბათილად იქნა ცნობილი ჭ. ჯ-სა და თ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 4 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ქ. თბილისში, კ-ის ქუჩა №35-ში მდებარე №53-ე ბინა (საკადასტრო კოდი: ...), დაუბრუნდა ჭ. ჯ-ეს და აღირიცხა მის საკუთრებაში;

3. ბათილად იქნა ცნობილი ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 9 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჭ. ჯ-ემ გ. ჯ-ეს აჩუქა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ლ-ოს დასახლებაში (ნაკვეთი 010) (საკადასტრო კოდი: ...) და აღნიშნულ ნაკვეთზე არსებული სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგი;

4. ბათილად იქნა ცნობილი ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის 2009 წლის 17 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჭ. ჯ-ემ გ. ჯ-ეს აჩუქა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ლ-ოს დასახლებაში (ნაკვეთი 010) (საკადასტრო კოდი: ...) და აღნიშნულ ნაკვეთზე არსებული სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგი;

5. ბათილად იქნა ცნობილი გ. ჯ-სა და ვ. ჯ-ეს შორის 2009

ნლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №1, რომლითაც ვ. ჯ-ეს საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12-ში (საკადასტრო კოდი: ...);

6. ბათილად იქნა ცნობილი გ. ჯ-სა და ვ. ჯ-ეს შორის 2009 ნლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ვ. ჯ-ეს საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ლ-ო დასახლებაში (ნაკვეთი 010), საკადასტრო კოდი: ....

7. ბათილად იქნა ცნობილი ვ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის 2010 ნლის 7 დეკემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც ვ. ჯ-ემ გ. ჯ-ეს აჩუქა თბილისში, ი-ის ქ. №12-ში არსებული უძრავი ქონების ნაწილი;

8. ბათილად იქნა ცნობილი ჭ. ჯ-სა და შპს „მ-ს“ შორის შესატანის დაბრუნების შესახებ 2009 ნლის 2 მარტის ხელშეკრულება, რომლითაც ჭ. ჯ-ეს შპს „მ- ან“ დაუბრუნდა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12-ში (საკადასტრო კოდი №...) და უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ლ-ოს დასახლებაში (ნაკვეთი 010) საკადასტრო კოდი .... აღნიშნული უძრავი ქონებები დაუბრუნდა შპს „მ-ს“ და აღირიცხა მის საკუთრებაში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „მ-მა“, ჭ. ვ., გ., გ. და თ. ჯ-ა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 ნლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით:

- თ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
- შპს „მ-ის“, ჭ. ჯ-ის, ვ. ჯ-ის, გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 ნლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

4. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 ნლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი და სს „პ-ის“ სარჩელი ჭ. და თ. ჯ-ს შორის 2009 ნლის 4 მარტს გაფორმებული, ქ. თბილისში, კ-ის ქ. №35-ში მდებარე 53-ე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა;

5. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 ნლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი და სს „პ-ის“ სარ-

ჩელი ჭ. და გ. ჯ-ს შორის 2009 წლის 17 მარტს გაფორმებული უძრავი ქონებისთბილისში ლ-ოს დასახლებაში მდებარე მინის (ნაკვეთი 010) საკადასტრო კოდი ... ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა;

6. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი გ. და გ. ჯ-ს შორის უძრავი ქონების მდებარე ქ თბილისი ლ-ოს დასახლებაში მდებარე მინის (ნაკვეთი 010) საკადასტრო კოდი .... ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ;

7. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი 2009 წლის 2 მარტის ხელშეკრულების, ჭ. ჯ-ის შპს „მ-ან“ უძრავი ქონების, მდებარე თბილისი დასახლება ლ-ო (ნაკვეთი 010) (საკადასტრო კოდი ...) დაბრუნების ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ და ამ ნაწილში სასამარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

8. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი უძრავი ქონების საკადასტრო კოდი ... და ... შპს „მ-ის“ დაბრუნების და მის საკუთრებად აღრიცხვის ნაწილში;

9. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში;

10. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, კერძოდ, ჭ. და გ. ჯ-ს შორის 2009 წლის 9 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე თბილისში ი-ის 12-ში (საკადასტრო კოდი ...) ჩუქების ხელშეკრულების, გ. და გ. ჯ-ს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე თბილისში ი-ის 12-ში (საკადასტრო კოდი ...) ნასყიდობის ხელშეკრულების ვ. და გ. ჯ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე თბილისში ი-ის 12-ში ნაწილის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სს „პ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში;

11. სს „პ-ს“ შპს „მ-ის“ ჭ. ჯ-ის, თ. ჯ-ის, ვ. ჯ-ის, გ. ჯ-ის სასამარგებლოდ გადახდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ 1000 ლარი;

12. სს „პ-ს“ დაეკისრა შპს „მ-ის“ ჭ. ჯ-ის, თ. ჯ-ის, ვ. ჯ-ის, გ. ჯ-ის სასარგებლოდ აღვოკატის მომსახურების ხარჯები 2000 ლარის გადახდა;

13. ყადაღა მოეხსნა ვ. ჯ-ის (პირადი №...) საკუთრებაში არ-

სებულ უძრავ ქონებას მდებარე: ქ. თბილისში, ლ-ოს დასახლებაში, (დაზუსტებული ფართობი 5178.00მ2 მიწა (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...).

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დამაყოფილდა ჭ. ჯ-ის, მ. ჯ-ის, შპს „მ-ის“, შპს „ლ. 2005-ის“ სააპელაციო საჩივარი. მოპასუხებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 627 360,28 აშშ დოლარის და 2009 წლის 30 მაისიდან ძირითადი თანხის 577 101,73აშშ დოლარის წლიური 15% სარგებლის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე. თითოეული თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა განისაზღვრა 650 000 აშშ დოლარით. დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2009 წლის 2 მარტს სს „პ-ან“ სასესხო ურთიერთობაში მყოფი ინიციატივი მოვალე, ჭ. ჯ-ის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი სოლიდარული თავდების – შპს „მ-ის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებულ იქნა უძრავი ქონება ა) მდებარე ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12, მიწის ნაკვეთი 7 571მ2 (საკადასტრო კოდი ...) და ბ) ქ. თბილისში, დასახლება ლ-ო (ნაკვეთი 010), მიწის ნაკვეთი 5 178მ2 და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობა და მშენებარე შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი: ...) და დაუბრუნდა დამფუძნებელ ჭ. ჯ-ეს.

უძრავი ქონების ამოღებით ფაქტობრივად შემცირდა ერთ-ერთი სოლიდარული თავდების – შპს „მ-ის“ საწესდებო კაპიტალი, რომლითაც საზოგადოება პასუხისმგებელი იყო სს „პ-ის“ ნინაშვ 2008 წლის 23 მაისის №13.1.8897/2 სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებით ჭ. ჯ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და მისი პასუხისმგებლობა განსაზღვრული იყო 650 000 აშშ დოლარით.

მოგვიანებით, უძრავ ქონებაზე მდებარე: ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12, მიწის ნაკვეთი 7 571მ2 (საკადასტრო კოდი ...) დაიდო მთელი რიგი გარიგებები, სახელდობრ:

– 2009 წლის 9 მარტს აღნიშნული ქონება ჭ. ჯ-ემ (მამამ) გააჩუქა გ. ჯ-ის სახელზე (შვილზე);

– 2009 წლის 2 ნოემბერს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გ. ჯ-სა (შვილიშვილი) და ვ. ჯ-ეს (ბაბუას) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ფასი შეადგენდა 100 000 ლარს;

– 2010 წლის 7 დეკემბერს უძრავი ქონების ნაწილი, კერძოდ, №3 (58,65მ2) და №4 (53,02მ2) ვ. ჯ-ემ (მამა)აჩუქა გ. ჯ-ეს (შვილი)

ლი), ხოლო დარჩენილი ნაწილი დარჩა ვ. ჯ-ის საკუთრებაში.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 56.1-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ 2008 წლის 23 მაისს დაიდო საკრედიტო და მისი შემდგენელი ხელშეკრულებები და გაიცა თანხა ჭ. ჯ-ე; 2009 წლის 5 მაისს სს „პ-მა“ შეატყობინა მსესხებელ ჭ. ჯ-ეს ვადამოსული დავალიანების დაფარვის ვალდებულების შესრულების შესახებ; ასევე დადგენილია, რომ 2009 წლის 2 მარტს სოლიდარული თავდების – შპს „მ-ის“ საწესდებო კაპიტალიდან უძრავი ქონების ამოღებით შემცირდა თავდების საწესდებო კაპიტალი, ხოლო შემდგომ უძრავ ქონებაზე მდებარე, ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12-ში, 7 5719<sup>2</sup> მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...) დაიდო მთელი რიგი გარიგებები, დროის მცირე მონაკვეთში, ახლო ნათესავებს შორის. კერძოდ, პალატას დადგენილად მიიჩნია, რომ გარიგების მონაწილე მხარეები ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკრისია იმ დასკვნის მისაღებად, რომ სადაც გარიგების მხარეებს არ სურდათ გარიგების დადება და ამისათვის არ გააჩნდათ შინაგანი ნება ანუ, ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებები გამორიცხავენ სადაც ხელშეკრულების დადებისადმი მხარეთა შინაგანი ნების არსებობას. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ყველა ეს ქმედება მიზნად ისახავდა კრედიტორის მოთხოვნის შესრულებისაგან თავის არიდებას. ვინაიდან ხელშეკრულების მხარეები ნარმოადგენენ უახლოეს ნათესავებს, ჩუქების ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენა შესაძლოა, ახლო ნათესავის ინტერესების უზრუნველყოფაზე ზრუნვითაც ყოფილიყო განპირობებული, თუმცა გაირგებების დადების თარიღის, დროის მცირე მონაკვეთის გათვალისწინებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ამ გარიგებების დადებით, ფაქტობრივად სადაც უძრავ ქონებაზე არიდებული იქნა კრედიტორის (სს „პ. ბ-ის“) ვადამოსული მოთხოვნის მიქცევის შესაძლებლობა, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ნორმის შეფარდებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სს „პ. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენდა თბილისში, ლ-ოს დასახლებაში მდებარე №010 ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...) 2009 წლის 2 ნოემბერს გ. ჯ-სა და ვი ჯ-ეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. აღნიშნული მოთხოვნა მოსარჩელემ ჩამოაყალიბა მხოლოდ თბილისში საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მტკიცებულებათა კვლევის ეტაპ-

ზე, რაც დაუშვებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა.

რაც შეეხება სხვა სასარჩელო მოთხოვნებს, რომელიც შეეხება თბილისში, ლ-ოს დასახლებაში მდფებარე, №010 ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...) დადებულ გარიგებებს, კერძოდ, ა) 2009 წლის 17 მარტის ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის გაფორმებულ ჩუქების ხელშეკრულებას და ბ) 2009 წლის 2 მარტის ხელშეკრულებას ჭ. ჯ-სა და შპს „მ-ს“ შორის შესატანის დაბრუნების შესახებ, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ამ გარიგებების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიმართ აღარ არსებობდას. აღნიშნული დასკვნის საფუძველად პალატამ მიუთითა იძლევა იმ გარემოებაზე, რომ თბილისში, ლ-ოს დასახლებაში მდებარე №010 ნაკვეთზე გაფორმებული 2009 წლის 2 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნა არ კმაყოფილდებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების არარსებობის საფუძვლით, ხოლო აღნიშნული გარიგების ბათილობის გარეშე შეუძლებელია მოსარჩელის იურიდიული ინტერესის მიღწევა – თავდების საკუთრებაში ქონების დაბრუნება.

პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, ჭ. ჯ-სა და თ. ჯ-ეს შორის ქ. თბილისში, კ-ის ქუჩა №35-ში მდებარე ბინა 51<sup>2</sup> №53 ბინის (საკადასტრო კოდი: ...) 2009 წლის 4 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნანილში და, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ თ. ჯ-ე წარმოადგენდა სადაც ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს, რის გამოც არ არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 312.1-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, უძრავი ნივთის შემძენის – თ. ჯ-ის კეთილსინდისიერების გამომრიცხველი გარემოებების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელმაც სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ვერ შეძლო მისი რეალიზება, კერძოდ, არ დასტურდებოდა ის ფაქტობრივი

გარემოება, რომ ჭ. ჯ-ე და თ. ჯ-ე ახლო ნათესავები არიან, რაც თ. ჯ-ის „სუბიექტურ ფაქტორზე“ და მის არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებდა. მოპასუხეები სადავოდ ხდიან იმ გარემოებას, რომ ჭ. ჯ-ე და თ. ჯ-ე არიან ახლო ნათესავები. პალატის განმარტებით, ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგ მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევებში შეიძლება ჩათვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. მოცემულ შემთხვევები, მხოლოდ ის გარემოება, რომ თ. ჯ-ის სახელზე სასამართლოს მიერ გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ჩაიბარა გ. ჯ-ემ, რძლისთვის – თ. ჯ-ის გადასაცემად პალატის მოსაზრებით, არ ნარმოადგენდა იმის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომ ჭ. ჯ-ე და თ. ჯ-ე არიან ახლო ნათესავები, კერძოდ, ამ შემთხვევებში, პალატამ ყურადღება გაამხვილა ჭ. ჯ-ის განმარტებაზე, რომ „მას და თ. ჯ-ეს შორის ნათესაური კავშირი არ არსებობს, თუმცა იგი არის მისი შორეული ნათესავის მეუღლე; თ. ჯ-ის განმარტებით ირკვევა, რომ იგი ქირით ცხოვრობდა ქ. თბილისში, კ-ის ქუჩა №35-ში მდებარე 51<sup>მ</sup> №53 ბინაში ჭ. ჯ-ან და შემდგომ ფულის გადახდის სანაცვლოდ, შეისყიდა ბინა. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ უწყება გაგზავნილი თ. ჯ-ის სახელზე ჩაიბარა გ. ჯ-ემ რძლისთვის გადასაცემად არ ნარმოადგენად იმის დასტურს, გარიგების მხარეები ნათესავები არიან, ამ კუთხით პალატმ ყურადღებას გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ. ჯ-ე და თ. ჯ-ე ერთი და იმავე ქუჩაზე ცხოვრობენ, თუმცა მათი ბინის ნომრები განსხვავებულია, კერძოდ, გ. ჯ-ის ბინის ნომერია 30, ხოლო თ. ჯ-ის ბინის ნომერია 35 რაც გამორიცხავს მათი ერთ მისამართზე ცხოვრების ფაქტს. ამასთან, პალატის განმარტებით, საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციების თანახმად, სიტყვა „რძალი“ ფართო მნიშვნელობისაა და მხოლოდ ოჯახის წევრს არ გულისხმობს, ხოლო მარტოოდენ ჭ. ჯ-სა და თ. ჯ-ის შორეული ნაცნობობა (თუნდაც შორეული ნათესაური კავშირი) არ შეიძლება მიუთითებდეს ამ უკანასკნელის არაკეთილსინდისიერებაზე, ვინაიდან მას დიდი ალბათობით შესაძლოა არც კი სცოდნოდა ჭ. ჯ-ის ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული პოზიციის სანინააღმდეგოდ მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ ნარულები. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ 2009 წლის 4 მარტის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკ-

რულების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საკასა-ციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

სს „ვ. ბ-ა“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის და არ გამოიყენა ამავე მუხლის მე-4 ნაწილი, 178.1-ე და 180-ე მუხლები. კასატორის განმარტებით, ადგილი ჰქონდა ტექ-ნიკურ უზუსტობას და სასარჩელო მოთხოვნაში იგულისხმებოდა „ხეშეკრულებები“ და არა ხელშეკრულება და ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელობდენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგინდლად, რომ ქ. თბილისში, ლ-ი მდებარე უძრავი ქონებაზე 2009 წლის 2 ნოემბერს გ. ჯ-სა და ვ. ჯ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე მოთხოვნა არ იყო დაყენებული, რის გამოც მას არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი, მოეთხოვა აღნიშნულ ქონებაზე დადებული სხვა სადაცო გარიგებების ბათილობა.

კასატორის აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება ლ-ი მდებარე ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში უკანონო და დაუსაბუთებელია, სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და არ გამოიყენა ან არასწორად განმარტა სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები და ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი.

კასატორებმა: შპს „მ-მა“, ჭ., ვ., გ. და გ. ჯ-ა საკასაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

ორივე ინსტანციის სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებებში დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გარიგებები წარმოადგენდნენ მოჩვენებით გარიგებებს, ვინაიდან მხარეებს არ სურდათ ამ გარიგებებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგების მიღება, რაც, კასატორთა აზრით, არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან.

კასატორთა განმარტებით, 2008 წლის 23 მაისს დადებული სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულების 2.3 პუნქტის

თანახმად, ოუ მსესხებელი არ ასრულებს ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში ბაკა უფლებამოსილია თანხების ამოღება მოახდინოს კონტრაპენტის ნებისმიერი ანგარიშებზე არსებული თანხებიდან და არა სხვა ქონებიდან, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „პ. ბ-ის“ საერთოდ არ იყო უფლებამოსილი აღერის სარჩელი სოლიდარული მოვალეების უძრავ ქონებაზე დადებულ გარიგებათა ბათილობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „პ. ბ-ა“ და შპს „მ-ის“, ჭ. ვ., გ. და გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრით სს „პ-ი“ ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მოსარჩელეს თბილისში, ლ-ი მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების ბათილად ცნობასა და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მოტხოვნაზე უარი ეთქვა.

საკასაციო ვალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. კერძოდ, დადგენილია, რომ სს „პ. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენდა უძრავ ნივთზე მდებარე, თბილისში, ლ-ოს დასახლება, ნაკვეთი №010-ზე (საკადასტრო კოდი ...) 2009 წლის 2 ნოემბერს გ. ჯ-სა და ვ.ი ჯ-ეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. აღნიშნული მოთხოვნა მოსარჩელემ ჩამოაყალიბა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე, რაც დაუშვებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, რაც შეეხება სხვა სასარჩელო მოთხოვნებს, რომელიც შეეხება თბილისში, ლ-ოს დასახლებაში მდებარე, №010 ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...) დადებულ გარიგებებს, კერძოდ, ა) 2009 წლის 17 მარტის ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის გაფორმებულ

ჩუქების ხელშეკრულებას და ბ) 2009 წლის 2 მარტის ხელშეკრულებას ჭ. ჯ-სა და შპს „მ-ს“ შორის შესატანის დაბრუნების შესახებ, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ამ გარიგებების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიმართ აღარ არსებობს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ის გარემობა, რომ თბილისში, ლ-ოს დასახლებაში მდებარე №010 ნაკვეთზე გაფორმებული 2009 წლის 2 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნა არ კმაყოფილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების არარსებობის საფუძვლით, ხოლო აღნიშნული გარიგების ბათილობის გარეშე შეუძლებელია მოსარჩელის იურიდიული ინტერესის მიღწევა – თავდების საკუთრებაში ქონების დაბრუნება.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ უზუსტობას და სასარჩელო მოთხოვნაში იგულისხმებოდა „ხეშეკრულებები“ და არა ხელშეკრულება და ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელე არა მარტო არ ითხოვდა სარჩელით გ. ჯ-სა და ვ.ი ჯ-ეს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, რომლითაც ვ. ჯ-ეს საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ლ-ოს დასახლებაში (წაკვეთი 010), საკადასტრო კოდი: ..., არამედ არც სარჩელში მითითებული გარემოებებში და საქმის არც სხვა მასალებში არ მოიხსენიებდა ამ ხელშეკრულებას (თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მტკიცებულებათა კვლევის ეტაპის გარდა). უფრო მეტიც, არც საქმეში არ არის წარმოდგენილი ეს ხელშეკრულება, როგორც მტკიცებულება. შესაბამისად, მოპასუხეების შესაგებელი მიმართული იყო იგივე თარიღით დათარიღებულ, მაგრამ ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12 (საკადასტრო კოდი: ...) მდებარე ქონებასთან მიმართებით. ამდენად, მხარეთა შორის დავა მიმდინარეობდა გ. ჯ-სა და ვ.ი ჯ-ეს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12 (საკადასტრო კოდი: ...) მდებარე ქონებასთან მიმართებაში დაფუძლი ხელშეკრულების კანონიერებაზე და არა გ. ჯ-სა და ვ.ი ჯ-ეს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს ქ. თბილისში, ლ-ოს დასახლებაში

(ნაკვეთი 010), საკადასტრო კოდი: ... მდებარე ქონებასთან მი-  
მართებაში დადებული ხელშეკრულების კანონიერებაზე.

აქედან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპე-  
ლაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ იმ პი-  
რობებში, როდესაც მოსარჩელე არ ითხოვს (პროცესუალურსა-  
მართლებრივ ნორმათა დაცვით სადაცვოდ არ ხდის) გ. ჯ-სა და ვ.  
ჯ-ეს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქო-  
ნების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას ვ. ჯ-ის  
უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისში, დასახლება ლ-ო (ნაკ-  
ვეთი 010), საკადასტრო კოდი: ..., საკუთრებაში გადაეცემის თა-  
ობაზე, არ არსებობს ამავე ქონებაზე დადებული 2009 წლის 17  
მარტის ჭ. ჯ-სა და გ. ჯ-ეს შორის გაფორმებულ ჩუქების ხელ-  
შეკრულებისა და 2009 წლის 2 მარტის ჭ. ჯ-სა და შპს „მ-ს“ შო-  
რის შესატანის დაბრუნების შესახებ ხელშეკრულების ბათილად  
ცნობისა და ამ უძრავი ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღ-  
დგენის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას  
პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ნაწილში სააპელაციო  
სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე. საკა-  
საციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელე სარჩელით არ ით-  
ხოვდა პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას. კონკრეტულ  
შემთხვევაში, მოსარჩელის კანონიერი ინტერესი რეალიზირე-  
ბული უნდა ყოფილიყო სასარჩელო მოთხოვნით, აქედან გამომ-  
დინარე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის საკითხი არაა  
დაზუსტებული თუ რომელ პირს უნდა დაუბრუნდეს საკუთრე-  
ბაში ქონება, შესაბამისად, სს „პ. ბ-ის“ მოსაზრება ამ ნაწილში  
საფუძველს მოკლებულია.

სააპელაციო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც დაკ-  
მაყოფილდა მოსარჩელე სს „პ. ბ-ის“ სარჩელი საკასაციო საჩივ-  
რით გაასაჩივრეს შპს „მ-მა“, ჭ. ჯ-ემ, გ. ჯ-ემ, გ. ჯ-ემ და ვ. ჯ-ემ.  
კერძოდ, ზემომითითებული საკასაციო საჩივრის ფარგლებში  
საკასაციო პალატა ამონტებს გასაჩივრებული გადაწყვეტილე-  
ბის კანონიერებას იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნო-  
ბილი ჭ. და გ. ჯ-ს შორის, ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12-ში მდებარე  
2009 წლის 4 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების (საკადას-  
ტრო კოდი: ...) ჩუქების ხელშეკრულება, ჭ. და გ. ჯ-ს შორის 2009  
წლის 2 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების მდებარე ქ. თბი-  
ლისში, ი-ის ქ. №12-ში (საკადასტრო კოდი: ...) ნასყიდობის ხელ-  
შეკრულება, ვ. და გ. ჯ-ს შორის დადებული უძრავი ქონების  
მდებარე ქ. თბილისში, ი-ის ქ. №12 საკადასტრო კოდი: ... ჩუქე-  
ბის ხელშეკრულება.

კასატორები აღნიშნავენ, რომ 2008 წლის 23 მაისს დადებული სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულების 2.3 პუნქტის თანახმად, თუ მსესხებელი არ ასრულებს ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია თანხები ამოილოს კონტრაჰენტის ნებისმიერ ანგარიშებზე არსებული თანხიდან და არა სხვა ქონებიდან, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მიიჩნევენ, რომ სს „პ. ბ-ის“ საერთოდ არ იყო უფლებამოსილი, აღეძრა სარჩელი სოლიდარული მოვალეების უძრავ ქონებაზე დადებულ გარიგებათა ბათილობაზე.

საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს ამ გარემოებაზე, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორების მიერ ამ გარემოებაზე არ იყო გამახვილებული არც სააპელაციო საჩივარში, არც სასამართლო სხდომის ოქმებში და არც საქმის სხვა მასალებში, ამრიგად, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს ზემომითოთებული გარემოებებზე.

კასატორები, ასევე აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაშიც თუ ჭ. ჯ-ე არ იყო კეთილსინდისიერი, გარიგების მოსაჩვენებლად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ გარიგების ორივე მხარე მოქმედებდნენ მოსაჩვენებლად, რაც არ დასტურდება გ., ვ. და გ. ჯ-ან მიმართებით, რადგან ისინი წარმოადგენენ კეთილსინდისიერ შემძენებს. კასატორები, ამ პოზიციის დასადასტურებლად უთითებენ სადავო ქონების ვ.ი ჯ-ის მიერ მიღებული ქონების ნაწილის შპს „ტ-ის“ სამართავად გადაცემაზე, ხოლო მეორე ნაწილის იპოთეკით დატვირთაზე, ასევე გ. ჯ-ის მიერ „თ.“ ბ-ი კრეტიტის უზრუნველსაყოფათ იპოთეკით დატვირთვის ფაქტზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათი-

ლია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამოვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებები იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასითებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ირივეს გაცნობიერებული აქვს, რომ შათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან, (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადაც გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლშე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო შიზანზე, რაც არ შეესაბამება შათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფიურებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსანდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლება ევალება მოსარჩელეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება იდება ნათესავებს (მაგალითად, მამა-შვილს შორის) ან სხვა ოჯახის წევრებს შორის, ივარაუდება, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებების თაობაზე და, ასევე მათი ოჯახის წევრის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების თაობაზე (იხ. პრტაქტიკა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის №ას-571-879-09 განჩინება). ის, რომ ჭ. ჯ-ემ შპს „მ-ან“ დაიბრუნა ქონება (2009 წლის 2 მარტს), ხოლო შემდეგ ეს ქონება აჩუქა თავის შვილს, გ. ჯ-ეს (2009 წლის 9 მარტსა და 2009 წლის 17 მარტს), რა თქმა უნდა, შეიძლება მიუთითებდეს მამის შვილისადმი კეთილი ნების გამოხატვაზე. ასევე, გ. ჯ-ის მიერ პაპისათვის, ვ. ჯ-ის ამ ქონების ნასყიდო-

ბით საკუთრებაში გადაცემა (2009 წლის 2 ნოემბერი და 2009 წლის 2 ნოემბერი), და შემდეგ ვ. ჯ-ის მიერ შვილ გ. ჯ-ის (ჭ. ჯ-ის ძმა) ჩუქების ხელშეკრულებით (2010 წლის 7 დეკემბერი) ამ ქონების საკუთრებაში გადაცემა, ასევე შეიძლება მიუთითობდეს მხარეთა კეთილ ნებაზე და განპირობებული იყოს გარკვეული აუცილებლობით, მაგრამ ზუსტად, რომ მოპასუხეებს ეკისრებათ ტვირთი, ამტკიცონ ის, თუ რამ განაპირობა და რა აუცილებლობა არსებობდა ამ ხელშეკრულებების დადების 2009 წლის 2 მარტიდან 2010 წლის 7 დეკემბრის მონაკვეთში, როდესაც ჭ. ჯ-ეს შესასრულებელი ჰქონდა ვადამოსული ვალდებულებები ბანკის წინაშე და ამის თაობაზე სასამართლოში მიმდინარეობდა დავა, ხოლო 2010 წლის 14 ივნისს კი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „მ-ს“, ჭ. ჯ-ეს და სხვა მოვალეებს დაეკისრა ვალდებულების შესრულება ბანკის წინაშე. მოპასუხებს ეკისრებათ ტვირთი ამტკიცონ, რომ, მიუხედავად ნათესაური კავშირისა, მათვის არ იყო ცნობილი ყოველივე ამის თაობაზე და ისინი წარმოადგენენ კეთილსინდისიერ შემძენებს.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ადასტურებენ მათი კეთილსინდისიერებას სადავო ხელშეკრულებების დადებისას. ჭ. ჯ-ის მიერ ამ ჰქონების განკარგვა იმ დროს, როდესაც მას და სხვა მოვალეებს ეკისრებოდათ ვალდებულების შესრულების პასუხისმგებლობა, მიუთითებს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაზე, რაც ცნობილი იყო მისი ოჯახის წევრებისათვის, ხოლო საწინააღმდეგო, რაც უარყოფდა ამ პრეზუმეციას, არ დასტურდება კასატორების (მოპასუხების) მიერ. ამ პირობებში ვ. ჯ-ის მიერ შპს „ტ-ი“ ჰქონების ნაწილის სამართავად გადაცემა და ნაწილის იპოთეკით დატვირთვა თავისთავად არ გამორიცხავს სადაცო გარიგებების მოჩვენებითობას. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ განხილვის საგანს არ წარმოადგენს შპს „ტ-ის“ ჰქონების სამართავად გადაცემის ხელშეკრულებისა და იპოთეკის ხელშეკრულების კანონიერება. ამ შემთხვევაში კასატორები უთითებენ ამ ხელშეკრულებებზე იმის დასადასტურებლად, რომ სადავო ხელშეკრულებები არ წარმოადგენენ მოჩვენებითს, რადგან მათ მოჰყვათ სამართლებრივი შედეგი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც დგინდება სადავო ხელშეკრულებების მოჩვენებითობა, რა დროსაც ივარაუდება, რომ ქონების განმეარგავებს ისევ წარმოადგენენ შპს „მ-ი“ და ჭ. ჯ-ე, მიუთითებს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი არიან სადავო ხელშეკრულებებიდან ყველა შესაძ

ლო შედეგის მიმღები პირები.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნას კასატორების მოსაზრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 ნოემბრის №ას-715-674-2011 განჩინებით დადგენილი პრაქტიკის თაობაზე, რომლიდანაც კასატორები უთითებენ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე. მასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული განჩინებით დადგინდა მხარეთა შორის მორიგება და, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, შეწყდა მოცემულ საქმეზე წარმოება რა დროსაც უქმდება აქამდე მიღებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მინევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „პ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „მ-ის“, ჭ., ვ., გ. და გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცელელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## უკანონო ხელშემლის აღკვეთა

### გადაცემის დრო საქართველოს სახელით

№ას-439-415-2013

30 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა

#### აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ის მიმართ დამოითხოვა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა შემდეგი დასაბუთებით: ჯ.გ-ამ 2011 წლის აპრილში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამართულ საჯარო აუქციონზე თბილისში, ვ-ის ქ. 15/10-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილი შეიძინა. აუქციონის შესახებ განცხადებაში მითითებული იყო, რომ ნასყიდობის საგანი ეზოსაც მოიცავდა. მოპსუხე ჯ.გ-ას არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს სადავო ქონებით.

მოპასუხე მ. მ-მა ნარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: უძრავი ქონება ფაქტობრივად გაყოფილია და მოპასუხე ხელს არ უშლის. მოსარჩელეს უძრავ ქონებასთან აქვს დამოუკიდებელი მისასვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. გ-ას უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ.გ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საჯარო რეესტრიდან ამონანერით დადასტურებულია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 14 დეკემბრის A11056524-018/003 განკარგულების საფუძველზე ჯ. გ-ა რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისში, ვ-ის, ი-ის №15/10-ში მდებარე №1 შენობის პირველ სართულზე 88,55 კვ.მ-ისა და 65,09 კვ.მ სარდაფის, სულ საერთო ფართის 153,64 კვ.მ-ის (სა-

კადასტრო კოდი ...) მესაკუთრედ. მ. მ-ი არის იმავე მისამართზე მდებარე 289,69 კვ.-ის მესაკუთრე (საკადასტრო კოდი ...). მ. მ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია 2010 წლის 13 ოქტომბერს ნოტარიუს ე. მ-ას მიერ დამოწმებული სამკვიდრო მოწმობა № 101034980. აღნიშნული შენობა-ნაგებობები განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე 456 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთზე. ამონაწერში მიწის ნაკვეთის საკუთრების ტიპად მითითებულია თანასაკუთრება.

მხარეთა შორის სადაცო არ არის ის გარემოება, რომ თბილისში, ვ-ის ქუჩა № 15/10-ში (ი-ის ქუჩა) მდებარე 456 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი ...) განაწილებულია მხარეთა შორის და, როგორც მოსარჩელე ჯ. გ-ა, ასევე მოპასუხე მ. მ-ი, სარგებლობენ თავ-თავიანთი ინდივიდუალური საკუთრებით. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ თბილისში, ვ-ის ქუჩა № 15/10 (იმ-ის ქუჩა) მისამართზე მდებარე 456 კვ.მ ფართის მქონე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) განაშენიანებისაგან თავისუფალ ნაწილს (საეზოვე ფართს) ფლობს მხოლოდ მოპასუხე მ. მ-ი. ამასთან, არც ის გარემოებაა სადაცო, რომ ჯ. გ-ას საკუთრებად რეგისტრირებული შენობის ნაწილიდან შეუძლებელია ეზოს ფართთან დაკავშირება, არ არსებობს აღნიშნული შენობის ნაწილი-დან სადაცო ეზოში გასვლის შესაძლებლობა და ის, რაც შესაძლებელია აღქმული იქნას ჯ. გ-ას ბინის დამაკავშირებლად ეზოსთან, არის მხოლოდ ფანჯარა, რომლითაც შესაძლებელია სადაცო ეზოში გადახედვა.

სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა ახსნა-განმარტებების, მოწმეების: ა. შ-ის, მ. ქ-ის და გ. ი-ის ჩვენებების, 2011 წლის 18 იანვრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს № A11056524-016/004 და № A11056524-018/003 განკარგულებების, გაზეთ „სიტყვა და საქმიდან“ ამონაერის ერთობლივად შეფასების შედეგად, იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე ჯ. გ-ას მიერ აუქციონზე უძრავი ქონების შეძენის დროისათვის, 30 წელზე მეტი დროის განმავლობაში, მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებობდა შეთანხმება განაშენიანებისგან თავისუფალ მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნესის შესახებ. ამდენად, დადგენილია, რომ 1997 წლამდე (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) მხარეთა საკუთრებაში არსებული ფართების წინამორბედი მესაკუთრეები შეთანხმდნენ მათ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნესზე და 1997 წლის

შემდგომაც სარგებლობდნენ შეთანხმებული წესის დაცვით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხები; სასამართლომ მართებულად შეაფასა მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები, რის შედეგადაც შესაბამისი გადაწყვეტილბა გამოიტანა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებაში და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ფიზიკურ პირებს საკუთრებაში გადაეცათ მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მათი საცხოვრებელი სახლები მდებარეობდა. პირთა ერთობლივ კანონიერ სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთები გამოცხადდა მათ თანასაკუთრებად.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 30 წელზე მეტია, რაც თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანებისგან თავისუფალი ნაწილით (საეზოვე ფართით) სარგებლობდა და სარგებლობს მხოლოდ მოპასუხე მ. მ-ი და მის საკუთრებაში არსებული ქონების წინამორბედი მესაკუთრეები. ზემოაღნიშნულ ნორმათა შესაბამისად, მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებულ მთელ მიწის ნაკვეთზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მიწა გახდა არა თანასაკუთრების, არამედ ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენადაც ჯ. გ-ა არ არის სადავო ეზოს ფართის მოწილე, შესაბამი-

სად, მ-ი საზიარო საგნით სარგებლობაში უკანონოდ ხელს ვერ შეუშლის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 5 მარტის განჩინება საკასაციო საჩივ-რით გაასაჩივრა ჯ. გ-ამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ფიზიკურ პირებს საკუთრებაში გადაეცათ მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული ის მინის ნაკვეთები, რომლებზეც განლაგებული იყო მათი საცხოვრებელი სახლები. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 30 წლზე მეტია, რაც თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის განაშენიანებისაგან თავისუფალი ნაწილით სარგებლობდა მონინააღმდეგე მხარე და მისი წინამორბედი მესაკუთრეები. აქედან გამომდინარე, პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ საკუთრების უფლება წარმოეშვათ მინის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და არა მთელ მინის ნაკვეთზე, რომელიც მიმაგრებულია საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, თუ პირი 15 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში მესაკუთრედ, იგი მოიპოვებს საკუთრების უფლებას ამ ნივთზე. კონკრეტულ შემთხვევაში, ნ.დ-ი მესაკუთრეს წარმოადგენდა 1991 წლიდან იძულებით აღსრულებამდე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 30 წლზე მეტია, რაც თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის განაშენიანებისგან თავისუფალი ნაწილით (საეზოვე ფართით) სარგებლობდა და სარგებლობს მხოლოდ მოპასუხე მ. მ-ი და მის საკუთრებაში არსებული ქონების წინამორბედი მესაკუთრეები.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექ-

სის 1513-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მინის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა – მთელ მინის ნაკვეთზე, რომელიც მიმაგრებული იყო მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მინა გახდა არა თანასაკუთრების, არამედ – ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენადაც ჯ. გ-ა არ არის სადაცო ეზოს ფართის მოწილე, შესაბამისად, მ. მ-ი საზიარო საგნით სარგებლობაში უკანონოდ ხელს ვერ შეუძლის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება შედგება ორ ნაწილისაგან. პირველი, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ 1997 წლამდე (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) მხარეთა საკუთრებაში არსებული ფართების წინამორბედი მესაკუთრეები შეთანხმდნენ მათ თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის სარგებლობის წესზე და 1997 წლის შემდგომაც სარგებლობდნენ შეთანხმებული წესის დაცვით.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მეზობლებს შორის არსებობდა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის სარგებლობის წესზე.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მინის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა – მთელ მინის ნაკვეთზე.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, მხარეები წარმოადგენენ მესაკუთრეებს ფაქტობრივად მათ სარგებლობაში არსებულ მინის ნაკვეთზე, რაც განსხვავდება საჯარო რეესტრის ჩანაწერისაგან.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ თავისებურებაზე, რომ განსახილველი საქმე ეხება იმ შემთხვევას, რო-

დესაც მეზობლებს შორის არსებობდა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული ფართის არა გამიჯვნის (იგულისხმება განაშენიანობისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რადგან ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, ვერ იქნება განკარგვის (ცალკე ობიექტი), არამედ განაშენიანებისაგან თავისუფალი მთელი მიწის ნაკვეთის დათმობის შესახებ, როთაც ეს საქმე განსხვავდება მსგავსი კატეგორიის საქმეებისაგან.

ამის გათვალისწინებით ისმის შემდეგი კითხვები: შეიძლება თუ არა მხარეები შეთანხმდნენ თანასაკუთრებით სარგებლობის ისეთ წესზე, რომლითაც მესაკუთრეს სამუდამოდ ეზღუდება საკუთრებით სარგებლობა? არსებობდა თუ არა მხარეთა შორის კანონიერი შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საეზოვე ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე? ნარმოებვა თუ არა მ. მ-ს კანონიერი სარგებლობის უფლება 6. დ-ის (ჯ. გ-ას წინამორბედი თანამესაკუთრე) მიერ დათმობილ თავის წილ მიწის ნაკვეთზე?

ამ კითხვებზე უნდა გავცემ უარყოფითი პასუხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანახმად, მეზობლები შეთანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთის სარგებლობის (გადაცემის) წესზე ჯერ კიდევ 30 წლის წინ, შეფასებულ უნდა იქნეს იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 წარმოდგენილი თანახმად.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყი წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის წესს არეგულირებდა იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობა, კერძოდ, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეს მიწის ნაკვეთი სარგებლობაში გადაეცემოდა ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად მოქალაქეს უფლება ჰქონდა, საც-

ხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიეღო მფლობელობა-ში მიწის ნაკვეთი და ესარგებლა ამ ნიწის ნაკვეთით სიცოცხლის ბოლომდე მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. შენობა-ნა-გებობაზე საკუთრების უფლების გადაცემით გადადიოდა, ასე-ვე მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უფლება (საფუძვლების მე-10 მუხლი). ამასთან ერთად, მიწის მფლობელებს ჰქონდათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა ან მისი ნაწილის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება კანონ-მდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით (საფუძვლე-ბის მე-16 მუხლის მე-7 ქვეპუნქტი), ხოლო ამავე ნორმატიული აქტის 53-ე მუხლი ითვალისწინებდა უკანონო გარიგებების და-დებისას პასუხისმგებლობას, რომლის თანახმად ბათილია მი-წის ნაკვეთების თაობაზე დადგებული ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებები. ასევე გასათვალისწი-ნებელია იმ დროს მოქმედი საქართველოს მიწის კოდექსის (1971 წლის 1 ნოემბერი) 151-ე მუხლი, რომლის თანახმად მიწის ნაკ-ვეთების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგე-ბანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

შესაბამისად, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებ-ლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, ისიც კანონ-მდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, ნინაალმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი სა-ქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის მე-3 ნაწილი კრძალავს თანაზიარი საკუთრების უფლების სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმებას, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წესების საწინააღმდე-გოდ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივსადები მიზეზის არსებო-ბისას გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვილი.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვე-ვაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ მეზობლები 30 წლის წინ შეთანხმე-ბულები იყვნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე, ზემოაღ-ნიშნული ნორმები ცხადყოფს, რომ იმ დროს არსებული კანონი არ ითვალისწინებდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათ-ვის სახელმწიფოსაგან მფლობელობაში გადაცემული მიწის ნაკ-ვეთის მფლობელის მიერ სხვა პირის მფლობელობაში სამუდა-

მოდ გადაცემას. მიწა არაგასხვისებადი იყო, შესაბამისად, ამ მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო გადაცემის ხელშეკრულება იყო ბათილი.

მოქმედ სამართლებრივ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების შემთხვევამიც კანონი ითვალისწინებს პატივსადები მიზეზის არსებობისას გაუქმებულ იქნეს სამუდამოდ განსაზღვრული თანასაკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის შეთანხმება. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივ გარემოებათა თავისებურების გათვალისწინებით, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი.

განსახილველი ნორმის თანახმად ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლები მდებარეობს, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად მიიჩნევა და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. შესაბამისად, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი უთითებს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. „კანონიერ სარგებლობაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, შესაბამისად, კანონის საწინააღმდეგოდ (იმ

დროს მოქმედი, ზემოთ განხილული) მოპოვებული სარგებლობა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობს თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება, რომლითაც ხდებოდა ამ მიწის ნაკვეთებზე ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებების დადება, ბათილი იყო.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სააპელაციო სასამართლოს შეფასებებზე, რომლითაც, სასამართლოს მოსაზრებით, ჯ. გ-ას წინამორბედმა სამუდამოდ დათმო სადავო მიწის ნაკვეთი, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ მ. მ-ი არ იყო განაშენიანებისაგან თავისუფალი (საეზოვე ფართი) მთელი მიწის ნაკვეთის კანონიერი მოსარგებლე, და, შესაბამისად, ის ვერ იქნება ცნობილი ამ მიწის ნაკვეთის ერთადერთ მესაკუთრედ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის მიხედვით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ისეთ სარგებლობის წესზე შეთანხმდნენ, რომლითაც განხორციელდა განაშენიანებისაგან თავისუფალი მთელი მიწის ნაკვეთის დათმობა. უფლებათა შორის კონფლიქტზე მიგვითითებს საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლის თანახმად, კასატორი რჩება სადაცო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით მას ეს უფლება არ გააჩნია.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობის ამგვარი წესი გრძელდებოდა 1997 წლის შემდეგაც, ანუ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის პირობებში.

ამ შემთხვევაშიც, როგორც უკვე აღინიშნა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთრების უფლება. ამ ნორმის ზემოთ მოყვანილ განმარტებასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ყურადსალებია საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულ წილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...“

აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონის მიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ,

შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს, ე.ი კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, რომ პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით. ამ მხრივ ყურადსალებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (AFFAIRE SPORRONG ET LIJNNROTH c. SUEDE), რომლის თანახმად, საკუთრების უფლების შეზღუდვებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი საკუთრების უფლების არსი. ამით საკუთრების უფლება ხდება პირობითი და გაუქმებადი. შესაბამისად, ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

ამდენად, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელი იყო სადაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემა ან ერთი ფიზიკური პირის მიერ მეორესათვის სარგებლობის სამუდამოდ დათმობა (მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-16, 53-ე მუხლები). მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად უძრავ ნივთზე საკუთრების შექნისათვის აუცილებელია, დაცული იყოს ამავე კოდექსის 183-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს გარიგების ნერილობითი ფორმით დადებას და შეძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, ხოლო საკუთრებაში არსებული ნივთის სხვა პირის სარგებლობით სახელშეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრების უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 961-ე მუხლები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჯ. გ-ა ნარმოადგენს სადაც მიწის ნაკვეთის თანამედრებულება, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, ხელის შემშებელს მოსთხოვოს ხელშეშლის აღკვეთა. კერძოდ, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, ხელის შემშებელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მი-

იჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ ნორმის თანახმად, იმ ხარჯების გადახდა, რაც მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟის სახით (აგრეთვე, სხვა ხარჯები), დაეკისრება მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დააკმაყოფილა ან უარი უთხრა გადაწყვეტილებით. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, დაკმაყოფილდა ჯ. გ-ას სარჩელის მოთხოვნა მოწინააღმდეგებ მხარე მ. მ-ს, ჯ. გ-ას სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ პირველ, მეორე და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (120+160+300), სულ 580 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ჳ ვ ი ტ ა:**

1. ჯ. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე;
3. ჯ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მ. მ-ს აეკრძალოს თბილისში, ვ-ის ქ. №15/10-ში (ი-ის ქუჩა) მდებარე, ჯ. გ-სა და მ. მ-ის თანასაკუთრებაში არსებული 456 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) საეზოვე ფართით სარგებლობაში ჯ. გ-ის უკანონო ხელშემლა;
5. მოწინააღმდეგებ მხარე მ. მ-ს, ჯ. გ-ას სასარგებლოდ, დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 580 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გირავნობის საგნის გასხვისება

### გადაცემის საქართველოს სახელი

№ას-743-699-2012

8 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დაგირავებული ქონების რეალიზაცია

#### აღნერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ ბათუმის საქალაქო სასამართლოში რ. ს-ისა და  
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სარ-  
ჩელი აღძრა.

მოსარჩელის განმარტებით, 2009 წლის 15 აპრილს სს „ს. ბ-  
სა“ და რ. ს-ს შორის საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულე-  
ბა გაფორმდა, რომლის თანახმადაც მსესხებელზე გაიცა კრე-  
დიტი 13740 ევრო, 60 თვის ვადით, წლიური 15,66%-იანი სარ-  
გებლით. კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის 15  
აპრილს მხარებს შორის დაიდო ავტოსატრანსპორტო საშუა-  
ლების გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც და-  
გირავდა ავტომანქანა „პეჟო 308“, სახელმწიფო ნომრით „.... ....“  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 6 მაისის განაჩენით რ. ს-  
ე ცნობილ იქნა სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნ-  
ქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა  
თავისუფლების აღკვეთა 14 წლით. იმავე განაჩენის საფუძველ-  
ზე. რ. ს-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერ-  
თვა მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება – ავტოსატ-  
რანსპორტო საშუალება „პეჟო 308.“ რ. ს-ს ხელშეკრულებით ნა-  
კისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩე-  
ლებ მოითხოვა რ. ს-ისათვის დავალიანების თანხის 13469,04  
ევროს, პროცენტის – 4405,48 ევროს, ჯარიმის – 16128,10 ევ-  
როს დაკისრება, თანხის ამოღების უზრუნველსაყოფად კი, გი-  
რავნობის საგნის – ავტომანქანა „პეჟო 308-ის“ სარეალიზაცი-  
ოდ მიქცევა.

მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს“ მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 23 სექტემბრის №872 ბრძანებით შსს-ს უსასყიდლოდ გადაეცა რ. ს-ისათვის 2010 წლის 6 მაისის განაჩენით უსასყიდლოდ ჩამორთმეული ავტომანქანა. შსს-ს საქართველოს ბანკის მიმართ დავალიანება არ გააჩნდა და მას პასუხისმგებლობა არ უნდა დაკვისრებოდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე რ. ს-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის 15 აპრილის №674418 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 22874,04 ევროს გადახდა, დადგინდა თანხის გადახდევინება რ. ს-ის კუთვნილი ქონებიდან, სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა ავტომანქანა „პეუო 308-ის“ სარეალიზაციოდ მიეცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პირები ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 15 აპრილს, სს „ს. ბ-სა“ და რ. ს-ს მორის გაფორმდა საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №674418, რომლის შესაბამისად, ბანკმა გასცა კრედიტი 13 740 ევრო, 60 თვის ვადით, წლიური საპროცენტო სარგებლის 15.66%-ის დარიცხვით. პირგასამტებლო განისაზღვრა 0,5%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სამომხმარებლო კრედიტის მიზნობრიობას წარმოადგენდა ავტომობილის შეძენა. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის 15 აპრილის სს „ს. ბ-სა“ და რ. ს-ს მორის გაფორმდა ავტოსატრანსპორტო საშუალების გირავნობის შესახებ ხელშეკრულება №674418ა, რომლის თანახმად, გირავნობის უფლებით დაიტვირთა ავტომანქანა „პეუო 308“ სახ. №.... .... ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 6 მაისის განაჩენით, უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 თებერვლის განაჩენი – რ. ს-ე ცონბილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნანილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამავე განაჩენით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ივნისის ბრძანება, ყადაღა მოეხსნა რ. ს-ის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანას და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე რ. ს-ს სახელმწიფოს სასარგებ-

ლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ...-... სახელმწიფო ნომრის მქონე „პეშოს“ მარკის ავტომანქანა. სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ 2010 წლის 23 სექტემბრის №872 ბრძანებით სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „დ“ პუნქტის, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 29 იანვრის №44 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების“ მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უსასყიდლოდ გადაცა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული სატრანსპორტო საშუალება „პეშო 308“ სახ. ნომრით ..... საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 22 ნოემბრის №49/6/4-00250062 ცნობით დასტურდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება (სახ. ნომრით ...-... ტექ. პასპორტი ...) 2009 წლის 15 აპრილიდან 2010 წლის 30 სექტემბრამდე რეგისტრირებული იყო რ. ს-ის სახელზე, ხოლო 2010 წლის 30 სექტემბრიდან რეგისტრირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე სახელმწიფო ნომრით ..., ტექნიკური პასპორტი ..., ავტომანქანაზე აღრიცხულია ინფორმაცია სამართლებრივი დატვირთვის შესახებ სს „ს. ბ-ის? 15.04.2009 წლის 674418ა ხელშეკრულების საფუძველზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სს „ს. ბ-მა“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 აპრილის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, აღსრულებას ექვემდებარება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის ან/და ქონების ჩამორთმევის დაკისრების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ანალოგით გამოიყენა ხსენებული კანონის 771-

ე მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას უქმდება ამ გირავნობის/იპოთეკის შემდეგ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სანივთო უფლებები და მიჩნია, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დაუტვირთავი ქონება გადაეცა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებას „ს. ბ-ის“ წარმომადგენელმა ო. ზ-მ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საადსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 771 მუხლის მე-7 პუნქტი, რადგანაც საგადასახადო გირავნობას/ იპოთეკას მოცემულ დავასთან კავშირი არ აქვს, გარდა ამისა, გირავნობა რეგისტრირებული იყო საკუთრების განკარგვამდე. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დაგირავებული ნივთის შემტებული გირავნობაც გადადის. მოცემულ შემთხვევაში, უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთი გასხვისდა. სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი არ ითვალისწინებს უფლებრივად დაუტვირთავი ნივთის სახელმწიფო-სათვის გადაცემას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიჩნია, რომ სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2009 წლის 15 აპრილს, სს „ს. ბ-სა“ და რ. ს-ს შორის გაფორმდა საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №674418, რომლის შესაბამისად, ბანკმა გასცა კრედიტი 13 740 ევრო, 60 თვეს ვადით, წლიური საპროცენტო სარგებლის 15.66%-ის დარიცხვით. პირგასამტებლო განისაზღვრა 0,5%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სამომხმარებლო კრედიტის მიზანს წარმოადგენდა ავტომობილის შეძენა. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის 15 აპრილის სს „ს. ბ-სა“ და რ. ს-ს შორის გაფორმდა ავტოსატრანსპორტო საშუალების გირავნობის შესახებ ხელშეკრულება №674418ა, რომლის თანახმად, გირავნობის უფლებით დაიტვირ-

თა ავტომანქანა „პეუო 308“ სახ. №... .... ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 6 მაისის განაჩენით, უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 თებერვლის განაჩენი - რ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიერავდა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამავე განაჩენით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ივლის ბრძანება. ყადაღა მოეხსნა რ. ს-ის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანას და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე რ. ს-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ...-... სახელმწიფო ნომრის მეონე „პეუოს“ მარკის ავტომანქანა. სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ 2010 წლის 23 სექტემბრის №872 ბრძანებით სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „დ“ პუნქტის, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 29 იანვრის №44 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების“ მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული სატრანსპორტო სამუალება „პეუო 308“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 22 ნოემბრის №49/6/4-00250062 ცნობით დასტურდება, რომ ავტოსატრანსპორტო სამუალება სახ. ნომრით ...-... ტექ. პასპორტი ... – 2009 წლის 15 აპრილიდან 2010 წლის 30 სექტემბრამდე რეგისტრირებული იყო რ. ს-ის სახელზე, ხოლო 2010 წლის 30 სექტემბრიდან რეგისტრირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე სახელმწიფო ნომრით ....., ტექნიკური პასპორტი ..... , ავტომანქანაზე აღრიცხულია ინფორმაცია სამართლებრივი დატვირთვის შესახებ სს „ს. ბ-ის“ 15.04.2009 წლის 674418ა ხელშეკრულების საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის და-

საშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი პრეტენზია წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ დაგირავებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცვლის შემდეგ გირავნობა უქმდება.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც ნებისმიერი პირი და სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტების ანალოგიური უფლება-მოვალეობებით სარგებლობს, ამდენად, თავისთავად ის ფაქტი, რომ დაგირავებული ქონების მესაკუთრე სახელმწიფო გახდა, გირავნობის შეწყვეტას არ ნიშნავს. ამ შემთხვევაში გასარკვევია, საერთოდ წყდება თუ არა გირავნობა დაგირავებული ქონების მესამე პირებზე გადაცემით.

საყურადღებოა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ავტომანქანა განაჩენის საფუძველზე უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს. მოქმედი კანონმდებლობა არ ანესრიგებს განაჩენის საფუძველზე დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევის რეჟიმს, შესაბამისად, არ არსებობს დათქმა, რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს დაუტვირთავი ქონება გადაეცემა, არც „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის შესახებ“ კანონი ადგენს, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების შემდგომში უსასყიდლოდ გადაცემისას შემძენებლივ დაუტვირთავი საკუთრება გადადის.

სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის თანახმად, გირავნობის საგნის გასხვისებისას შემძენებელი გადადის გირავნობით დატვირთული საკუთრება, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სწორედ სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი გამოიყენა სააპელაციო სასამართლომ ანალოგით და დაადგინა, რომ სახელმწიფოს დაუტვირთავი ქონება გადაეცა.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის ჩვეულებრივი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში გასხვისების შემთხვევაში შემძენებელი გადადის დაუტვირთავი საკუთრება, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა შემძენმა გირავნობის შესახებ. ეს წესი არ გამოიყენება, თუ შემძენი და დამგირავებელი არაკეთილისინდისიერად მოქმედებდნენ.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სა-მოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, კანონში პირდა-პირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსანესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგუ-ლირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). თუ კანონის ანალოგის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მო-ნესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგ-რეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია). სპეციალუ-რი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლი-სო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სკ-ის 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი საგამონაკლისო ნორმაა, რომელიც მოცემული და-ვის გადაწყვეტისას გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო. აღნიშ-ნულს კალსახად ადასტურებს 274-ე მუხლის სტრუქტურა, რომ-ლის პირველი ნაწილი ზოგად წესს ადგენს, ხოლო მე-4 ნაწილი გამონაკლისა ამ წესში. საკასაციო სასამართლო იმაზეც ამახ-ვილებს ყურადღებას, რომ 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმადაც ვერ ჩაითვლება, გარდა იმისა, რომ სპეციალური კანონია. აღნიშნული ნორმა და-უტვირთავი საკუთრების გადაცემის წინაპირობად კონკრეტულ განსაკუთრებულ შემთხვევას – გირავნობის საგნის ჩვეულებ-რივ სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში გასხვისებას ადგენს, რაც სრულიად სხვა სფეროა, ვიდრე ქონების სახელწიფოსათ-ვის უსასყიდლოდ გადაცემა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განსახილ-ველ შემთხვევაში კანონის ანალოგიით გამოყენების საჭიროე-ბა არც არსებობდა, რადგანაც, ზოგადი ნორმა, რომელიც მო-ცემულ დავასთან დაკავშირებულ საკითხესაც მოიცავს, სამო-ქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის 1-ლი ნაწილია, რომელიც ად-გენს, რომ ჩვეულებრივ პირობებში, გირავნობის საგნის გასხვი-სებისას შემძებზე გირავნობით დატვირთული საკუთრება გა-დადის. „გასხვისება“ სამოქალაქო სამართალში არ გულისხმობს აუცილებლად ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაც-ვლოდ ეკვივალენტური ანაზღაურების მიღებას (მაგ. ნასყიდო-ბა, გაცვლა), არამედ ქონების ახალ მესაკუთრეზე გადაცემას, მათ შორის უსასყიდლოდაც (მაგ. ჩუქება), ამდენად, თავისთა-ვად ის ფაქტი, რომ გირავნობის საგანი ჯერ სახელმწიფოს, ხო-ლო შემდეგ შსს-ს უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში, გირავ-ნობის შეწყვეტასთან დაკავშირებული არ არის. აქვე ის გარე-მოებაცაა საყურადღებო, რომ, ვინაიდან, მოცემულ შემთხვე-

ვაში, არსებობს ავტომანქანის რეგისტრირებული გირავნობა, შემძენისათვის მის შესახებ ცნობილი აუცილებლად იქნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე ანალოგით გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 771-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რითაც კიდევ ერთხელ დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დაუტვირთავი ქონება გადაეცემა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა არასწორად განმარტა. კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 771-ე მუხლი ადგენს ბიუჯეტის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოებისას, მათ შორის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისას, რა შემთხვევაში შეიძლება ქონება სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკას ან თვითმმართველ ერთეულს ნატურით გადაეცეს. ამგვარი გადაცემის წინაპირობაა ის გარემოება, რომ აუქციონზე ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, ან გამარჯვებულმა პირმა ქონების ფასი დადგენილ ვადამი არ გადაიხადა.

რაც შეეხება მითითებული მუხლის მე-7 პუნქტს, იგი ადგენს, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის, მათ შორის, ქონებაზე რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის/ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ქონების ნატურით გადაცემისას უქმდება ამ გირავნობის/იპოთეკის შემდეგ საჯარო ოესტრში რეგისტრირებული სანივთო უფლებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული ნორმის ანალოგით გამოყენება დაუშვებელია, რადგან სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას ანესრიგებს, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ იგი არასწორადაც განმარტა, რადგანაც მითითებული ნორმიდან ის დასკვნა კი არ გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დაუტვირთავი ქონება გადაეცემა, არამედ ის, რომ ქონების ნატურით გადაცემისას უქმდება საგადასახადო გირავნობის შემდეგ ქონებაზე რეგისტრირებული სანივთო გარიგება, რასაც მოცემულ შემთხვევასთან კავშირი არ აქვს, მით უფრო, რომ სს „ს. ბ-ის“ გირავნობა სადავო ავტომანქანაზე ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემამდე ბევრად ადრე იყო რეგისტრირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კა-

ნონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და იმავდროულად, არასწორად განმარტა იგი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექ- სის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ კასაციის ყველა საფუძ- ველს ქმნის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვა- ლისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპე- ლაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საქმეზე არასწორი გა- დაწყვეტილების მიღება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებე- ბის არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული და მტკიცებულებათა გამოკვლევის საჭიროება არ არსებობს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, თავად მიიღოს გადაწყვე- ტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ სასარჩე- ლო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და დადგინდეს საქარ- თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი სატრან- სპორტო საშუალება „პეტო 308-ის“ იძულებით რეალიზაცია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწი- ლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეც- ვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილე- ბას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწი- ლებასაც, ხოლო, იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხა- რის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლო- დაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხა- რეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწი- ფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სს „ს. ბ-ის სარჩელი“ დაკმაყოფილდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2489,36 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო- ცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 4 აპრილის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. სს „ს. ბ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა გირავნობის საგნის რეალიზაციის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

4. სარეალიზაციოდ მიექცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება „პეჟო 308“ (სახელმწიფო სარეგისტრაციო №ო ..., საიდენტიფიკაციო №ო ...);

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სს „ს. ბ-ს“ აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2489,36 ლარი;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარმობობილი ურთიერთობები

### განრიცხვა

№ას-1043-978-2012

4 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლები ცნობა და, კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა

#### აღნერილობითი ნაწილი:

რ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ფ. ა-ის მიმართ ქ. თბილისში, ა-ის შესახვევ №3-ში (იგივე გ-ის ქ. №5/12) მდებარე ნაგებობის მეორე სართულზე არსებული მოპასუხის კუთვნილი ფართიდან 57,7 კვ.მ საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლები ცნობისა და, სადგომის საბაზრო ღირებულების 10%-ის – 5000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

1948 წლიდან მოსარჩელის მამა ფ. გ-მა სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული ორი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეიძინა სადავო ფართი მისი მესაკუთრე ე. ა-ის თანხმობით მოსარგებლე მ.კ-ან. ამჟამად მესაკუთრის უფლებამონაცვლეა ფ. ა-ი.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნონ და მიიჩნია, რომ რ. გ-მა საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლის სტატუსი ვერ დაადასტურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებ გაასაჩივრა საპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განჩინებით საპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისთვის (1998 წლის 25 ივნისისათვის) სადავო საცხოვრებელი სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობის ფაქტი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღნიშნული დასკვნა საპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა და დამატებით აღნიშნა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის თანახმად, პირი საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლე შეიძლება გამხდარიყო სამი გზით: 1. მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულებით; 2. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით; 3. ადმინისტრაციული აქტით. ამასთან, მითითებული წორმის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული კანონის მიზნებისათვის პირი მოსარგებლედ მიიჩნევა (მიუხედავად დასახელებული სამი საფუძვლისა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისთვის (1998 წლის 25 ივნისისათვის) სადავო საცხოვრებელ სადგომს კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩევეს. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევე რ. გ-მა ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და იმ უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც დაადასტურებდა, რომ იგი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისათვის (1998 წლის 25 ივნისისათვის) კეთილსანდისიერად ფაქტობრივად ფლობდა სადაც ვო საცხოვრებელ სადგომს.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით პალატამ დაადგინა, რომ ამ კანონის მიღების მომენტისთვის (1998 წლის 25 ივნისი) მოსარჩელის მამა ფ. გ-ი გარდაცვლილი იყო. 2011 წლის 3 აგვისტოს რ. გ-ის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, რომლითაც მან მიიღო გარდაცვლილი მამის – ფ. გ-ის სამკვიდრო, სამკვიდროს გახსნის დროდ მითითებულია 1995 წლის 31 მარტი, ხოლო სამკვიდროს გახსნის ადგილად – ქ. თბილისი, შიდა ქვეით, სამკვიდრო მოწმობის მიხედვით, მემკვიდრე რ. გ-ს სამკვიდრო მიღებული აქვს ფაქტობრივი ფლობით, რადგან 1987 წლის 1 იანვრიდან ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად ქ. თბილისში, გ. ბ-ის ქუჩა №21-ში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არც მოსარჩელე და არც მამამისი სადაც საცხოვრებელ სადგომში არასდროს ყოფილან რეგისტრირებული.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული უდავო ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ კანონის მიღების მომენტისთვის რ. გ-ი კეთილსინდისიერად ფაქტობრივად არ ფლობდა სადაც საცხოვრებელ სადგომს ქ. თბილისში, ა-ის შესახვევ №3-ში.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ამ ფაქტობრივი გარემოების უარსაყოფად სააპელაციო საჩივარში მითითებული არ არის რაიმე გარემოებასა და მის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე.

პალატამ ასეთ მტკიცებულებად არ ჩათვალა სარჩელზე დართული „ყაზტრანსგაზის“ ორი ქვითარი და კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი სალაროს შემოსავლის ორი ორდერი. უპირველესად, ისინი ასახავენ 2008 წლის მდგომარეობას, ამასთან, კომუნალური გადასახადების შემტან პირებად ერთ შემთხვევაში მითითებულია ე. ბ-ა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ვ. მ-ა. მოსარჩელეს არ მიუთითებია და სათანა-

დღო მტკიცებულებებით არ დაუდასტურებია დასახელებული პირების კავშირი მასთან და სადაცო საცხოვრებელ სადგომთან.

ამასთან, 2008 წლის 17 დეკემბრით დათარიღებული შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის წერილის მიხედვით, სადაცო საცხოვრებელ სადგომში 2008 წლის მდგომარეობით რ. გ-ის მინდობილობით ცხოვრობს მოქალაქე რ.კ-ი, თუმცა საქმეში არ მოიპოვება ასეთი მინდობილობა და აღნიშნული წერილითაც არ ირკვევა, რა მინდობილობაზეა საუბარი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. გ-ის უფლებამონაცვლე ნ. გ-ამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად ან ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკამაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

გაასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო სააპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის უხეში დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულებები და სრულად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიჩნია, რომ აღნიშნული წერილობითი ხელშეკრულებები წარმოადგენს არა საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებულ წერილობით ნასყიდობის ხელშეკრულებებს, არამედ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებებს.

სასამართლომ არ გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებმა არამართებულად მიიჩნიეს, რომ პირს, რომელსაც გააჩნია მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით, მოსარგებლის სტატუსის მისაღებად დამატებით ესაჭიროება კიდევ სხვა მტკიცებულებების წარდგენა იმის დასტურად, რომ კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობდა საცხოვრებელ სადგომს.

ამდენად, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის

1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მითითება „კეთილსინ-დისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს“ გულისხმობს მფლობელობის უფლებას, რაც არ ნიშნავს ნივთის ფიზიკურ პყრობას, რომელიც მოპოვებული აქვს მოსარგებლეს მესაკუთრესთან გარიგების საფუძველზე. აღნიშნული გარიგება შეიძლება მიუთითობდეს სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებულ წერილობით ნასყიდობის ხელშეკრულებაზე და სარგებლობის უფლების დათმობაზე.

აღნიშნული დანაწესის განმარტებიდან გამომდინარე, მოსარგებლე შესაძლებელია, არ ცხოვრობდეს სადაც საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს, რომ მან მიატოვა სადაც საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა დასტურდებოდეს სადაც საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების მიტოვების წება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე რ. გ-ის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები წარმოადგენს არა საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებულ წერილობით ნასყიდობის ხელშეკრულებებს, არამედ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებებს. სააპელაციო პალატას კი, რომლის განჩინებითაც ძალაში დარჩა წინამორბედი სასამართლო აქტი, მითითებული გარემოების საწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოება არ დაუდგენია.

სასამართლომ ვერ მიუთითა ვერც ერთ გარემოებაზე და, შესაბამისად, ვერ დაასაბუთა ის ფაქტი, რომ განსახილველ საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები წარმოადგენს არა საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებულ წერილობით ნასყიდობის ხელშეკრულებებს, არამედ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებებს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ფ. ა-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება ს. ა-ი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიღა იმ დასკვნამდე, რომ რ. გ-ის უფლებამონაცვლე ნ. გ-ას საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილ-

დეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი ხასათის საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, სადაც საცხოვრებელი სადგომის (მდებარე ქ.თბილისი, ა-ის შესახვევი №3) 2/4 ნილის მესაკუთრეა ფ. ა-ი, რომელიც წარმოადგენს თავდაპირველი მესაკუთრის უფლებამონაცვლეს.

საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, ე.ა-მა, მცხოვრები გ-ის ქუჩა №4ა-ში, სახლის აღსადგენად 1948 წელს კ-ი მ.მ-ან მიიღო 17000 მანეთი. სხვა ბინაში გადასვლასთან დაკავშირებით, საცხოვრებელ სადგომს ყიდის 1700 მანეთად გ-ი ფ. მ. ო-ე 25.01.65 წელს მუდმივ საცხოვრებლად სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასვლასთან დაკავშირებით, მას უფლება აქვს გაყიდოს და ასე მიიღოს ფული. მეორე ხელშეკრულების თანახმად, კ-ი მ.მ მცხოვრები გ-ის ქ. №4ა-ში, ყიდის მის საცხოვრებელ სადგომს, რომლის ფართია 18 კვ.მ გ-ი ფ. მ. ო-ე 2200 მანეთად, ხოლო სხვა ადგილზე გადასვლის შემთხვევაში მათ უნდა გაყიდონ თავისი სახლი და ასე მიიღონ ფული. აღნიშნულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ფ. გ-ს მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით.

ფ. გ-ის სამკვიდრო ქონება მემკვიდროებით მიიღო რ. გ-მა 2011 წლის 3 აგვისტოს. სამკვიდრო მოწმობის თანახმად, სამკვიდროს გახსნის დროდ მითითებულია 1995 წლის 31 მარტი, ხოლო სამკვიდროს გახსნის ადგილია ქალაქ თბილისი, შ-ის №21. მემკვიდრეს რ. გ-ს სამკვიდრო მიღებული აქვს ფაქტობრივი ფლობით, რადგან ცხოვრობდა სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად ქ.თბილისში გ-ის ქუჩა №21-ში 1987 წლის 1 იანვრიდან.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მომენტისთვის, ვერც თავდაპირველი მოსარგებლის და ვერც მის მიერ სადაც საცხოვრებელი სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობის ფაქტი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის ადგილი აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებას. კასატორის მისაზრებით, სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულებებს და მათ საფუძველზე არ დაადგინა, რომ ისინი წარმოადგენენ სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებულ ნერილობით ნასყიდობის ხელშეკრულებებს. კასატორის პრეტენზია ასევე ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას სამოქალაქო საქმეებზე და მიიჩნევს, რომ საცხოვრებელი სადგომის მიტოვება უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ნებელობითი აქტით, რაც სასამართლოს არ დაუდგენია. საკასაციო სასამართლო კასატორის მითითებულ პრეტენზიათა საფუძვლი-ანობის შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 ოქტომბერიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებების საფუძველზე, მართებულად ჩათვალა, რომ სადავო ურთიერთობა სწორედ დასახელებული კანონის რეგულირების სფეროში ექცეოდა.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონი განასხვავებს სამი ტიპის მოსარგებლეს, რაზედაც დამოკიდებულია საცხოვრებელ სადგომზე კომპენსაციის ოდენობა, შესაბამისად, მოსარგებლის სამართლებრივი სტატუსის დადგენას საცხოვრებელ სადგომთან მიმართებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს. მითითებული კანონის 11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტის-თვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ

სადგომის მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით.

საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულებათა შინაარსიდან დგინდება, რომ სადგომის მესაკუთრე ე. ა-მა სახლის აღსადგენად 1948 წელს კ-ან მიიღო 17000 მანეთი. სანაცვლოდ კაცობაში სარგებლობდა ე. ა-ის საკუთრებაში არსებული ბინით. მესაკუთრემ გამოიტვა თანხმობა, კ-მა ფული მიიღოს საცხოვრებელი სადგომის ფ. გ-ის მიყიდვის (დათმობის) გზით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოთავაზებული გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, თავისი შინაარსით არატიპიურ სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა და იგი საბჭოთა სინამდვილეში ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის სახით არსებობდა. ეს სახელშეკრულებო ურთიერთობა რადიკალურად განსხვავდებოდა სხვა ინსტიტუტებისაგან (ქირავნობა, სესხი, გირავნობა), მისი არსებობისას, მოსარგებლე მესაკუთრეს ერთჯერადად უხდიდა გარკვეული რაოდენობის თანხას ფართის სარგებლობაში მიღების სანაცვლოდ, მოსარგებლე, როგორც წესი რეგისტრირდებოდა საცხოვრებელ ფართში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. მესაკუთრის მიერ თანხის დაბრუნების შემთხვევაში, მოსარგებლე ვალებული იყო, გამოეთავისუფლებინა დაკავებული ფართი, თუმცა, ხშირ შემთხვევებში, მესაკუთრე თანხას ვერ აპრუნებდა, ურთიერთობა ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა და უფლება მემკვიდრეებზე გადადიოდა. მესაკუთრის მიერ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლების გადაცემა მოსარგებლეზე ფაქტობრივად ხდებოდა სამუდამოდ, ანუ ეს ურთიერთობა არ ატარებდა დროებით (ხანმოკლე) ხასიათს. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარგებლე იძენდა დათმობილი სარგებლობის უფლების გასხვისების შესაძლებლობასაც. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებისაგან განსხვავებით, მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, მხარეები წერილობით თანხმდებოდნენ გარიგების არსებით პირობებზე, ასევე რეალურადაც ხდებოდა ნასყიდობის საგნის შემძენისათვის, ხოლო ნასყიდობის ფასის გამყიდველისათვის გადაცემა, თუმცა, მსგავსი გარიგე-

ბები იდებოდა შინაურული ფორმით, სანოტარო დამოწმების გარეშე. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა სპეციალური კანონის მიღებით, ამგვარი გარიგების სუბიექტებს შესაძლებლობა მისცა, ამ კანონით დადგენილი წესით მოახდინონ საკუთრების უფლების რეალიზაცია.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიას საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის თაობაზე დაუსაბუთებლად მიიჩნევს, და თვლის რომ მას „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობას შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, წარმოშობა ვალდებულება სარგებლობის უფლებით დათმობილ ფართზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად გადაიხადოს საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%.

რაც შეეხება ნივთის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 11 მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მფლობელობის იურიდიული ბუნება არ გულისხმობს ნივთთან მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზღუდული არ არის. მოსარგებლე შესაძლებელია არ ცხოვრობდეს სადაც საცხოვრებელ სადგომში გარკვეული პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის განმავლობაში არ იხდიდეს კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან მიატოვა სადაც საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება. გასაზიარებელია კასატორის მოსაზრება, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უნდა დასტურდებოდეს სადაც საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების მიტოვების ნება.

ამდენად, ის ფაქტი, რომ სამკვიდრო გაიხსნა ქ. თბილისში, შ-ის №21-ში, ასევე მემკვიდრე რ. გ-ი სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად ცხოვრობდა ქ.თბილისში, გ.ბ-ის ქ. №21-ში 1987 წლის 1 იანვრიდან, ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს მფლობელობის შეწყვეტას. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ამ მიმართებით არ ემყარება მოპასუხის (მესაკუთრის) შესაგებელსა

და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ამ ნაწილში წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე<sup>1</sup> ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნული ნორმა მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ დაუსაბუთებლობაზე, რაც აფერხებს გადაწყვეტილების კანონიერების სრულყოფილ შემოწმებას. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით არ არის დადგენილი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, რა მოცულობის ფართი წარმოადგენდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საგანს, ასევე რას შეადგენს საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საპაპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობის ფაქტი, რა მოცულობის ფართი წარმოადგენდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საგანს, რას შეადგენს საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს სარჩელის საფუძვლიანობა.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. გ-ის უფლებამონაცვლე ნ. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკ-  
მაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-  
ლაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განჩინება და საქ-  
მე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-  
რდება.

## შრომის სამართალი

### შრომითი ხელშეკრულების გაზრდილება გაცესაზღვრები ვალით

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-371-349-2014

31 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-  
დგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-მ, ხ. ჩ-მ, ო. კ-მა, ქ. ხ-მ, ქ. ჩ-მა, ე. ბ-მა, მ. ს-მ, ლ. ჯ-მ, ზ.  
ჯ-მ და გ. მ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „..... ც-ის“  
მიმართ და მოითხოვეს მათი სამუშაოდან გათავისუფლების შე-  
სახებ მოპასუხის ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-  
დგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შემდეგი სა-  
ფუძვლებით:

მოსარჩელები წლების განმავლობაში მუშაობდნენ მოპასუ-  
ხე საზოგადოებაში სხვადასხვა თანამდებობებზე. დირექტო-  
რის ბრძანების საფუძველზე მათთან ეტაპობრივად გაფორმდა  
შრომითი ხელშეკრულებები 6 თვის ვადით.

2012 წლიდან ეროვნული ცენტრის მესაკუთრე გახდა სადაზ-  
ღვევი კომპანია „ა-ი“, რა დროიდანაც სამუშაოდან გათავისუფ-  
ლდა 70 თანამშრომელი.

2013 წლის 16 მაისს მოსარჩელები ..... ც-ის დირექტორ-  
მა გამოიძახა საკონფერენციო დარბაზში. დირექტორმა მათ მად-  
ლობა გადაუხადა ამ დროის განმავლობაში განეცული მუშაობი-  
სათვის და გააფრთხილა, რომ 1 ივნისიდან ისინი დათხოვნილი  
იქნებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

ამდენად, მოსარჩელები სამუშაოდან დაითხოვეს ყოველ-  
გვარი მიზეზის გარეშე.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადაც ბრძა-  
ნებები მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით, შესაბა-

მისად, მოსარჩელეები სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლდნენ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ნ. გ-მ, ხ. ჩ-მ და ო. კ-მა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ხ. ჩ-ისა და ნ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ხ. ჩ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შპს „.....ც-ის“ დირექტორის 2013 წლის 15 მაისის ბრძანება ხ. ჩ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და 2013 წლის 15 მაისის ბრძანება ნ. გ-სთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ნ. გ-ს უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ ო. კ-სა და შპს „.....ც-ს“ შორის 2012 წლის 3 დეკემბერს 2013 წლის 3 ივნისამდე დაიდო შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით. ხელშეკრულების 3.2. 3.3. და 3.4. პუნქტების თანახმად, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დამსაქმებელს შეეძლო, დასაბუთების მიუთითებლად, შეწყვეტა დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა.

2013 წლის 1 ივნისს, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის საფუძველზე, დამსაქმებელმა ოლდა კევლიშვილთან შრომითი ურთიერთობები შეწყვიტა.

შპს „.....ც-ის“ დირექტორის 2013 წლის 29 მარტის ბრძანებით საწარმოს მუშაკებს, მათ შორის, ხ. ჩ-ს საწარმოსთან შრომითი ურთიერთობის ვადა 2013 წლის 1 აპრილიდან გაუგრძელდათ 2013 წლის 1 ოქტომბრამდე.

ხ. ჩ-ე შრომითი ხელშეკრულების ამ პირობას დაეთანხმა, ბრძანებას ხელი მოაწერა და სამუშაოს შესრულებას შეუდგა.

2013 წლის 1 ივნისს დამსაქმებელმა ხ. ჩ-ს შრომითი ხელშეკრულება მოუშალა.

ნ. გ-ე შპს „.....ც-ის“ იურისტად დაინიშნა 2012 წლის 24 აგვისტოს 2013 წლის 1 იანვრამდე. ამის შემდეგ, ნ. გ-სთან შრომითი ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა სამი თვით, 2013 წლის 1 აპრილამდე.

2013 წლის 29 მარტს საწარმოს დირექტორმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ნ. გ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრა 2013 წლის 1 მაისამდე, თუმცა ნ. გ-ე ამ ბრძანებას არ დაეთანხმა და მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობები გაგრძელდა ისევ 3 თვეს ვადით.

2013 წლის 1 ივნისიდან დამსაქმებელმა ნ. გ-ე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო.

სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს 2013 წლის 12 ივნისის ორგანული კანონით საქართველოს შრომის კოდექსში შევიდა ცვლილებები, თუმცა, ამ ნორმატიულ აქტს უკუქცევითი ძალა არ მისცემია. ამიტომ, სადაცვო ურთიერთობის მოწესრიგებისას გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს შრომის კოდექსის, გასაჩივრებული ბრძანებების გამოტანის დროისათვის მოქმედი რედაქცია.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ო. კ-სა და შპს „..... ც-ს“ შორის დადებული ხელშეკრულება გარიგების შეწყვეტისათვის კანონით დადგენილი პირობისაგან განსხვავებულ პირობას არ ითვალისწინებდა. პირიქით, ხელშეკრულების თანახმადაც, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად დამსაქმებელს რაიმე სახის დასაბუთება არ ესაჭიროებოდა. ამის საწინააღმდეგო მტკიცებულებები ო. კ-ს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია და არც მიუთითებია მათზე.

ამიტომ, შპს „..... ც-ი“ 2013 წლის 3 ივნისამდე უფლებამოსილი იყო, მოემალა ო. კ-თან შრომითი ხელშეკრულება.

დამსაქმებელმა აპელანტთან შრომითი ხელშეკრულება მოშალა 2013 წლის 1 ივნისს, ამის გამო, ო. კ-ის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო.

2013 წლის 1 ივნისის დროისათვის მოქმედი რედაქციით, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი იყო შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შრომითი ურთიერთობების უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად შეწყვეტით ირღვეოდა და ირღვევა, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს აქტებით დაცული ადამიანის ძირითადი, შრომითი უფლება. ამიტომ, შრომითი ურთიერთობების უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად შეწყვეტა კანონსაწინააღმდეგოა.

პალატამ მიიჩნია, რომ კანონის თანახმად შრომითი ხელშეკრულების მოშლა იყო შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის დამოუკიდებელი, ცალკე საფუძველი. დამსაქმებელს შეეძლო, მოეშალა შრომითი ხელშეკრულება შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის სხვა საფუძვლების არარსებობის შემთხვევაშიც, თუ იარსებებდა ობიექტური გარემოება, რომელიც ამ ხელშეკრულების შეწყვეტას ამართლებდა.

შპს „.....ც-მა“ ხ. ჩ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოშლას საფუძვლად დაუდო „შრომითი ხელშეკრულების მოშლის რეკომენდაციის“ აქტი.

პალატამ მიიჩნია, რომ აქტში მითითებული რეკომენდაციები ყოვლად დაუსაბუთებელია. გაუგებარია, თუ რატომ გასცა რეკომენდაცია კომისიამ, მაინცდამაინც, აპელანტებთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, რას ეფუძნებოდა კომისიის პოზიცია და რატომ გაიზიარა დამსაქმებელმა ეს რეკომენდაციები. აღნიშნული არ დადასტურდა სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებითაც. სასამართლოს სხდომაზე კომისიის ნევრებმა ვერ განმარტეს, თუ რას ეფუძნებოდა მათი რეკომენდაცია, უშუალოდ, ხ. ჩ-სთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ხ. ჩ-სთან შრომითი ურთიერთობების 2013 წლის 1 ოქტომბრამდე გაგრძელების თაობაზე დამსაქმებელმა გამოსცა პრძანება, რომლის საფუძველზეც ხ. ჩ-მ სანარმოში საქმიანობა გააგრძელა, რაც ნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული იყო შრომითი ხელშეკრულება და ეს ხელშეკრულება მოქმედებდა 2013 წლის 1 ოქტომბრამდე.

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციისაგან განსხვავებულ წესს საქართველოს შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს. ამიტომ, დამსაქმებელი ვალდებული იყო, დაეცვა ხ. ჩ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობები და,

ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, განსაკუთრებული საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, არ შეეწყვიტა მასთან შრომითი ურთიერთობები. როგორც აღინიშნა, დამსაქმებელმა ვერ დაამტკიცა ხ. ჩ-სთან შრომითი ურთიერთობების მოშლის წინაპირობების არსებობა, ამიტომ გასაჩივრებული ბრძანებით მან დაარღვია როგორც კანონისმიერი, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ბრძანება ხ. ჩ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე მართლსაწინააღმდეგოა. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად კი, მართლსაწინააღმდეგი გარიგება ბათილია. ამგვარად, ხ. ჩ-ის მოთხოვნა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლომ საფუძვლიანად ჩათვალა.

ამავდროულად, პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასული იყო და დამსაქმებელს აპელანტთან შრომითი ურთიერთობების გაგრძელების ნება არ გამოუხატავს.

პალატის მოსაზრებით, ერთ-ერთი მხარისათვის ახალი შრომითი ხელშეკრულების დადების დავალდებულების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები არ არსებობს. ამის გამო, ხ. ჩ-ის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე უსაფუძვლოა, თუმცა, პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დროიდან 2013 წლის 1 ოქტომბრამდე, ე.ი. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ხ. ჩ-მ შრომითი მოვალეობები ვერ შეასრულა ბათილი ბრძანების გამო, ე.ი. დამსაქმებლის ბრალით.

საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. შესაბამისად, დამსაქმებელმა ხ. ჩ-ს სრულად უნდა გადაუხადოს შრომის ანაზღაურება 2013 წლის 1 ივნისიდან 2013 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდისათვის. ამასთან, დამსაქმებლის მიერ აპელანტისათვის უკვე გადახდილი 1 თვის საზღაური ამ თანხას არ უნდა გამოაკლდეს, რადგან იგი აპელანტს შრომითი ანაზღაურების სახით მიღებული არა აქვს და მისი უკან დაბრუნება შპს „..... ც-ს“ არ მოუთხოვია.

სასამართლომ დაადგინა, რომ ხ. ჩ-ის ხელფასი, ხელზე ასა-  
ლები თანხა, ყოველთვიურად, შეადგენდა 560 ლარს. 2013 წლის  
1 ივნისიდან 2013 წლის 1 ოქტომბრამდე გავიდა 4 თვე. ამიტომ,  
შპს „..... ც-მა“ ხ. ჩ-ს იძულებითი მოცდენისათვის უნდა  
გადაუხადოს  $560 \times 4 = 2240$  ლარი.

შპს „..... ც-ის“ დირექტორის 2013 წლის 14 ივნისის წერი-  
ლითა და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თავად ნ. გ-ის  
განმარტებებით დასტურდება, რომ ნ. გ-სა და მონინააღმდეგი  
მხარეს შორის შრომითი ხელშეკრულება დაიდო სამი თვის ვა-  
დით და მისი მოქმედების ვადა გავიდა 2013 წლის 1 აპრილს.  
ამის შემდეგ, მხარეები შრომითი ხელშეკრულების ახალ პირო-  
ბებზე ვერ შეთანხმდნენ და ნ. გ-მ საწარმოში საქმიანობა გააგ-  
რძელა.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის  
თანახმად, პალატამ მიუთითა, რომ ნინა შრომითი ხელშეკრუ-  
ლება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულე-  
ბები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით. 2013 წლის  
1 აპრილის შემდეგ, ნ. გ-სა და მონინააღმდეგე მხარეს შორის  
ხელშეკრულება განახლებული პირობებით აღარ დადებულა,  
ამიტომ, ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე, ძალაში დარჩა  
ნინა შრომითი ხელშეკრულების პირობები. ამ ხელშეკრულების  
თანახმად, კი ნ. გ-ე საწარმოში დასაქმებული იყო 3 თვის ვა-  
დით, ე.ი. 2013 წლის 1 ივლისამდე. შესაბამისად, 2013 წლის 1  
ივნისს ნ. გ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა  
გასული არ ყოფილა და, ამ მოტივით, მასთან შრომითი ურთიერ-  
თობების შეწყვეტა მართლსანინააღმდეგო იყო.

სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს სამოქალაქო  
კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბრძანება ნ. გ-სთან შრო-  
მითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ იყო ბათილი და ამ  
ნაწილში აპელანტის მოთხოვნა საფუძვლიანია.

სასამართლოს მოსაზრებით, შრომითი ხელშეკრულების  
მოქმედების ვადის გასვლის, ე.ი. 2013 წლის 1 ივლისის შემდეგ  
დამსაქმებელს აპელანტთან შრომითი ურთიერთობების გაგ-  
რძელების სურვილი არ გამოუხატავს და, საქართველოს შრო-  
მის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მისთვის  
ამ ხელშეკრულების დადების დავალდებულების სამართლებ-  
რივი საფუძვლები არ არსებობს.

ამდენად, პალატამ ნ. გ-ის სარჩელი სამუშაოზე აღდგენის  
ნაწილში უსაფუძვლოდ ჩათვალა.

ამავდროულად, პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს შრო-  
მის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

დამსაქმებელმა 6. გ-ს უნდა გადაუხადოს იძულებითი განაც-დური 2013 წლის 1 ივნისიდან 2013 წლის 1 ივლისამდე პერიო-დისათვის, ანუ ერთი თვის ხელფასის ოდენობით. დადგენილია, რომ 6. გ-ის ხელფასი, ხელზე ასაღები თანხა, შეადგენდა ყო-ველთვიურად 320 ლარს. ამიტომ, შპს „..... ც-მა“ 6. გ-ს იძულე-ბითი მოცდენისათვის უნდა გადაუხადოს 320 ლარი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 6. გ-მ გაასაჩივ-რა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. კასატ-რის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შე-აფასა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერ-თობა გაგრძელდა სამი თვით. ვინაიდან მოსარჩელე 2013 წლის 1 მაისის შემდეგ დაწესებულებაში კვლავ აგრძელებდა საქმია-ნობას, ხოლო მხარეთა შორის რაიმე ვადაზე შეთანხმება არ მიღ-ნეულა, შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით გაგ-რძელებულად უნდა ჩაითვალოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-ჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ 6. გ-ის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარე-მოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის არ-სებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებზე:

6. გ-ე შპს „..... ც-ის იურისტად დაინიშნა 2012 წლის 24 აგვის-ტოს 2013 წლის 1 იანვრამდე.

2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 6. გ-სთან შრომითი ხელშეკ-რულების მოქმედების ვადა განისაზღვრა სამი თვით, 2013 წლის 1 აპრილამდე.

2013 წლის 29 მარტს საწარმოს დირექტორმა გამოსცა ბრძა-ნება, რომლითაც 6. გ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოქმე-დების ვადა განსაზღვრა 2013 წლის 1 მაისამდე, რასაც დასაქ-მებული არ დაეთანხმა და მხარეთა შორის შრომითი ურთიერ-თობები გაგრძელდა ისევ 3 თვით.

2013 წლის 1 ივნისიდან დამსაქმებელმა 6. გ-ე გაათავისუფ-ლა დაკავებული თანამდებობიდან ხელშეკრულების მოქმედე-ბის ვადის გასვლის გამო.

6. გ-ის ხელფასი (ხელზე ასაღები თანხა) შეადგენდა ყოველ-თვიურად 320 ლარს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ 6. გ-სთან შრომითი ურთიერთობა 2013 წლის 1 აპრილიდან გაგრძელდა 3 თვით. კასატორის მოსაზრებით, 2013 წლის 1 მაისის შემდეგ, დამსაქმებელს მისთვის რაიმე ახალი პირობა არ შეუთავაზებია და არც ხელშეკრულების ვადა განუსაზღვრავს. 2013 წლის 1 მაისიდან კასატორმა ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელა საქმიანობა 1 იგნისამდე. შესაბამისად, 2013 წლის 1 აპრილიდან, შრომითი ურთიერთობის ფაქტობრივი გაგრძელების გამო, შრომითი ურთიერთობა განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად ითვლება.

საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზის მართებულობის შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

სადაცვო ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვალით. ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში სამართლის ნორმათა გამოყენების პრინციპს, კერძოდ, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

შრომითი ხელშეკრულების, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების წარმოშობასთან, შეცვლასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის ურთიერთობები მთლიანად წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განმარტებუ-

ლია, თუ რა ჩაითვლება არსებით პირობად. ასეთია ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება. საკასაციო პალატის შეფასებით, ვადა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, რომელიც საჭიროებს მხარეთა შორის შეთანხმებას.

მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლში აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელმაც ნორმატიული ასახვა ჰქოვა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველ ნაწილში – „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“. შესაბამისად, მხარეებს სრული თავისუფლება აქვთ, შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების ვადებზე. ისინი ამით საკუთარი ნებით განსაზღვრავენ ვალდებულების შესრულების დროს. როდესაც ხელშეკრულებით რაიმე მოვლენის დადგომის მომენტი მკაფიოდა განსაზღვრული, სახეზეა განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულება. სანინააღმდეგო შემთხვევაში, ივარაუდება, რომ სახეზეა განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ნ. გ-ე შპს „..... ც-ის“ იურისტად დაინიშნა 2012 წლის 24 აგვისტოს 2013 წლის 1 იანვრამდე. 2013 წლის 1 იანვრიდან ნ. გ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა სამი თვით, 2013 წლის 1 აპრილამდე. 2013 წლის 29 მარტს სანარმოს დირექტორმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ნ. გ-სთან შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა დაადგინა 2013 წლის 1 მაისამდე, რასაც დასაქმებული არ დაეთანხმა. დასაქმებულმა ისე გაავრძელა საქმიანობა 2013 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე, რომ მხარეები ხელშეკრულების მოქმედების რაიმე ვადაზე არ შეთანხმებულან.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგნილ შპს „..... ც-ის“ 2013 წლის 14 ივნისის 01/491 წერილს, რომელშიც ცენტრის დირექტორი ნ. გ-სთან მიმართებაში განმარტავს შემდეგს: ნ. გ-ის შრომის ხელშეკრულება 2013 წლის 1 აპრილს განისაზღვრა ერთი თვით, მაგრამ ვინაიდან ხელშეკრულების გასვლის შემდგომ არ მომზდარა ხელშეკრულების შეწყვეტა, ისევ გაგრძელდა შესაბამისი ვადით. საქმეში არ მოიპოვება ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, მა-

შინ, როდესაც მოპასუხეს ეკისრებოდა ვადასთან დაკავშირებით არა მხოლოდ ფაქტების მითითების, არამედ მისი სათანადო მტკიცებულებებით დამტკიცების ტვირთიც. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას ხელშეკრულების მოქმედების ვადის სამი თვით გაგრძელების შესახებ, აღნიშნული არ გამომდინარებს საქმის მასალებიდან. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია, რის საფუძველზეც, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა 2013 წლის 1 აპრილიდან უნდა ჩაითვალოს განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დაასკვნის, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა ნ. გ-ის საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა) სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, რაც ნიშნავს ნ. გ-ის იმ უფლებებში აღდგენას, რომელშიც სადაც ბრძანების გამოცემამდე იმყოფებოდა.

შრომის კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდების დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. გ-ის ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენდა ყოველთვიურად 320 ლარს. მითითებული ნორმის საფუძველზე, მოპასუხე ვალდებულია ნ. გ-ს აუნაზღაუროს იძულებითი მოცდენის დროის მთელი პერიოდი, 2013 წლის 1 ივნისიდან შრომითი ურთიერთობის განახლებამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საკასაციო პრეტენზიის გაზიარებით, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ გადაწყვიტოს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა,

რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. გ-მ სამივე ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხდა 550 ლარი. აქედან გამომდინარე, შპს „..... ც-ს“ ნ. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა 550 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „..... ც-ს“ ნ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 320 ლარის გადახდა და ნ. გ-ს უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე.
3. ნ. გ-ე აღდგენილ იქნეს შპს „..... ც-ში“ იურისტის თანამდებობაზე.
4. შპს „..... ც-ს“ დაეკისროს ნ. გ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2013 წლის 1 ივნისიდან სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდის გათვალისწინებით, ყოველთვიურად 320 ლარის ოდენობით.
5. შპს „.... ც-ს“ დაეკისროს ნ. გ-ის სასარგებლოდ 550 ლარის გადახდა.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შრომითი ხელშეკრულების დარღვევის გამო  
პირგასამტებლოს დაკისრება**

**გადაცევაფილება  
საქართველოს სახელით**

№ას-973-914-2012

1 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** პირგასამტებლოს დაკისრება

**აღნერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 4 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სს „ს. ბ-  
მა“ მოპასუხეების – თ. ს-სა და ზ. გ-ის მიმართ. მოსარჩელებ  
მოითხოვა, 2009 წლის 16 ნოემბრის შრომის ხელშეკრულების  
მოთხოვნის დარღვევის გამო, პირგასამტებლოს სახით, მოპა-  
სუხე თ. ს-ის 18863.44 ლარის, ხოლო ზ. გ-ის – 20009.23 ლარის  
დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2009 წლის 16 ნოემბერს სს „ს.  
ბ-სა“ და მოპასუხეებს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრუ-  
ლება. 2011 წლის 26 მარტს თ. ს-ი და ზ. გ-ე, პირადი განცხადე-  
ბის საფულეოლზე, გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებო-  
ბიდან. 2011 წლის 28 მარტს კი, სს „ლ. ბ-ი“ დაინიშნენ. აღნიშნუ-  
ლი ინფორმაცია მოპასუხეებს სს „ს. ბ-ის“ არ უცნობებიათ, რი-  
თაც დაარღვეის 2009 წლის 16 ნოემბრის შრომითი ხელშეკრუ-  
ლების მე-12 მუხლი. ამავე ხელშეკრულების 12.4 მუხლის თა-  
ნახმად, მოსამსახურის მიერ ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით  
გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში,  
იგი ვალდებულია, დამქირავებულს პირგასამტებლო გადაუხა-  
დოს იმ ოდენობით, რაც ტოლია ხელშეკრულების შეწყვეტამდე  
12 თვის განმავლობაში დამქირავებლის მიერ მოსამსახურისათ-  
ვის გადახდილი ნებისმიერი სახის ანაზღაურების.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკია-  
ყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სს „ს. ბ-ის“  
ცნობილი იყო, როგორც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის,  
ასევე, სამომავლო შრომითი გეგმების შესახებ, თუმცა მათ რე-

აგირება არ მოუხდენიათ და შრომითი ხელშეკრულების მე-12 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ გამოუგზავნიათ წერილობითი შეტყობინება შრომის უფლების შეზღუდვის შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლო შეუსაბამოდ მაღალი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სს „ს. ბ-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩინორა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მაისის განჩინებით სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩინარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. 2009 წლის 16 ნოემბერს ზ. გ-ეს (დასაქმებული) და სს „ს. ბ-ს“ (დამსაქმებელი) შორის გაფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ზ. გ-ე დაინიშნა პერსონალური ბანკირის თანამდებობაზე;

2. 2009 წლის 16 ნოემბერს თ. ს-ს (დასაქმებული) და სს „ს. ბ-ს“ (დამსაქმებელი) შორის გაფორმდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც თ. ს-ი დაინიშნა პერსონალური ბანკირის თანამდებობაზე;

3. სს „ს. ბ-ის“ გენერალური დირექტორის მოადგილის 2011 წლის 24 მარტის №700-კ ბრძანებით ზ. გ-ე 2011 წლის 26 მარტიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე;

4. სს „ს. ბ-ის“ გენერალური დირექტორის მოადგილის 2011 წლის 24 მარტის №701-კ ბრძანებით თ. ს-ი 2011 წლის 26 მარტიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სს „ს. ბ-ის“ სარჩელით მოითხოვდა მოპასუხე თ. ს-ის 18863.44 ლარის, ხოლო ზ. გ-ის 20009.23 ლარის დაკისრებას იმ დასაბუთებით, რომ მათ დაარღვიეს 2009 წლის 16 ნოემბრის შრომითი ხელშეკრულებების 12.3. მუხლი, რომელიც ადგენს დასაქმებულის ვალდებულებას შეატყობინოს დამსაქმებელს სამსახურიდან წასვლის შემდგომ დასაქმების გეგმების და მათი ცვლილებების შესახებ მომდევნო 6 თვის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. გ-ეს და თ. ს-ს არ დაურღვევიათ შრომითი ხელშეკრულების პირობა და არ არ-სებობდა მათთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი, შემდეგი გარემოებების გამო:

2009 წლის 16 ნოემბერს სს „ს. ბ-სა“ და მოპასუხეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების 12.1 მუხლის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის, მათ შორის ვადის გასვლის შემთხვევაში, დამქირავებელს აქვს უფლება საკუთარი გადაწყვეტილებით და მოსამსახურისათვის წერილობითი შეტყობინების („დასაქმების სპეციალური პირობების“ შეტყობინების წერილი) გაგზავნის საფუძველზე შეუზღუდოს მოსამსახურეს უფლება იმუშაოს ფინანსურ სფეროში და/ან გაუნიოს საკონსულტაციო ან მსგავსი მომსახურება (უშუალოდ ან მასთან დაკავშირებული პირების მეშვეობით) კონკრეტულ ფინანსურ ინსტიტუტებს იმ ქვეყანაში/ებში, სადაც ოპერირებს დამქირავებელი და/ან მისი შვილობილი კომპანია/კომპანიები შემდეგი პირობებით („დასაქმების სპეციალური პირობები“). ხელშეკრულებების 12.1.1 მუხლის თანახმად, „დასაქმების სპეციალური პირობების“ მოქმედების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან. ამავე ხელშეკრულების 12.1.3 მუხლით განისაზღვრა დამსაქმებლის ვალდებულება დასაქმების სპეციალური პირობების მოქმედების პერიოდის ამონურვამდე მოსამსახურისათვის გადაიხადოს კომპენსაცია ყოველთვიური ხელფასის ოდენობით. ხელშეკრულებების 12.3. მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში მოსამსახურემ უნდა შეატყობინოს დამქირავებელს თავისი დასაქმების გეგმების და მათი ცვლილებების შესახებ მომდევნო 6 თვის განმავლობაში (მათ შორის მესამე მხარის ნინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულებების ჩათვლით). ხელშეკრულების 12.4 მუხლის თანახმად, მომსახურის მიერ ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაუხადოს დამქირავებელს პირგასამტეხლო იმ ოდენობით, რაც ტოლია ხელშეკრულების შეწყვეტამდე 12 თვის განმავლობაში დამქირავებელის მიერ მოსამსახურისათვის გადახდილი ნებისმიერი სახის ანაზღაურების (ხელფასისა და სხვა კომპენსაციების ჩათვლით).

ამდენად, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით განისაზღვრა, ერთი მხრივ, დასაქმებულის ვალდებულება სამსახურიდან წასვლის შემდგომ დასაქმების გეგმებისა და

ცვლილებების შესახებ მომდევნო 6 თვის განმავლობაში ნებისმიერი ფორმით (წერილობით ან ზეპირად) შეატყობინოს დამსაქმებელს და, მეორე მხრივ, დამსაქმებლის უფლება – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას საკუთარი გადაწყვეტილებით და მოსამსახურისათვის წერილობითი შეტყობინების („დასაქმების სპეციალური პირობების“ შეტყობინების წერილი) გაზიარების საფუძველზე შეუზღუდოს მოსამსახურეს უფლება იმუშაოს ფინანსურ სფეროში.

კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტი სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ სს „ს. ბ-ს“ დასაქმებულების განთავისუფლების შემდგომ არ მოუხდენია ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების რეალიზება და მოპასუხეებისათვის წერილობითი შეტყობინების („დასაქმების სპეციალური პირობების“ შეტყობინების წერილი) გაგზავნის საფუძველზე არ შეუზღუდავს უფლება ემუშავათ ფინანსურ სფეროში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაიკითხენ სს „ს. ბ-ის“ თანამშრომლები, რომლებიც სადაცო პერიდში მუშაობდნენ მოპასუხეებთან ერთად. მოწმედ დაკუთხული ლაპაბუღაძის განმარტებით, რომელიც მუშაობდა პერსონალური ბანკირის თანამდებობაზე, ისევე როგორც ზ. გ-ე და თ. ს-ი, მისთვის ცნობილი იყო მოპასუხეთა დასაქმების გეგმების, კერძოდ, მათი სს „ლ. ბ-ი“ გადასვლის თაობაზე. მოწმემ აქვე განმარტა, რომ აღნიშნული გარემოება მისთვის ცნობილი საიდუმლო ვითარებაში არ გამხდარა. ამავე სხდომაზე მოწმედ დაკითხულმა ირაკლი შამელაშვილმა, რომელიც ასევე მუშაობდა პერსონალური ბანკირის თანამდებობაზე, მიუთითა, რომ თავდაპირველად ზ. გ-ე და თ. ს-ი მიდიოდნენ რაღაც კინოპროექტში, თუმცა შემდგომში შეიცვალა მათი გეგმები და გადაწყვიტეს სს „ლ. ბ-ი“ გადასვლა. მოწმემ განმარტა, რომ ეს იცოდა მანამ, სანამ გამოიცემოდა ბრძანება მოპასუხეების სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა მოწმე თ. მ-ს ჩვენებაზე, რომელიც პერსონალური საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი იყო, ანუ უშუალოდ მოპასუხეთა (პერსონალურ ბანკირთა) ხელმძღვანელი. როგორც თ. მ-ემ განმარტა, მისთვის ზ. გ-ის და თ. ს-ის წასვლიდან დაახლოებით 2 თვის შემდგომ ცნობილი გახდა, რომ მოპასუხეები მუშაობდნენ სს „ლ. ბ-ი“ (იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.01.2012წ. სხდომის ოქმი CD დისკზე 16:36-16:37). ამდენად, უდავოდ დასტურდებოდა, რომ სახელშეკრულებო შეზღუდვის მოქმედების 6-თვიან ვადაში მისთვის ცნობილი იყო მოპასუხე-

ების სხვა ბანქში დასაქმება და მოსარჩელეს ამის საწინააღმდეგოდ არაფერი განუხორციელებია. სააპელაციო სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ისიც, რომ თეონა მიქაელი თავის ჩვენებაში უთითებდა ინფორმაციის მიღებას დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებისგანაც (ბანკირებისაგან). შესაბამისად, რადგან უშუალოდ ამ დეპარტამენტის თანამშრომლების დაკითხვით დასტურდებოდა, რომ დეპარტამენტში ხსენებული ინფორმაცია არ იყო დაფარული, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწმეების – თ. მ-ის და ნ. ი-ის ჩვენებები იმ ნაწილში, რომელთა მიხედვითაც, პირველი 2 თვის მანძილზე მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია მოპასუხეთა სხვა ბანქში დასაქმების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ბანკის თანამშრომლებისათვის ცნობილი იყო მოპასუხების დასაქმების გეგმები, კერძოდ, მათი სს „ლ. ბ-ი“ გადასვლის შესახებ, დაუსაბუთებელი იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეთა ხელმძღვანელობისათვის და ბანკის ადმინისტრაციისათვის ეს გარემოება იყო უცნობი. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, უშუალო ხელმძღვანელი ადასტურებდა, რომ ზ. გ-ის და თ. ს-ის წასვლიდან 6 თვემდე ვადაში ამის შესახებ მისთვის უკვე ცნობილი იყო.

სააპელაციო სასამართლომ, მოწმეთა ჩვენებების ერთობლივად, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების შედეგად დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. გ-ეს და თ. ს-ს არ დაურღვევიათ შრომითი ხელშეკრულების 12.3 პუნქტით აღებული ვალდებულება, მათ თავისი დასაქმების გეგმების და მათი ცვლილებების შესახებ შეატყობინეს დამსაქმებელს. აღნიშნულის საპირისპიროდ, დამსაქმებელს არ მოუხდენია მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზება და მოპასუხებისათვის წერილობითი შეტყობინების („დასაქმების სპეციალური პირობების“ შეტყობინების წერილი) გაგზავნის საფუძველზე არ შეუზღუდავს უფლება ემუშავათ ფინანსურ სფეროში ან გაეწიათ საკონსულტაციო სერვისები ფინანსური ინსტიტუტებისათვის.

დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსის 46-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი, ამავე კოდექსის 417-ე, 418-ე მუხლები და მიიჩნია, რომ ვინაიდან არ დგინდებოდა მოპასუხების მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფაქტი, არ არსებოდა მათთვის პირგასამტკებლოს დაკისრების საფუძველი. აღნიშნულიდან გმომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად არ

დააქმაყოფილა სს „ს. ბ-ის“.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. ბ-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინების შინაარსიდან გამომდინარე, პრაქტიკულად, სასამართლომ გაიზიარა ბანკის სამართლებრივი არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თ. ს-ი და ზ. გ-ე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებული იყვნებ მიენოდებინათ დამსაქმებლისათვის ინფორმაცია სს „ლ. ბ-ი“ მუშაობის დაწყების თაობაზე. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასეთი შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა 12.4 მუხლით განსაზღვრული პირგასამტებლო. ერთადერთი არგუმენტი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ დააქმაყოფილა ბანკის მოთხოვნა, არის 2 მოწმის – ლ. ბ-ის და ო. შ-ის ჩვენება. ისინი აღნიშნავენ, რომ მათთვის ცნობილი იყო მოპასუხების სს „ლ. ბ-ი“ დასაქმების გეგმის შესახებ, ამიტომ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელებმდე იცოდა მოპასუხეთა სხვა ბანკში დასაქმების სურვილის შესახებ და ამის საწინააღმდეგოდ რაიმე ზომა არ მიუღია. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა უსაფუძვლო და გაუგებარია. დასაქმებულების ნებისმიერი ვალდებულება (მათ შორის, დასაქმების გეგმის შესახებ ინფორმაციის მიზნდება) უშუალოდ უნდა შესრულებულიყო სს „ს. ბ-ის“, ანუ მისი უფლებამოსილი წარმომადგენლების წინაშე. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული პირის უფლებამოსილ წარმომადგენლად. ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნან ის პირები, ვინც სათანადო დოკუმენტაციის (მაგალითად, პარტიის წევა ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება) საფუძველზე სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებული არიან, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები. სადაცოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სასამართლოში მოწმედ დაკითხული პირები, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვერ იქნებიან მიჩნეული სს „ს. ბ-ის“ უფლებამოსილ წარმომადგენლებად. მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს ის გარემოება, რომ სს „ლ. ბ-ი“ მუშაობის დაწყებამდე გააფრთხილეს თუნდაც მათი უშუალო ზემდგომი თანამდებობის პირები – თ. მ-ე და ნ. ი-ი (დეპარტამენტის დირექტორი და დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე); ამდენად, ზემომითითებული გარემოებები იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ მოპასუხეებს არ შეუსრულები-

ათ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მათ არ გაუფრთხილებიათ სს „ს. ბ-ი“ შრომითი დასაქმების (სს „ლ. ბ-ი“) გეგმების შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომ თ. ს-სა და ზ. გ-ეს არ დაურღვევიათ შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა რა კასაციის საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის მოსაზრება გაზიარებული უნდა იქნეს.

სააპელაციო სასამართლომ შეაფასა საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებები და მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოპასუხების გეგმების თაობაზე მათი კოლეგები ინფორმირებული იყვნენ, დამსაქმებლისთვისაც ცნობილი იყო აღნიშნულის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის გულისხმობს მხარის მითითებას იმ საპროცესო სამართლებრივ დარღვევებზე, რის შედეგადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსაკუთრებით ეს ეხება მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საკითხს. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა გარანტირებული შედავების უფლებით და დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პოზიცია გაზიარებული უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის უნდა განისაზღვროს მხარეთა ვალდებულებები შრომის ხელშეკრულების მიხედვით და განიმარტოს, რა ჩაითვლება შეტყობინებად მოცემული ხელშეკრუ-

ლების მიზნებისათვის.

2009 წლის 16 ნოემბრის შრომის ხელშეკრულების 12.1 მუხლის შესაბამისად, „შრომითი ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის, მათ შორის ვადის გასვლის შემთხვევაში, დამქირავებელს აქვს უფლება საკუთარი გადაწყვეტილებით და მოსამსახურისათვის წერილობითი შეტყობინების (დასაქმების სპეციალური პირობების“ შეტყობინების წერილი) გაგზავნის საფუძვლზე შეუზღუდოს მოსამსახურეს უფლება იმუშაოს ფინანსურ სფეროში და/ან გაუწიოს საკონსულტაციო ან მსგავსი სერვისები (უშუალოდ ან მასთან დაკავშირებული პირების მეშვეობით) კონკრეტულ ფინანსურ ინსტიტუტებს იმ ქვეყანაში/ებში, სადაც ოპერირებს დამქირავებელი და/ან მისი შვილობილი კომპანია/კომპანიები შემდეგი პირობებით („დასაქმების სპეციალური პირობები“).“ ხელშეკრულებების 12.1.1 მუხლის თანახმად, „დასაქმების სპეციალური პირობების“ მოქმედების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან. ამავე ხელშეკრულების ხელშეკრულების 12.3 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში მოსამსახურემ უნდა შეატყობინოს დამქირავებელს თავისი დასაქმების გეგმების და მათი (ცვლილებების შესახებ მომდევნო 6 თვის განმავლობაში (მათ შორის მესამე მხარის წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულებების ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრული დასაქმების გეგმები შეიცვლება ხელშეკრულების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, დამსაქმებელს ხელახლა წარმოეშვება ამ ხელშეკრულების 12.1 და 12.2 პუნქტებით მინიჭებული უფლებები.“ ხელშეკრულების 12.4 მუხლის თანახმად, მოსამსახურის მიერ ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში იგი ვალდებულია გადაუხადოს დამქირავებელს პირგასამტებლო იმ ოდენობით, რაც ტოლია ხელშეკრულების შეწყვეტამდე 12 თვის განმავლობაში დამქირავებლის მიერ მოსამსახურისათვის გადახდილი ნებისმიერი სახის ანაზღაურების (ხელფასისა და სხვა კომპენსაციების ჩათვლით).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 12.1 მუხლით განისაზღვრა დამსაქმებლის უფლება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, დააწესოს გარკვეული შეზღუდვა, დასაქმებულის შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით, რის სანაცვლოდ, ბანკი იღებს ვალდებულებას, დასაქმებულს შრომის ანაზღაურება გადაუხადოს, ხოლო 12.3 მუხლი ითვალისწინებს დასაქმებულის ვალდებულებას, შრომითი ურ-

თიერთობის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში დამსაქმებელს მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმების გეგმებისა და მათი ცვლილების შესახებ. 12.4 მუხლით გათვალისწინებულია პირგასამტებლო აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 12.1 მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალიზება ბანების ნებაზეა დამოკიდებული და არ წარმოადგენს აუცილებელ მოქმედებას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ეტაპზე, ამასთან, აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა არ ათავისუფლებს დასაქმებულს შეტყობინების ვალდებულებისაგან და გავლენას არ ახდენს პირგასამტებლოს გადახდაზე, რაც ამ ვალდებულების დარღვევისთვისაა გათვალისწინებული. უფრო მეტიც, 12.4 მუხლის ბოლო ნინადადებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 12.1 მუხლით გათვალისწინებული უფლება წარმოადგენს დასაქმებულის შეტყობინების შემხვედრ ღონისძიებას, ანუ ჯერ დასაქმებულს ეკისრება დასაქმების გეგმებისა და ამ გეგმების ცვლილების თაობაზე ინფორმირების ვალდებულება და შემდგომ ბანკი იღებს გადაწყვეტილებას, შეზღუდვის დაწესების თაობაზე, რაც ლოგიკურია, ვინაიდან, დასაქმების გეგმების შემდგომი ცვლილების თაობაზე, დასაქმებულის შეტყობინების გარეშე, ბანკს, სავარაუდოდ, ხელი არ მიუწვდება. სააპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნული გარემოებები არ გაითვალისწინა და არასწორად განმარტა, რომ, ვინაიდან მოსარჩევებმ არ გამოიყენა 21.1 მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობა, მას არ აქვს პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება. სააპელაციო სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, როდესაც მოპასუხეებმა დამსაქმებელი წინასწარ გააფრთხილეს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, მათ აცნობეს, რომ სამუშაოდ გადადიოდნენ კინოპროექტში, ასევე მოპასუხეების კოლეგები, მოწმედ დაკითხული ლ. ბ-ე და ო. შ-ი ადასტურებენ, რომ მოპასუხეები თავდაპირველად კინოპროექტში უზდა გადასულიყვნენ და გეგმები შემდგომში შეეცვალათ. ამ გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან დამსაქმებელს არ გააჩნდა ინფორმაცია მოპასუხეების სხვა საფინანსო დაწესებულებაში სამუშაოდ გადასვლის თაობაზე, მას არ ჰქონდა 12.1 მუხლით გათვალისწინებული შეზუდვის გამოიყენების ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თ. ს-სა და ზ. გ-ეს სს „ს. ბ-ის“ უნდა ეცნობებინათ სს „ლ.ბ-ი“ სამუშაოდ გადასვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლო მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნო-

ბით, შინაგანი რწმენიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ დამსაქტებელი ინფორმირებული იყო მოპასუხეების სამუშაო გეგმების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავის შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოქვეს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

იმავე კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სადაც გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

მოცემულ შემთხვევაში, გარემოება იმის თაობაზე, იყო თუ არა დამსაქტებელი ინფორმირებული სხვა საფინანსო დაწესებულებაში გადასვლის თაობაზე, მოწმეთა ჩვენების საფუძველზე დადგინდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ საქმეზე მოწმედ დაიკითხენ თ. მ-ე და ნ. ი-ი – პერსონალური საბანკო მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი და დირექტორს მოადგილე, ანუ მოპასუხეთა უმუალო უფროსები, ასევე მოპასუხეთა კოლეგები (მათ ტოლფას თანამდებობაზე მომუშავე პირები). ნ. ი-ი უთითებს, რომ მოპასუხებმა მას აცნობეს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისა და სამუშაოდ კინოპროექტში გადასვლის თაობაზე. სხვა ინფორმაცია მას მოპასუხებისაგან არ მიუღია. რაც შეეხება თ. მ-ეს, მისი განმარტებით, იგი შევებულებაში იმყოფებოდა და ინფორმაცია თავისი მოადგილისაგან – ნ. ი-ი მიიღო. მოპასუხებს მასთან არ უსაუბრიათ.

მოწმედ დაკითხული ლ. ბ-ე და ი. შ-ი, მოპასუხეთა კოლეგები, ადასტურებენ, რომ თ. ს-ი და ზ. გ-ე თავდაპირველად კინოპროექტში უნდა გადასულიყვნენ სამუშაოდ და გეგმები შემდგომში შეეცვალათ, რის თაობაზეც მათვის ცნობილი იყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გადამწყვეტი ამ შემთხვევაში ის გარემოებაა, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილ პირად დამსაქტებლის მხრიდან მსგავსი შეტყობინების მიღებაზე.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, დამსაქტებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრო-

მითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო, ხოლო დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, დამსაქმებლად განიხილება ორგანიზაცია, იურიდიული პირი მთლიანად, მაგრამ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაქმებულთან შრომით ურთიერთობაში დამსაქმებელს შეიძლება, წარმოადგენდეს პირი, რომელიც აფორმებს მასთან შრომის ხელშეკრულებას, ანუ დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები პირი, ასევე დასაქმებულის უშუალო უფროსი, თანამდებობრივ იერარქიაში მისი ზემდგომი პირი (პირები), აგრეთვე, ნებისმიერი თანამდებობის პირი, ვის კომპეტენციასაც წარმოადგენს დასაქმებულის წახალისება ან მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, ან ამგვარი შუამდგომლობით ზემდგომი თანამდებობის პირისათვის მიმართვის უფლებამოსილება, შესაბამისად, განსახილევლ შემთხვევაში, სწორედ ასეთი პირის ინფორმირება შეიძლება ჩაითვალოს შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულების შესრულებად და ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ აქვს, მოპასუხებაშა შემდგომი გეგმები განიხილეს თუ არა თავიათო კოლეგებთან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ლ. ბ-ი“ სამუშაოდ გადასვლის თაობაზე მოპასუხებებს მინიმუმ მათი უშუალო უფროსებისათვის, თ. მ-ის ან ნ. ი-სათვის, უნდა ეცნობებინათ. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება მათი მხრიდან ამ ვალდებულების შესრულება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თეონა მიქაძის ჩვენების მიხედვით, მისთვის 2 თვის შემდგომ გახდა ცნობილი, რომ მოპასუხები სს „ლ. ბ-ი“ მუშაობდნენ, შესაბამისად, ბანეს შეეძლო, გამოყენებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამ დროისათვის მოპასუხები სს „ლ. ბ-ი“ მუშაობდნენ ისე, რომ სს „ს. ბ-ის“ აღნიშნულის თაობაზე არ უცნობებიათ, შესაბამისად, არსებობდა შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, რაც მოსარჩელეს პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა და არა 12.1 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის გამოყენების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოწმეთა ჩვენებების არასწორი შეფასება საფუძვლად დაედო სააპელაციო სასა-

მართლოს მცდარი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებს, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა შრომის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები, რის შედეგადაც, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია, ხოლო საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს არ შეუფასებია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მცდარობა კი მოწმეთა ჩვენების არასწორ შეფასებაში გამოიხატება, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს ბანკის“ სასარჩელო მოთხოვნა თ. ს-სა და ზ. გ-ის პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე საფუძვლიანია. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხეთა მითითებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლო კაბალური იყო.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. პირგასამტებლოს ოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ვალდებულების დარღვევის ხასიათი, აღნიშნულით გამოწვეული ზიანი, მხარეთა ფინანსური მდგომარეობა, მოსარჩელის ეკონომიკური ინტერესი, აგრეთვე, სხვა ობიექტური გარემოებები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შრომის ხელშეკრულების მიხედვით, შეტყობინების ვალდებულება ხელშეკრულების შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში მოქმედებდა, გარდა ამისა, შეზღუდვის გამოყენების შემთხვევაში, ბანკს ასევე 6 თვის განმავლობაში ეკისრებოდა მოპასუხეთათვის შრომის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, შესაბამისად, პირგასამტებლოს სახით მთელი წლის განმავლობაში მიღებული ყოველგვარი ანაზღაურების გათვალისწინება დამსაქმებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმე-

**დებაა.**

საკასაციონ სასამართლო, მოქმედებს რა სამოქალაქო კოდექტის 420-ე მუხლით გათვალისწინებული დისკრეციის ფარგლებში და მხარის მითითების საფუძველზე მსჯელობს პირგასამტებლოს ოდენობის სამართლიანობაზე, მხედველობაში იღებს შრომის ხელშეკრულების დარღვევის ხასიათს, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს დარღვევის შედეგად რაიმე ფინანსური ზარალი არ განუცდია, ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ მოსარჩელე მისი ინტერესების სხვა სახის შელახვაზე (მაგ. კლიენტების გადაბირებაზე, ინფორმაციის გამუღავნებაზე და ა.შ.) არ მიუთითებს და მიიჩნევს, რომ პირგასამტებლოს გონივრული, სამართლიანი ოდენობა თ. ს-ის შემთხვევაში 3000 ლარით უნდა განისაზღვროს, ხოლო ზ. გ-ის შემთხვევაში – 4000 ლარით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადაბული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

განსახილება შემთხვევაში, ვინაიდან სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე თ. გ-ეს დაეკისრა სასარჩელო მოთხოვნის 16%-ის შესაბამისი პირგასამტებლოს გადახდა, ხოლო ზ. გ-ეს – 20%-ის, შესაბამისად, თ. გ-ემ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 4664,72 ლარის, 16% – 746.35 ლარი, ხოლო ზ. გ-ემ – 20% (933 ლარი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :**

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
3. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
  4. თ. ს-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტებლოს, 3000 ლარის, გადახდა;
  5. ზ. გ-ეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტებლოს, 4000 ლარის, გადახდა;
  6. თ. ს-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სამიცვე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაზის, 4664,72 ლარის, 16%-ის – 746,35 ლარის ანაზღაურება;
  7. ზ. გ-ეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სამიცვე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაზის, 4664,72 ლარის, 20%-ის – 933 ლარის ანაზღაურება;
  8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შრომითი ხელშეკრულების მოშლა

### განჩინება

№ას-1283-1210-2012

30 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა:** პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი – სახელფასო დავალიანების ანაზღაურება**

#### აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 17 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს პ. რ-ამ, გ. გ-მა, ი. კ-ამ, თ. ნ-მა და ტ. ჩ-ამ მოპასუხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ და მოითხოვეს:

1. მოპასუხისათვის მათ სასარგებლოდ 2010 წლის სექტემბრის თვის, აგრეთვე, 2011 წლის 17 მაისიდან ამავე თვის ბოლომდე დროის მონაკვეთისა და 2011 წლის ივლისის თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, მთლიანობაში 21763

ლარის ოდენობით (მათ შორის: პ. რ-ის 4903 ლარი; გ. გ-ის 4603 ლარი; ი. კ-ის 2451 ლარი; თ. ნ-ის 6129 ლარი; ტ. ჩ-ის 3677 ლარი).

2. მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაყოვნების გამო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.07%-ის დაკისრება.

სარჩევლის თანხმად, პ. რ-ა, გ. გ-ი, ი. კ-ა, თ. ნ-ი და ტ. ჩ-ა 2010 წლის 1 სექტემბრიდან მოპასუხესთან იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში. თითოეულ მათგანთან გაფორმებული იყო ნერილობითი ხელშეკრულება, 10 თვის ვადით. 2010 წლის სექტემბრის ბოლოს მოპასუხემ მოსარჩელების განუცხადა, რომ 1 ოქტომბრიდან აპირებდა მათთან ახალი შრომითი ხელშეკრულებების დადგებას, იმავე პირობებით (ე.ი. კვლავ 10 თვით, 2011 წლის ივლისის ბოლომდე). სექტემბრის თვეში დადებული ხელშეკრულებები დარჩა მოპასუხესთან. აღნიშნული თვის ანაზღაურება უნივერსიტეტს მოსარჩელებისათვის არ გადაუცია, მათ განუმარტავდნენ, რომ დავალიანებას მოგვიანებით და ეტაპობრივად მისცემდნენ, თუმცა დანაპირები არ შეასრულეს. შედეგად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მოსარჩელების მიმართ აკისრია 2010 წლის სექტემბრის თვის სახელფასო დავალიანების გაცემის ვალდებულება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელებმა განმარტეს, რომ 2011 წლის 17 მაისს მოპასუხემ შეთანხმების პირობების საწინააღმდეგოდ შეწყვიტა მათთან ხელშეკრულებები. ამ შემთხვევაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაეყრდნო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, მოპასუხემ დაუსაბუთებლად დაარღვია ხსენებული შრომითი ხელშეკრულებები, რის გამოც ამ უკანასკნელს მათ სასარგებლობად უნდა დაკისრებოდა მოთხოვნილი ოდენობით თანხების ანაზღაურება.

ააიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა შემდეგი:

2010 წლის სექტემბრის თვეში მოსარჩელები უნივერსიტეტთან არ იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში, მათთან შრომითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და არც რაიმე სახის დოკუმენტი გაცემულა, რაც დაასტურებდა დამსაქმებლის ნებას მოსარჩელეების სამუშაოზე მიღების თაობაზე. აქედან გამომდინარე, მოპასუხე არ იყო ვალდებული, მოსარჩელეებისათვის აენაზღაურებინა აღნიშნული თვის ხელფასი.

რაც შეეხებოდა 2011 წლის 17 მაისიდან 2011 წლის 1 ივნისამდე შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხს, მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობა დასახელებულ თარიღში შეწყდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინიციატივით (შრომის კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად) და მოპასუხებს დაერიცხათ 1 თვის შრომის ანაზღაურება. ისინი 2011 წლის 17 მაისიდან აღარ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, უნივერსიტეტთან აღარ იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში, შრომითი ხელშეკრულების შენკვეტის გამო. ამდენად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს არ გააჩნდა მოსარჩელებისათვის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასის გადახდის ვალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით პ. რ-ას, გ. გ-ის, ი. კ-ას, თ. ნ-სა და ტ. ჩ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 1 ოქტომბერს ერთი მხრივ, მოსარჩელებს: პ. რ-ას, გ. გ-ს, ი. კ-ას, თ. ნ-სა და ტ. ჩ-ას, ხოლო მეორე მხრივ, ა(ა)იპ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება 10 თვის ვადით.

მოსარჩელებმა: პ. რ-ამ, გ. გ-მა, ი. კ-ამ, თ. ნ-მა და ტ. ჩ-ამ სარჩელში განმარტეს, რომ 2010 წლის 1 სექტემბრიდან ისინი შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მოპასუხე ა(ა)იპ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან, მაგრამ აღნიშნული ხელშეკრულება მოპასუხეს მათვის არ გადაუცია და 2010 წლის 1 ოქტომბერს გაფორმდა მეორე ხელშეკრულება იმავე პერიოდით, 10 თვით, 2011 წლის ივლისის ბოლომდე. მოსარჩელებს სექტემბრის თვის ანაზღაურება არ მიუღიათ, 2011 წლის 17 მაისს კი მათ შეუწყვიტეს შრომითი ხელშეკრულება, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძვლით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნებონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. სასამართლოს განმარტებით, ამდენად, სამოქალაქო პროცესში სასამართლო შებოჭილია არამარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით,

არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებების დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სწვა სახის მტკიცებულებებით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე ვერ დაადასტურეს მათ მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოებები.

დავის გადაწყვეტისას სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით, 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად მითითებულ შრომითი ხელშეკრულების მოშლას განსხვავებულად არ ანესრიგებდა რომელიმე სპეციალური კანონი ან რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულება. ზემოხსნებული მუხლებით დადგენილი უფლებები ნარმოადგენდა დამსაქმებლის დისკრეციას და იგი მათ გამოყენებაში შეზღუდული არ იყო, შრომის კოდექსი არ ადგენდა მისი გამოყენების შეზღუდვას რაიმე საბაბით. ამდენად, დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო, ნებისმიერ დროს, მარტომდენ მისი სურვილის საფუძველზე, ცალმხრივად შეეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება მოშლის საფუძვლისა და დასაბუთებულობის გარეშეც.

ამავდროულად, სასამართლომ განმარტა, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისათვის აუცილებელია მასში მითითებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, თუმცა კანონმდებელი სხვა დამატებით პირობებს არ ითვალისწინებს, დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების მოშლა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დამოუკიდებელი საფუძველია და იგი არ გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულებას დარღვევის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საკმარისია ერთერთი მხარის ინიციატივა ხელშეკრულების მოშლის შესახებ. სასამართლომ დამატებით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოპა-

სუხე შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად ასახელებ-და ნაგებულ თამაშებს.

შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშ-ლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება, რაც გაიცა მოპასუხის მიერ. მოსარჩე-ლებმა ვერ ნარადგინეს იმის დამადასტურებელი მტკიცებუ-ლებები, რომ 2010 წლის სექტემბრის თვეში არსებობდა ხელ-შეკრულება მოსარჩელეებსა და მოპასუხეს შორის, ასევე ხელ-შეკრულება არსებობდა 2011 წლის 17 მაისიდან მაისის ბოლომ-დე და ივლისის თვეში, რა პერიოდის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასაც ისინი მოითხოვდნენ.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახ-მად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოს-თხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვალ-დებულების ნარმოშობისათვის აუცილებელია მონანილეთა შო-რის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდე-ბულება ნარმოშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძ-ვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა სა-ფუძვლებიდან.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შრომი-თი ურთიერთობა მხარეებს შორის არსებობდა 2010 წლის 1 ოქ-ტომბრიდან 2011 წლის 17 მაისამდე. 2011 წლის 17 მაისს მოიშა-ლა შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებლის ინიციატივით და მოსარჩელეებს მიეცათ ერთი თვის შრომის ანაზღაურება კომ-პენსაციის სახით.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების, მათი ანალიზისა და შეფასების, მითითებული სამართლებრივი ნორმების განმარტების შედეგად, საქალაქო სასამართლომ და-ასკვნა, რომ პ. რ-ას, გ. გ-ის, ი. კ-ას, თ. ნ-სა და ტ. ჩ-ას სარჩელის მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-პელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, რომლებმაც მო-ითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახა-ლი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განჩინებით პ. რ-ას, გ. გ-ის, ი. კ-ას, თ. ნ-სა და ტ. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-

და, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელების მოთხოვნას წარმოადგენდა 2011 წლის 17 მაისიდან მაისის ბოლომდე, ასევე 2011 წლის ივლისის თვისა და 2010 წლის სექტემბრის თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. მოსარჩელები 2010 წლის სექტემბრის თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ მათსა და მოპასუხე ა(ა)პ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ 2010 წლის 1 სექტემბრის შრომით ხელშეკრულებაზე, ხოლო 2011 წლის 17 მაისიდან მაისის ბოლომდე, ასევე, 2011 წლის ივლისის თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საფუძვლად – 2010 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე, რომელიც გაფორმდა მათსა და მოპასუხე უნივერსიტეტს შორის 10 თვის ვადით და რომლის მოშლაც მოპასუხე უნივერსიტეტმა არამართლზომიერად განახორციელა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების (მოსარჩელეების) მოსაზრება მათსა და ა(ა)პ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის 2010 წლის 1 სექტემბერს შრომითი ხელშეკრულების არსებობის (დადებულად მიჩნევის) შესახებ, შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. შრომის კოდექსის 6.1. მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრული ან სამუშაოს შესრულების ვადით. ამდენად, იმისათვის, რომ დადებულად იქნეს მიჩნეული (ცნობილი) შრომითი ხელშეკრულება, საჭიროა არსებობდეს წერილობითი ან ზეპირი ფორმით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტებმა (მოსარჩელეებმა) მიუთითეს, რომ 2010 წლის 1 სექტემბერს შრომითი ხელშეკრულება დაიდო წერილობითი ფორმით და აღნიშნულის დასადასტურებლად მიუთითეს: ა. ახსნა-განმარტებაზე; ბ. მოწმეთა ჩვენებებზე და გ. საქმეში წარდგენილ სამედიცინო დასკვნებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ სადაცო გარემო-

ების (2010 წლის 1 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულების სა-სამართლოს მიერ დადებულად მიჩნევის) დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად ვერ გაიზიარა მოსარჩელების ახ-სნა-განმარტება, ვინაიდან, ისინი თავად წარმოადგენდნენ პრო-ცესის მონაწილეებს და უშუალოდ იყვნენ დაინტერესებულნი საქმის შედეგით. ამიტომ, მარტომდენ მხარის ახსნა-განმარ-ტება სხვა მტკიცებულებების გარეშე, შრომითი ხელშეკრულე-ბის დადებულად მიჩნევისათვის ვერ გამოდგებოდა.

რაც შეეხებოდა სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწ-მების – თ. გ-სა და ო. ლ-ას ჩვენებებს, სააპელაციო სასამარ-თლომ ჩათვალა, რომ ისინი ვერ ადასტურებდნენ მხარეთა შო-რის 2010 წლის 1 სექტემბერს შრომითი ხელშეკრულების არსე-ბობის ფაქტს. პირველ რიგში სააპელაციო სასამართლომ ყუ-რადლება მიაქცია მოწმე თ. გ-ის ჩვენებაზე და აღნიშნა, რომ მისი ჩვენება არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა სადავო გარემოების დადგენას, ვინაიდან იგი წარმოადგენდა პ. რ-ას მე-ულეს, რომელიც პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინ-ტერესებული იყო საქმის შედეგით და თავისითავად ეჭვს იწვევ-და მის მიუკერძოებლობაში. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ თ. გ-ე თავისი ჩვენებით გადმოცემდა ფაქ-ტებს მხოლოდ ერთი მოსარჩელის – პ. რ-ას შრომით ხელშეკრუ-ლებასთან მიმართებით, ხოლო, დანარჩენი ოთხი მოსარჩელის შრომით ხელშეკრულებაზე არაფერს ამბობდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ მოწმის განმარტებით, მათ ხელთ ჰქონდათ 2010 წლის 1 სექტემბრის შრომითი ხელ-შეკრულება, რომელიც უკან დაუბრუნეს უნივერსიტეტს, მიუ-ხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ხელშეკრულების დაბრუ-ნება არ მოუთხოვია. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მი-თითებით, მოსარჩელემ (ამ შემთხვევაში პ. რ-ამ) ვერ შეძლო იმ ხელშეკრულების ასლის წარმოადგენაც კი, რომელზეც ხელი მი-უწვდებოდა და რაზეც ამყარებდა ერთ-ერთ მოთხოვნას. მოწ-მე ო. ლ-ას ჩვენებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამარ-თლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მოწმე მოსარჩელეებთან ერ-თად ვარჯიშობდა უნივერსიტეტის გუნდში, მაგრამ იგი სასა-მართლოს ნინაშე მიცემული ჩვენებით ფაქტებს გადმოსცემდა არა მოსარჩელეების, არამედ საკუთარ შრომით ხელშეკრულე-ბასთან დაკავშირებით, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში სასა-მართლო ასევე ვერ გაიზიარებდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადლება გაამახვილა სამედი-ციონ დასკვნებზე, რომელზე მითითებითაც აპელანტები (მო-სარჩელეები) მოითხოვდნენ 2010 წლის 1 სექტემბრის შრომითი

ხელშეკრულების არსებობის ფაქტის დადასტურებას. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარდგენილი სამედიცინო დასკვნები არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებულ ისეთ მტკიცებულებას, რომლითაც შესაძლოა დადასტურდეს სადაცო გარემოებას. აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მონინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეთა სამედიცინო დასკვნები წარმოადგენდა 2010 წლის 1 ოქტომბრის შრომითი ხელშეკრულების დადებამდე, მისი დადებისათვის აუცილებელ წინაპირობას – თსუსპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის მიერ მოსარჩელეებზე განხორციელებულ სამედიცინო შემოწმებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან აპელანტები ვერ ადასტურებდნენ მათსა და მოპასუხე ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის 2010 წლის 1 სექტემბერს შრომითი ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, შესაბამისად, არ არსებობდა 2010 წლის სექტემბრის თვის სახელფასო დავალიანების არსებობაზე მსჯელობისა და მისი მოპასუხებისათვის დაკისრების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 2010 წლის 1 ოქტომბრის შრომის ხელშეკრულება შეწყდა კანონის დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა აგებულია ნების ავტონომიის პრინციპზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს მხარეთა ნების გამოვლენის თავისუფლებას ხელშეკრულების დადებისას. საქართველოს შრომის კოდექსიც განამტკიცებს აღნიშნულ პრინციპს. კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ამდენად, ნების ავტონომიის პრინციპი გულისხმობს, როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ასევე, ხელშეკრულების შეწყვეტის თავისუფლებასაც.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ამომნურავ ჩამონათვალს, რა დროსაც შესაძლებელია შეწყდეს შრომითი ურთიერთობები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების მოშლა. შრომითი ხელშეკრულების მოშლა შესაძლებე-

ლია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ანუ ხელშეკრულების მოშლა შეუძლია როგორც დასაქმებულს, ასევე – დამსაქმებელს. შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების მოშლა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დამოუკიდებელი საფუძველია და იგი არ გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტას ვალდებულების დარღვევის ან სხვა საფუძვლის გამო. აღსანიშნავია, რომ შრომის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მხარეებს შორის შრომითი ურთიერთობა წყდება. ამასთან, კანონმდებელი არ ზღუდავს მხარეთა ინიციატივას რამე დამატებითი პირობების დაწესებით, ანუ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საკმარისია ერთ-ერთი მხარის ინიციატივა ხელშეკრულების მოშლის შესახებ, თუმცა მხარეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, კანონმდებელი შრომის კოდექსის 38-ე მუხლით შრომითი ურთიერთობის მონაწილეებისთვის ითვალისწინებს გარკვეულ გარანტიებს. აღნიშნული მუხლი ადგენს არა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს, არამედ შრომითი ხელშეკრულების მოშლის პროცედურას – მოშლის წესს და თანაზომიერების პრინციპის დაცვით აწესებს მხარეთა ინტერესების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. ამასთან, კანონმდებელი არ ზღუდავს მხარეებს შრომის ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრონ მათი ინტერესების დამცავი სხვა პირობები, ანუ მათ ენიჭებათ თავისისუფლება ხელშეკრულებით მოაწესრიგონ აღნიშნული საკითხი და დააწესონ გარკვეული შეზღუდვები, მათ შორის, გაითვალისწინონ დასაქმებულისათვის მისაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობაც. შესაბამისად, დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლის დროს დაცული უნდა იქნეს როგორც საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი, ისე, არსებობის შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირობები.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგინდა, რომ 2010 წლის 1 ოქტომბერს მოსარჩელეებს პ. რ-ას, გ. გ-ს, ი. კ-ას, თ. ნ-სა და ტ. ჩ-ას, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, მოპასუხე ა(ა)იპ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება 10 თვის ვადით. ასევე დადგინდა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული 2010 წლის 10 ოქტომბრის შრომითი ხელშეკრულება შეწყდა თსსუ-ის რექტორის 2011 წლის 17 მაისის №120/04 ბრძანების შესაბამისად, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მხარეები სადაც არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელებს მოპასუხე უნივერსიტეტის მიერ შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუნაზღაურდათ

ერთი თვის შრომის ანაზღაურება. ამდენად, სააპელაციო სასა-მართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა ხელშეკრულების მოშლა, სასამართლომ სწორად ჩათვალა მოსარჩელეებთან შრომითი ურთიერთობა მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართვე-ლოს შრომის კოდექსის ნორმების დაცვით შეწყვეტილად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივა-რი შეიტანეს პ. რ-ამ, გ. გ-მა, ი. კ-ამ, თ. ნ-მა და ტ. ჩ-ამ. კასატო-რები მოთხოვენ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახა-ლი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის დაკმაყოფილებას.

საკასაციო საჩივრის თანახმად, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხ-ლი. ამასთან, სასამართლომ არასათანადოდ გამოიკვლია საქ-მეში არსებული გარემოებები, რის შედეგადაც დაარღვია სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი. მოსარჩელეთა მი-ერ მითითებული 2010 წლის 1 სექტემბრის შრომითი ურთიერ-თობის არსებობა დადასტურებულია არა ცალკეული მტკიცე-ბულებით, არამედ მტკიცებულებათა ერთობლიობით. ამ შემ-თხვევაში საუბარია როგორც მოსარჩელეთა ახსნა-განმარტე-ბებზე, ასევე მოწმეთა ჩვენებებსა და საშედიცინო შემოწმების დასკვნებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკალათბურთო გუნ-დის წევრების სამედიცინო შემოწმება არ ხდებოდა ნინასახელ-შეკრულებო ურთიერთობისას, არამედ ასეთს ადგილი ჰქონდა მხოლოდ უკვე შრომითი ურთიერთობების პირობებში, თუმცა სასამართლოებმა მოცემული კუთხით მოსარჩელეთა მტკიცე-ბა დაუსაბუთებლად არ გაიზიარეს;

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-ჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პ. რ-ას, გ. გ-ის, ი. კ-ას, თ. ნ-სა და ტ. ჩ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ნაწილობრივ უნდა გაუქ-მდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილ-ველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოება-თა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილადაა ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 1 ოქტომბერს, მოსარჩელეებსა და მოპასუხე ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება 10 თვის ვადით;

აღნიშნული ხელშეკრულება შეწყდა ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 17 მაისის №120/04 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე; მოსარჩელებს, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხემ გადაუხადა ერთი თვის შრომის ანაზღაურება;

მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის 2010 წლის 1 სექტემბერის შრომითი ხელშეკრულების დადების ფაქტი არ დასტურდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორთა მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის 2010 წლის 1 სექტემბერს შრომითი ხელშეკრულება არ დადებულა. აღნიშნული პრეტენზის დასასაბუთებლად კასატორები მიუთითებენ თავიანთ ახსნა-განმარტებებზე, მოწმეთა ჩემნებებსა და სამედიცინო შემოწმების დასკვნებზე, რაც მათი მოსაზრებით, საკარისი საფუძველია იმისათვის, რომ სადაცო გარემოება დადასტურებულად ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით, რომლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარდადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარასებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნობისა თუ არასარწმუნობის თვალსაზრისით და, ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტილათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს

მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობ-ლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია, საქ-მეში არსებული მტკიცებულებები შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. აღნიშნული გულის-ხმობს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების განხილვას და გამორჩევას, რამაც შეიძლება გავლენა მოახ-დინოს მტკიცებულების სისწორეზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექ-ტურად განიხილა სადავო გარემოებასთან დაკავშირებით მო-სარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, სწორი შე-ფასება მისცა მათ და მართებულად დაადგინა, რომ მოსარჩე-ლებსა და მოპასუხეს შორის 2010 წლის 1 სექტემბერს შრომი-თი ხელშეკრულება არ დადებულა. საკასაციო სასამართლო აღ-ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზე-მოხსენებული ფაქტობრივი გარემოების მიმართ კასატორებს დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ წარმოუდგენიათ, კერძოდ, საკასაციო საჩივარი იმეორებს მოსარჩელეთა მიერ სარჩელში და სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენ-ტებს, მაგრამ არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას იმის თაობა-ზე, თუ რატომ არის დაუსაბუთებელი სააპელაციო სასამარ-თლოს მსჯელობა მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცე-ბულებების შეფასებისას და რატომაა არასწორი ამ შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება საკასაციო საჩივრის მოთ-ხოვნა გასაჩივრებული განჩინების იმ ნაწილში გაუქმების თაო-ბაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწ-ყვეტილება 2010 წლის სექტემბრის თვის ხელფასის ანაზღაუ-რებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო საჩივრის პრეტენზია ეფუძნება ასევე იმ გარე-მოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, არასწორია სასამართლოს განმარტე-ბა, რომ ზემოხსენებული ნორმა უფლებას ანიჭებდა მოპასუ-ხეს, მოსარჩელეებთან შრომითი ხელშეკრულება მოეშალა კონ-კრეტული საფუძვლის მითითების გარეშე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა ზემოაღნიშ-ნულ პრეტენზიას და, შესაბამისად, ვერ დაეთანხმება სააპე-ლაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ შრომის

კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი დამსაქმებელს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებას, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოშალოს შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ნორმით მხარეთათვის მიზნებული ხელშეკრულების მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი. ხსენებული ნორმა არ შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე სამუშაოდან გაათავისუფლოს დასაქმებული. მითითებული ნორმის ასეთი განმარტება წაახალისებდა დამქირავებლის თვითნებობას, ხოლო, სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას აზრს დაუკარგავდა. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ფუნქციაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონტებს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა. სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლო უნდა შეამონმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად. ამ ამოცანის შესრულებას სასამართლო ვერ შეძლებს, თუ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის გათავისუფლების საფუძველი მითითებული არ იქნება. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ნორმით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. ეს ნორმა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, გაზიარებული ვერ იქნება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლა შრომითი ურთიერთობის შეწყვე

ტის დამოუკიდებელი საფუძველია და, შესაბამისად, დამსაქმებელი არაა ვალდებული დასაქმებულის სამუშაოდან დათხოვნის კონკრეტული მიზეზი მიუთითოს.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელეთა სამუშაოდან განთავისუფლება მოხდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განთავისუფლების კონკრეტული საფუძვლის მითითების გარეშე. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელეებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შართლზომიერად მიჩნევის თაობაზე.

საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღი-სათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, კასატორების სამუშაოდან გათავისუფლება მოხდა არამართლზომიერად (დამსაქმებლის ბრალით), შესაბამისად, მათ აქვთ უფლება მოითხოვონ შრომის ანაზღაურება, რაც ვერ მიიღეს იძულებითი მოცდენის დროს, ასევე, დაყოვნებული თანხის შესაბამისი პროცენტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ზემოხსენებული საფუძველი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია მოსარჩელეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა სადავო პერი-

ოდში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განტულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. პ. რ-ას, გ. გ-ის, ი. კ-ას, თ. ნ-სა და ტ. ჩ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2011 წლის 17 მაისიდან ამავე თვის ბოლომდე და 2011 წლის ივნისის თვის სახელფასო დავთალიანებისა და დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შრომითი ხელშეკრულების მოშლა

### განვითარება

№ას-1122-1053-2012

22 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
მ. სულანიშვილი

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღ-  
დგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შ. მ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა კოლეგიაში სს „თ.“ (თ-ის) წინააღმდეგ სარჩელი აღმდა.  
სასამარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა:

1. სს „თ.“ თ-ის, 2011 წლის 5 აპრილის №09\_ ბრძანების ბათი-  
ლად ცნობა;

2. შ. მ-ის აღდგენა სს „თ.“ თ-ის იურიდიული სამსახურის უფ-  
როსის თანამდებობაზე;

3. სს „თ.“ თ-ისთვის შ. მ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაც-  
დურის ანაზღაურების დაკისრება 2011 წლის 28 მარტიდან სამ-  
სახურში აღდგენამდე, ყოველთვიური ხელფასის – 2000 ლარის  
გათვალისწინებით;

4. სს „თ.“ თ-ისთვის, შ. მ-ის სასარგებლოდ, მორალური ზია-  
ნის ანაზღაურებს, 2000 ლარის, დაკისრება;

5. სს „თ.“ თ-ისთვის შ. მ-ის სასარგებლოდ 2010 წლის 1 აპრი-  
ლიდან 2011 წლის 31 მარტამდე სახელფასო დავალიანების, თვე-  
ში 2000 ლარის, ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2001 წლიდან მუშაობდა თ-ში  
სხვადასხვა თანამდებობაზე. 2011 წლის 5 აპრილს მოპასუხებ  
რაიმე საფუძვლის მითითების გარეშე გაათავისუფლა სამსახუ-  
რიდან, რასაც წინ შემდეგი მოვლენები უსწრებდა: 2011 წლის  
25 მარტს სს „თ-ში“ სამხედრო პოლიციის თანამშრომელმა მიი-  
ტანა გრიფით საიდუმლო კითხვარი, რომლის შევსება ყველა თა-  
ნამშრომელს დაევალა. კითხვარი ითვალისწინებდა პირადი ინ-  
ფორმაციის გაცემას. კინაიდან კინონა არ ავალდებულებდა აღ-  
ნიშნული კითხვარის შევსებას, მოსარჩელემ იგი შეუვსებლად,  
ასლის გადაღების გარეშე დაუბრუნა სამხედრო პოლიციის წარ-

მომადგენელს, რასაც შ. მ-ის საშვის გაუქმება მოჰყვა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მოსარჩელე, 4 სხვა პირთან ერთად, რომლებმაც ასევე არ შეავსეს მითითებული კითხვარი, 2011 წლის 5 აპრილის ბრძანებით გათავისუფლდა სამსახურიდან.

მოპასუხებ სარჩელი ნაწილობრივ, სახელდობრ, მოსარჩელე შ. მ-ის სასარგებლოდ და სახელფასო დავალიანების, 1908 ლარის, გადახდის დაკისრების ნაწილში ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით შ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „თ.“ თ-ს, შ. მ-ის სასარგებლოდ და ეკისრა სახელფასო დავალიანების, 1908 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შ. მ-მა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა. მან ასევე გაასაჩივრა 2011 წლის 27 სექტემბრის საოქმო განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მაისის განჩინებით შ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გაასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2001 წლის 24 ივნისიდან, 2011 წლის 31 მარტამდე, მოსარჩელე შ. მ-ი მოპასუხე სს „თ.“ თ-ში მუშაობდა სხვადასხვა, მათ შორის, იურისტის, იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილის, იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე;

2. იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შ. მ-ი მუშაობდა 2009 წლის 1 ნოემბრიდან, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე. მოსარჩელე შ. მ-ის ყოველთვიური ხელფასი დაუბეგრავად 2500 ლარს შეადგენდა. შხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობა ემყარებოდა ნერილობით, განუსაზღვრელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებას;

3. მოპასუხე საზოგადოებამ 2011 წლის 5 აპრილს გამოსცა №09 პ ბრძანება, რომლითაც, 2011 წლის 31 მარტიდან შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა იურიდიული სამსახურის უფროსს – შ. მ-ს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილეულ შემთხვევაში დამსაქმებელი თავისი ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმით საქციო საზოგადოებაა და შესაბამისად კა-

პიტალური ტიპის საზოგადოებას, რომელიც თავის მხრივ, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, გულისხმობს მოგებაზე ორიენტირებულობას. ამასთან გასათვალისწინებელია სს „თ.“ თ-ის საქმიანობის სპეციფიკურობა, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის (სამხედრო, სახელმწიფო) საიდუმლოების შემცველი ინფორმაციასთან თანამშრომლების შემხებლობას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, განაპირობებს დასაქმებულებთან მიმართებით ნდობის ფაქტორის არსებობას. ის გარემოება, რომ შ. მ-ს, მისი თანამდებობიდან გამომდინარე შეხება ჰქონდა სამხედრო და სახელმწიფო სახის საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციასთან, სადაც არ გამხდარა, ამდენად მის მიმართ დამსაქმებლის მხრიდან ნდობის დაკარგვის შემთხვევაში, დამსაქმებელს წარმოეშობოდა მართლზომიერი საფუძვლი ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესახებ კანონით (შრომის კოდექსის 37 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი) მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

აპელანტის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ, რეალურად, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი იყო მისთვის სამსახურში გადაცემული კითხვარის შეუვსებლობა, რაც დასტურდება საქმეში მოწმედ დაკითხული პირების – კ. ყ-ისა და ა. მ-ის ჩვენებებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებულ მოწმეთა ჩვენებებით, მართალია, დასტურდება გარკვეული კითხვარის სს „თ.“ თ-ის თანამშრომლებისათვის, მათ შორის შ. მ-ისათვის, 2011 წლის 25 მარტს გადაცემის ფაქტი და ის გარემოება, რომ აღნიშნული კითხვარი მას არ შეუვსია, თუმცა მოწმეთა ჩვენება არ არის საკმარისი იმ მტკიცების გასაზიარებლად, რომ მოსარჩევის მიმართ დამსაქმებლის მხრიდან განხორციელდა დისკრიმინაცია.

რაც შეხება, სასარჩელო მოთხოვნას მორალური ზიანის სახით მოპასუხისათვის 2000 ლარის დაკისრების თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის და 413-ე მუხლის დანაწესზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჩაუდენია, ამდენად, არ არსებობდა მოხმობილ ნორმათა კვალიფიკაციისა და, შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი შესაძლებლობა.

2011 წლის 27 სექტემბრის საოქმო განჩინების თაობაზე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დასაბუთებულია საქმის მოსამზადებელ ეტაპზე მოპასუხის მიერ დოკუმენტის წარუდგენლობის საპატიობა; ამასთან მნიშვნელობის გადაცემის დაკითხების მიმართ დაკმაყოფილების სამართლებრივი შესაძლებლობის განხორციელებლად.

ლოვანია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები არ ემყარება 2011 წლის 18 ივნისის სს „თ.“ თ-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის №7 ოქმის და სს „თ.“ თ-ის ახალი სტრუქტურის ამსახველი დოკუმენტის მონაცემებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შ. მ-მა საკასაციო ნესით გაასაჩინორა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც შ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლებას დაედო საფუძვლად და რაც, სასარჩელო განცხადებით, მხარის ახსნა-განმარტებითა და მოწმეთა ჩვენებებით ცალსახად დადასტურდა: 2011 წლის 25 მარტს სამხედრო პოლიციის წარმომადგენელმა სს „თ.“ თ-ში მიიტანა გრიფით საიდუმლო კითხვარი. მისი შევსება სიტყვიერი მითითებით, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე, დაევალა სანარმოს ყველა თანამშრომელს. კითხვარი პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის სამხედრო პოლიციისათვის გადაცემას გულისხმობდა, რაც ნებაყოფლობითია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. რადგან პასუხი კითხვაზე თუ რომელი კანონი ავალდებულებდა ამ კითხვარის შევსებას მხარემ ვერ მიიღო, გაურკვევლობის გამო თავი შეიკავა შევსებისაგან და ასლის გადაღების გარეშე დააბრუნა იგი. შედეგად კი, მას დაუხურეს სამსახურებრივი საშვი, ეკრძოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე 28 მარტს სამსახურში აღარ შეუშვეს ის თანამშრომელები, რომლებმაც თავი შეიკავეს კითხვარის შევსებისაგან. ყველა ეს თანამშრომელი 2011 წლის 5 აპრილის ბრძანებით გაათავისუფლეს, მათ შორის შალვა მანძულაშვილიც. აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს დისკრიმინაციას, რამაც მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია მნიშვნელოვნად შელახა. დისკრიმინაციის უდავო დადასტურებაა ის, რომ 2011 წლის 18 ივნისის კერძო სამართლებრივი აქტით, სამეთვალყურეო საბჭოს №7 ოქმით, 112 დღის შემდეგ გაუქმდა 2011 წლის 5 აპრილის ბრძანებით განთავისუფლებულთა მხოლოდ ის შტატები, რომლებზე აღდგენაც სასამართლოს გზით მოითხოვეს სადავო ბრძანებით გათავისუფლებულმა პირებმა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მისი სამსახურიდან განთავისუფლების უფლებამოსილება დირექტორთა საბჭოს და არა ერთპიროვნულად გენერალურ დირექტორს ჰქონდა, რაც სასამართლოს არ შეუფასებია.

რაც შეეხება სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, კა-

სატორი აღნიშნავს, რომ ხელფასის გადახდის ვალდებულება თ-ს უნდა შეესრულებინა. საქმეში არსებული დოკუმენტები ვერ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ თვლის მოპასუხე, რომ შპს „თ-დან“, შპს „თ. – ე-დან“, სახელმწიფო ხაზინიდან და სსიპ „დ-დან“ აპელანტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა წარმოადგენს სს „თ.“ თ-ის ხელფასს. საქმეში არაა წარმოადგენილი რაიმე დოკუმენტი, რომელიც აღნიშნული დაწესებულებების მიერ მოპასუხის ნაცვლად ვალდებულების აღებას დაადასტურებდა აპელანტის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის შესაბამისად.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეუქმებინა პირველი ინსტანციის 2011 წლის 27 სექტემბრის საოქმო განჩინება, რადგანაც, სასამართლომ მთავარ სხდომაზე მიიღო მტკიცებულებები, რომლებიც წარდგენილი არ ყოფილა საქმის მომზადების ეტაპზე, ასევე მოთხოვნის დაზუსტება მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნის გაზრდად და მოსარჩელეს უარი უთხრა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე არ იყო თანახმა, რითაც მხარეთა თანასწორობის პრინციპი დაარღვია. მოპასუხის თანხმობა, ამ შემთხვევაში საჭირო არ იყო, რადგანაც სარჩელის საფუძველი არ იცვლებოდა.

2012 წლის 13 სექტემბერს შ. მ-მა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნაზე უარი თქვა, რის გამოც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის განჩინებით ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე განმარტა, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენდა, შესაბამისად, მხარე იმთავით-ვე დაეთანხმა ცალმხრივად, ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მტკიცებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველს ანუ ეს ნორმა შრომის ხელშეკრულების მხარეებს ანი-

ჭებს უფლებამოსილებას, შეწყვიტონ მათ შორის არსებული სა-მართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების მოშლის გზით. მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმით მხარეთათვის მინიჭებული ხელშეკრულების მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი, რამეთუ არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი სამოქალაქო უფლება. იგი ყოველთვის შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით.

სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება.

შრომითი დავის განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, დაირღვა თუ არა მხარეთა უფლებები ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის თუ მოქმედების განხორციელების შედეგად, უნდა დადგინდეს დაირღვა თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ხომ არ განხორციელდა დისკრიმინაცია და ა.შ. ამ ამოცანის შესრულება კი შეუძლებელია, თუ სასამართლოსათვის უცნობია ხელშეკრულების მოშლის მიზეზი და უცნობია ან არ დადგინდა დავის წარმოშობის მიზეზი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შრომის ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში უფლების განხორციელების მართლზომიერება გულისხმობს იმ გარემოებას, რომ დამსაქმებლის ხების გამოვლენით არ უნდა დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ასევე თავად შრომის კოდექსით დადგენილი პრინციპები, მათ შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპიც.

განსახილველ შემთხვევაში, დასაქმებული მიუთითებდა, რომ მასთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა გარკვეული კითხვარის შეუესებლობამ გამოიწვია. სააპელაციო სასამართლომ, მონმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ბრძანებაში დასახელებულ პირებს

მართლაც გადაეცათ კითხვარი, რომელიც მათ არ შეუვსიათ, მაგრამ, აღნიშნა, რომ არ ირკვეოდა, ეს გარემოება რა კავშირში იყო შრომის ხელშეკრულების მოშლასთან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ დადასტურებულად ჩაითვლება გამოკითხვის ჩატარების ფაქტი, იმის გათვალისწინებით, რომ სადაც პრძანებით მხოლოდ იმ პირებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა, რომელმაც მის შევსებაზე უარი განაცხადეს, შეუძლებელია, არ გაჩნდეს ვარაუდი, რომ ეს გარემოებები ერთმანეთთან დაკავშირებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, მსგავს გამოკითხვაში მონაწილეობის მიუღებლობა იყო თუ არა შრომის ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რაც დამსაქმებელს ხელშეკრულების მოშლისათვის მართლზომიერ საფუძველს უქმნიდა, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება.

საკასაციო სასამართლო, ასევე, ყურადღებას ამახვილებს კასატორის მონინაალმდევე მხარის განმარტებაზე, რომ თუნდაც გრიფით „საიდუმლო“ კითხვარი დარიგებულიყო თის თანამშრომლებს შორის, დასაქმებულს უფლება არ აქვს აღნიშნულის თაობაზე საჯაროდ განაცხადოს, ვინაიდან, აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებაა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საუბარია არა კითხვარის კონკრეტული შინაარსის გახმაურებაზე, რაც ბუნებრივია, დაუშვებელია, არამედ, ზოგადად, მსგავს გამოკითხვაში მონაწილეობის აუცილებლობის შეფასებაზე, დამსაქმებლის საქმიანობის სფეროს სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მით უფრო, რომ, მოწმეთა ჩვენებით, მათ გარკვეული კითხვარები ადრეც შეუვსიათ. საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ თბილავიამშენი რაიმე კითხვარის დარიგების ფაქტს უარყოფს.

საკასაციო სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ შ. მ-მა, გაასაჩივრა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა. აღნიშნული ეხებოდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნასაც, კერძოდ, აპელანტი ითხოვდა ამ ნაწილში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას. იგი, სააპელაციო საჩივარში კონკრეტულს ფაქტობრივ-სამართლებრივ უსწორობებზე მიუთითებდა, რაც სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, გასაჩივრებული განჩი-

ნებით კი, სააპელაციო საჩივრის ამ ნაწილზე სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია. სააპელაციო სასამართლოს აპელანტის პრეტენზია სახელფასო დავალიინების ანაზღაურების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უსწორობის შესახებ თუნდაც რომ უსაფუძღლოდ მიეჩნია, აღნიშნულის თაობაზე მითითებული უნდა იყოს განჩინებაში და არსებობდეს შესაბამისი დასაბუთება, ნინააღმდეგ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს ესპობა შესაძლებლობა სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერება შეაფასოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე მისი გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილევლად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს სარჩელში მითითებული გარემოებები, გაარკვიოს, შ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერება ნინამდებარე განჩინებაში ასახული მსჯელობის საფუძველზე, შეაფასოს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით აპელანტის პრეტენზია და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის განჩინებით საქმის ნარმოება შეწყდა.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას 2011 წლის 27 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამარ-

თლოს არც ამ ნაწილში უმსჯელია სრულად აპელანტის მოთხოვნაზე, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ნათლად ადასტურებს, რომ მხარე პირველი ინსტანციის 2011 წლის 27 სექტემბრის ორ საოქმო განჩინებას ასაჩივრებდა: სასამართლოს მთავარ სხდომაზე მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ მოპასუხის შუამდგომლობის დაქმუყოფილების თაობაზე და ასევე იმ განჩინებას, რომლითაც შ. მ-ს უარი ეთქვა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნით საქმის განხილვაზე. სააპელაციო სასამართლომ კი, მხოლოდ პირველ განჩინებაზე იმსჯელა და შეუფასებელი დატოვა აპელანტის პრეტენზია მეორე საოქმო განჩინებასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტს განჩინების გაუქმების მიმართ იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა და საპროცესო სამართლის ნორმების დაცულობაზე აღარ უმსჯელია. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ სამსახურში აღდგენის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შესაფასებლად, არსებითი მნიშვნელობა აქვს თ-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის №7 იქმსა და ორგანიზაციის ახალი სტრუქტურის ამსახველ დოკუმენტს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო ვერ იმსჯელებს მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის მართლზომიერებაზე, თუ არ გაირკვევა იმ საშტატო ერთეულის გაუქმების კანონიერების საკითხი, სადაც სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარე აღდგენილ უნდა იქნეს სამსახურში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
  2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სამუშაოზე აღდგენა

### გადაცევისთვის საქართველოს სახელით

№ას-545-518-2013

20 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანებების ბათილად ცნობა, ქმედების გან-  
ხორციელება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თ. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ საზოგადოებ-  
რივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიმართ და მოითხოვა კოლეჯის  
დირექტორის მიერ მის მიმართ გამოცემული 2012 წლის 18 ივ-  
ნისის №34 და 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანებების ბათი-  
ლად ცნობა, ასევე მოპასუხის დავალდებულება ახალი ბრძანე-  
ბის გამოცემის თაობაზე, რომლითაც განისაზღვრება მხარეებს  
შორის შრომითი ხელშეკრულების მოშლა შრომის კოდექსის 37-  
ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის სა-  
ფუძველზე. სასარჩელო განცხადება ეფუძნება შემდეგ გარე-  
მოებებს:

მოპასუხის მიერ გაფრთხილების გამოცხადებისა და შემდეგ  
სამუშაოდან დათხოვის შესახებ სადაცო ბრძანებები მიღებუ-  
ლა კანონის დარღვევით, ვინაიდან დირექტორმა 2012 წლის 6  
ივნისს უსაფუძვლოდ მოსთხოვა მას პირადი განცხადების სა-  
ფუძველზე სამსახურიდან ნასვლა.

მართალია, სადაცო ბრძანებებში მითითებულია, რომ თ.კ-მა  
დაუშვა სასამართლო პროცესში ხარვეზები, მაგრამ აღნიშნული  
ფაქტები არ არის დადასტურებული სათანადო მტკიცებულე-  
ბებით. კოლეჯის დირექტორს მოსარჩელისათვის სამუშაოდან  
საკუთარი განცხადებით ნასვლის მოთხოვნისას, ხარვეზების  
შესახებ არ უსაუბრია, ხოლო 6-დან 15 ივნისამდე მოსარჩელეს  
არ ჰქონდა საშუალება გამოცხადებულიყო სამსახურში.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნონ და განმარტა, რომ სადაცო ბრძა-  
ნებები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგის 2012 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ.კ-ის სარჩელი დაქმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. კ-ის სარჩელი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანების ბათილად ცნობისა და თ. კ-ის შრომის წიგნაკში შესაბამისი ჩანაწერების განხორციელების თაობაზე მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, აღიარებულ იქნა, რომ აღნიშნული ბრძანებით მხარეებს შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა 2012 წლის 19 ივნისს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე, შესაბამისად, თ. კ-ის შრომის წიგნაკში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად უნდა დაფიქსირდეს საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თ. კ-ი კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 17 თებერვლის №50 ბრძანების საფუძველზე მუშაობდა კოლეჯის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 2012 წლის 19 ივნისამდე. მას ევალებოდა სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა, დირექტორის არყოფნისას მისი უფლებამოსილების განხორციელება, იგი პასუხისმგებელი იყო პროფესიული კოლეჯის სარეგისტრაციო ცენტრის მონაცემების მონიტორიზე, ცენტრისათვის კანონით დადგენილ ვადებში სტუდენტთა მოძრაობის შესახებ არსებული ბრძანებების მიწოდებაზე, მათ შორის, სტუდენტების საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩარიცხვის და სხვა, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებაზე და მის ჩატარებაზე.

2012 წლის 28 მაისს თ. კ-ი დაინიშნა საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ. გამოცდები უნდა ჩატარებულიყო 2012 წლის 28 მაისიდან იმავე წლის 8 ივნისის ჩათვლით.

2012 წლის 6 ივნისს კოლეჯის დირექტორმა თ. კ-ს შესთავაზა, პირადი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინა თანამდებობა.

2012 წლის 7 ივნისს თ. კ-მა უარი განაცხადა პირადი განცხადებით სამსახურის დატოვებაზე და მოითხოვა ნებისმიერი მი-

ზეზის აღნიშვნით, თავად დირექტორს მიეღო მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება. იმავე დღეს, დირექტორთან საუბრის შემდეგ, თ. კ-ი დაბრუნდა თავის სამუშაო ოთახში, პირადი ნივთების აღების მიზნით. მან ვეღარ ისარგებლა მანამდე მის სარგებლობაში არსებული კომპიუტერით, ვინაიდან აღნიშნულ კომპიუტერს, დირექტორის დავალების საფუძველზე კოლეჯის ტექნოლოგიების სპეციალისტმა შეუცვალა პაროლი.

თ. კ-ის მოთხოვნისთანავე, კოლეჯის ტექნოლოგიების სპეციალისტმა გადასცა მას შეცვლილი პაროლი. იმავე დღეს, მოსარჩელემ აიღო თავისი სამუშაო მაგიდიდან პირადი ნივთები, ხოლო სამსახურებრივი დოკუმენტები გადასცა შესაბამის პირებს. კოლეჯის იურისტს მოსთხოვა, დროულად ჩაებარებინათ მისთვის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და დატოვა კოლეჯი.

2012 წლის 7 ივნისიდან 2012 წლის 15 ივნისამდე პერიოდში მოსარჩელე სამსახურში არ გამოცხადებულა. იგი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ტელეფონის საშუალებით არაერთხელ უკავშირდებოდა როგორც კოლეჯის იურისტს, ასევე დირექტორის თანაშემწეს და თავად დირექტორს, რა დროსაც მოითხოვდა მათგან სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების წერილობითი ფორმით ჩაბარებას. აღნიშნულ პერიოდში თ. კ-ის სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანება არ გამოცემულა. მოსარჩელე კოლეჯში გამოცხადდა 2012 წლის 15 ივნისს და სასწავლო პროცესის მენეჯერ ნ. გ-აზ ერთად დაასრულა 6 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით დაგროვილი ყველა იმ ბრძანების პროექტის ტექსტზე მუშაობა, რაც ეხებოდა საკვალიფიკაციო გამოცდებზე სტუდენტთა დაშვებას, ასევე სხვა მიმდინარე საკითხებს, თუმცა, ბრძანებათა პროექტები კომპიუტერიდან არ ამოუბრეჭდავს და დირექტორს არ წარდგენია.

კოლეჯის დირექტორმა 2012 წლის 18 ივნისს ჩაატარა თათბირი, რომლის დღის ნესრიგს შეადგენდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განხილვა. თათბირზე სასწავლო პროცესის მენეჯერმა და საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის ერთ-ერთმა ნევრმა ნ. გ-ამ განმარტა, რომ დირექტორის მივლინების პერიოდში დაგეგმილი საკვალიფიკაციო გამოცდები მიმდინარეობდა ხარვეზებით, გამოცდები იყო არაორგანიზებული, რომელსაც შემდგომში თავად უხელმძღვანელა. ამასთან, წარმოდგენილი იყო ჯგუფების პედაგოგების მიერ დირექტორის რეზოულუციით მოხსენებითი ბარათები დირექტორის მოადგილის სახელზე, რომელსაც სასწავლო პროცესის მენეჯერმა გაუწია კონტროლი. თათბირის შედეგად, კოლეჯის

დირექტორმა იმავე დღეს გამოსცა №34 ბრძანება, რომლითაც თ. კ-ს, დირექტორის მოვლინების დროს დირექტორის მოვალეობის შესრულებისას დაშვებული ხარვეზების გამო (სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაშვებული ხარვეზები, გამოცდების არაორგანიზებულად ჩატარება) მიეცა გაფრთხილება. აღნიშნული №34 ბრძანება იმავე დღეს ჩაბარდა თ. კ-ს, რომელიც ბრძანებას არ დაეთანხმა.

2012 წლის 19 ივნისს კოლეჯის დირექტორმა დ. მ-მა ჩაატარა თათბირი, რომლის დღის ნესრიგს შეადგენდა №34 ბრძანების განხილვა. აღნიშნულ თათბირს ესწრებოდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და თ. კ-იც. თათბირზე მოხდა ურთიერთშელაპარაკება კოლეჯის დირექტორსა და თ. კ-ს შორის. თათბირის შემდეგ, კოლეჯის დირექტორმა იმავე დღეს გამოსცა №36 ბრძანება თ. კ-ის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ბრძანებას ფაქტობრივ საფუძვლად დაედო მოსარჩელის მიმართ გამოყენებული გაფრთხილება, ხოლო სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და შრომითი ხელშეკრულების მე-9 პუნქტის 9.2.1. ქვეპუნქტი.

ა. კ-მა 2012 წლის 7 ივლისს მიმართა კოლეჯის დირექტორს განცხადებით განმცხადებელმა, თ. კ-ის სახელით, უარი თქვა თანამდებობრივ უფლებამოსილებაში აღდგენაზე და მოითხოვა შრომითი ხელშეკრულების მოშლა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ დავაში საკვანძო საკითხს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როდის შეწყდა შრომითი ურთიერთობა კოლეჯსა და თ. კ-ს შორის. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს მოხდა 2012 წლის 6 ივნისს, შესაბამისად, ამის შემდეგ 2012 წლის 18 და 19 ივნისს გამოცემული ბრძანებები მიიჩნია უკანონოდ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებული დასკვნა, რადგან მხარის ახსნა-განმარტებითა და მონაბის ჩვენებით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დადასტურება მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლით, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ შრომითი ურთიერთობის წარმოშობისათვის კანონი წერილობით ფორმას იმშერატიულად არ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში, თ. კ-სა და კოლეჯს შორის 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება.

ამდენად, მხარეები, სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეთანხმდნენ გარიგების წერილობით ფორმაზე, შესაბამისად, მათ შორის შრომითი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის გარემოება უნდა დადგინდეს მხოლოდ შესაბამისი წერილობითი დოკუმენტების შეფასების საფუძველზე. საქმის მასალებით სასამართლომ დაადგინა, რომ აპელაციი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს.

პალატის მითითებით, იმავე კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის ანალოგიური შინაარსის ნორმებია ასახული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 თებერვლის №40/6 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის ნესდების მე-5 მუხლშიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კოლეჯსა და თ. კ-ს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა უნდა მომხდარიყო მხოლოდ წერილობითი ფორმით გამოცემული სამართლებრივი აქტით, მოცემულ შემთხვევაში – დირექტორის ბრძანებით, რაც განხორციელდა კიდეც 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანების სახით. პალატამ ჩათვალა, რომ ამ მომენტამდე შრომითი ურთიერთობა არსებობდა. გარდა ამისა, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც (მათ შორის, მოსარჩელის ახსნა-განმარტებებიც) ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ 2012 წლის 6 ივნისის შემდგომ, კერძოდ 2012 წლის 15 ივნისს მოსარჩელე გამოცხადდა სამსახურში და შეასრულა გარკვეული სამუშაო (დაასრულა სხვადასხვა საკითხებზე გამოსაცემი დირექტორის ბრძანებათა პროექტების მომზადება). ამდენად, შრომითი ურთიერთობის არსებობას თავად მოსარჩელის მოქმედებაც ადასტურებს.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, შრომის უფლება უმნიშვნელოვანესი სოციალური უფლებაა. შრომა თავისუფალია, რაც გულისხმობს პირის თავისუფლებას შრომითი საქმიანობის არჩევანში და მის განხორციელებაში. ამავდროულად, შედის რა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში დამსაქმებელთან, დასაქმებული ვალდებულია, კეთილსინდისერად და ჯეროვნად შეასრულოს ის ფუნქციები, რაც მას ეკისრება შრომითი ხელშეკრულებიდან და დამსაქმებლის მიერ გამოცემული სა-

მართლებრივი აქტებიდან (თანამდებობრივი ინსტრუქცია, შინაგანაწესი) გამომდინარე.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ კოლეჯში 2012 წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მათ შორის, 2012 წლის 28 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით სტუდენტთა საკეთო ფიფიკო გამოცდების ჩატარებისას გამოვლინდა ხარვეზები (საინფორმაციო ცენტრისათვის სტუდენტთა ჩარიცხვის, გარიცხვისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაციის საინფორმაციო ცენტრისათვის მიუწოდებლობა, ან დაგვიანებით მიწოდება, საკვალიფიკაციო გამოცდებზე სტუდენტთა დაშვება შესაბამისი ბრძანების გარეშე), რომლებზე-დაც პასუხისმგებელი იყო თ. კ-ი.

კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 18 თებერვლის №9/2 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის შინაგანაწესის 6.2 პუნქტის თანახმად, კოლეჯის პედაგოგის მიერ შინაგანაწესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევის მიმართ შეიძლება გატარდეს დისციპლინური ზომები, მათ შორის, წერილობითი საყვედურის (გაფრთხილების) გამოცხადება.

სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც 2012 წლის 18 ივნისის მდგომარეობით, კოლეჯსა და თ. კ-ს შორის შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილი არ იყო და სახეზე იყო მოსარჩელის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ ვალდებულებათა დარღვევები, არსებობდა მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რაც განხორციელდა კიდეც გასაჩივრებული 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანების გამოცემით. შესაბამისად, ეს ბრძანება კანონიერია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს არ მიუთითებია ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაეფუძნა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლს. გასაჩივრებული №34 ბრძანება, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს გარიგებას, რადგან იგი არის სამართლებრივი ურთიერთობის ნარმოშობისაკენ მიმართული კოლეჯის დირექტორის ცალმხრივი ნების გამოვლენა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა კანონი (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი), რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება

ამ ნაწილში იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ნაწილში მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

პალატის მითითებით, 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანება პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო იმის გამო, რომ დამსაქმებელმა მის გამოცემამდე, 2012 წლის 6 ივნისს მოშალა შრომითი ხელშეკრულება და შემდეგ დაიწყო იმ გარემოებათა გამოკვლევა, თუ რა შეიძლებოდა გამხდარიყო მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა შრომითი ურთიერთობის 2012 წლის 6 ივნისს მოშლასთან დაკავშირებით. ამდენად, დამატებით სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს ის საფუძვლები, რასაც დაეფუძნა 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანება, კერძოდ, ბრძანებაში მითითებულია, რომ თ. კ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანების საფუძველზე და მასთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების 9.2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე.

შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა. 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების 9.2.1 ქვეპუნქტის თანახმად კი, შრომითი ხელშეკრულება ვადამდე დამქირავებლის იზიციატივით წყდება, თუ დაქირავებული ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 18 თებერვლის №9/2 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის შინაგანანების 6.2 პუნქტი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით ითვალისწინებს უკიდურეს ზომას – თანამდებობიდან გათავისუფლება-დათხოვნას, შინაგანანების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართალში საყოველთაოდ აღიარებული კონსტიტუციური პრინციპის თანახმად, პირს ერთი და იგივე ქმედებისათვის (სამართალდარღვევა, გადაცდომა) არ შეიძლება ორჯერ დაეკისროს პასუხისმგებლობა. მოცემულ შემთხვევაში თ. კ-ს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა – ნერილობითი გაფორთხილება, სასწავლო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზებიდან გამომდინარე. ამდენად,

ეს გარემოება დამსაქმებლის მიერ მიჩნეულ იქნა არა როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის, არამედ, როგორც დის-ციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მეორე დღეს, იგივე საფუძვლით, მოხდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც დაუშვებელია. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანების უკანონბასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მითითებული საფუძვლებით თ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანების არსებობის პირობებში დაუშვებელი იყო.

შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ორივე მხარის პოზიცია დავის საგანთან მიმართებით და აღნიშნა, რომ არც ერთ მხარეს აღარ სურს ერთმანეთთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელება. დამსაქმებლის ნება გამოვლინდა 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანებით, დასაქმებულის ნება კი აისახა ა. კ-ის 2012 წლის 7 ივლისის განცხადებაში და გამოვლინდა საქმის სასამართლოში განხილვისას. ფაქტობრივად, 2012 წლის 19 ივნისს მხარეთა შორის შეწყდა შრომითი ურთიერთობა დამსაქმებლის ინიციატივით, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებულ უნდა იქნეს სწორედ ის, რომ 2012 წლის 19 ივნისის №36 ბრძანებით შრომითი ურთიერთობა შეწყდა შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე, თ. კ-ის შრომის წიგნაკში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად კი უნდა დაფიქ-სირდეს საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. კ-მა გაასაზიდოა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანების კანონიერ ძალაში ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არ გამოიკვლია დისკიპლინარული სახდელის დადების წინაპირობები და დაუსაბუთებლად არ გაზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დირექტორის №34 ბრძანების გაუქმების ნაწილში. ის დადასტურებული ფაქტი, რომ თ. კ-ი ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო გათავისუფლების შემდეგ მოხდა მტკიცებულებების შეგროვე-

ბა, არღვევს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩევის მხრიდან არაორგანიზებული სასწავლო პროცესის წარმართვის ფაქტი, მაგრამ არ მიუთითებია იმ მტკიცებულებებზე, რომელიც კასატორის ბრალეულ ქმედებას ადასტურებს მაშინ, როდესაც პირველმა ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები და საქმეში წარმოდგენილი მასალები.

სააპელაციო სასამართლომ თ. კ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას საფუძვლად დაუდო მოდავე მხარეთა შორის სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელების მიმართ უარყოფითი სურვილი. შედეგი, რომელიც აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში დადგა, მისაღები აღმოჩნდა კასატორისთვის. სასამართლომ მიიღო შრომის წიგნაკში გათავისუფლების საფუძვლების შეცვლის გადაწყვეტილებაც, მაგრამ ღიად დატოვა საქმეში თ. კ-ის დისციპლინარული სახდელის დადების მართლზომიერების საკითხი.

№34 ბრძანების კანონირების შეფასებით კასატორისთვის უნდა დადგეს მთავარი სამართლებრივი და მორალური მნიშვნელობის შედეგი, კერძოდ, გაირკვეს დაუშვა თუ არა მან სასწავლო პროცესში შეცდომები, ჩატარა თუ არა გამოცდები არაორგანიზებულად, არსებობდა თუ არა მის მიმართ დისციპლინარული დევნის კანონიერი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლები შეიცვალა, მაგრამ ძალაში დარჩა დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ბრძანება, რაც მიუღებელია თ. კ-ის, რადგან მოსარჩელის გაფრთხილების თაობაზე ბრძანების მიღების საჭიროება დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე არ არსებობდა.

მოწინააღმდეგე მხარემ ვერც სააპელაციო ეტაპზე შეძლო №34 ბრძანების მიღების საჭიროების ფაქტის დადასტურება. სააპელაციო სასამართლომ №34 ბრძანების ძალაში დატოვების საფუძვლად მიიჩნია სწორედ ის შემთხვევა, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის 2012 წლის 13 ივნისამდე არსებობდა შრომითი ურთიერთობა. პალატამ გაიზიარა ისიც, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულს პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობის დატოვების შესახებ 2012 წლის 6 ივნისიდან აცნობა, თუმცა დაუსაბუთებლად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადასტურებული ის ფაქტი, რომ დასაქმებული ჯერ გააფრთხილეს/გაათავისუფლეს, ხოლო შემდეგ

მოხდა მისი წასვლის შესახებ გარემოებების გამოკვლევა.

კასატორს პირადი განცხადების საფუძველზე მოადგილის თანამდებობიდან წასვლა მოსთხოვეს 2012 წლის 6 ივნისს, 7 ივნისიდან დირექტორის დავალებით დაიბლოკა მისი სამუშაო კომპიუტერი, დირექტორმა სიტყვიერად გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან. 7 ივნისიდან 15 ივნისამდე მოსარჩევეს ხელოვნურად არ მიეცა საშუალება, გამოცხადებულიყო სამსახურში და შეესრულებინა თავისი უფლებამოსილება, არც 6 ივნისს და არც 18 ივნისამდე პერიოდისათვის არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება მისი ისეთი ქმედება, რაც გულისხმობს ხარვეზს, არაორგანიზებულობას, ხოლო დისციპლინარული სახდელის დაკისრება მოხდა იმ ვითარებაში, როდესაც ოფიციალურად გათავისუფლებისათვის საჭირო იყო შესაბამისი ლონისძიება, დისციპლინარული გაფრთხილების სახით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. კის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივრი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. მოცემული ნორმის თანახმად, კანონის დარღვევა გულისხმობს, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების, ასევე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას. ამასთან, სასამართლო კანონით არ არის შეზღუდული, თავისი ინიციატივით, მხარის მითითებისგან დამოუკიდებლად, შეამონმოს მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევის საკითხი. რაც შეეხება საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევას, საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები) მნიშვნელოვანია მხარის მითითება, თუ რაში მდგომარეობს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა. საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

როგორც განსახილველი საკასაციო საჩივრის შინაარსიდან

ირკვევა, კასატორი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სადაც ხდის იმ ნაწილში, რომლითაც არ დატვირთვილდა თ. კ-ის სარჩელი სსიპ. საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში. კასატორის მოსაზრებით, მოწინააღმდეგი მხარემ საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე ვერ შეძლო №34 ბრძანების მიღებისათვის დასახელებული ფაქტების დადასტურება. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა კანონი და არ გამოიკვლია არსებითი სახის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ მოკასუხეს არ ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია და არგუმენტაცია, მან ვერ წარმოადგინა რაიმე კონკრეტული მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომელიც საფუძვლად დაედებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო მიუთიებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს, როგორც გადაწყვეტილების ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი მხარე. ამასთან, სააპელაციო სასამართლო არ არის შეზღუდული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების კვლევა-ძიებაში, ხოლო რაც შეეხება გადაწყვეტილების ფაქტობრივ ნაწილს, სააპელაციო სასამართლოს მართალია შეუძლია საქმეში არსებული მტკიცებულებების, ან ამ კოდექსის 380-ე მუხლის საფუძველზე დაშვებული ახალი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა, მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელშიც პრეტენზია განაცხადა აპელანტმა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ინკვიზიციურ პროცესს და უგულვებელყოფით საპროცესო კოდექსით განმტკიცებულ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრი წარადგინა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ახალი ტალღა“. აპელანტს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სადაც არ გაუხდია ფაქტობრივ ნაწილში, ანუ მას არ მიუთიებია იმ გარემოებებზე, რომლითაც დადასტურდებოდა ან უარყოფილ იქნებოდა ფაქტობრივი უსწორობა. აპელანტის პრეტენზია შემოიფარგლა მხოლოდ სამართლებრივ უსწორობაზე ზოგადი ხასიათის მითითებით. აპელანტს არც დაზუსტებული საა-

პელაციო საჩივარი წარუდგენია სასამართლოსთვის მთავარ სხდომამდე. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სა-აპელაციო სასამართლოს შეეძლო მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობის შემონმება სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნების გათვა-ლისწინებით, რაც დარღვეულ იქნა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს დასვას კითხვა იმის შესახებ, თუ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმების ასეთმა დარღვევამ რამდენად იქონია გავლენა გადაწყვეტილე-ბის შედეგზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველი ინსტან-ციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებე-ბი განაპირობებდა თუ არა იმ სამართლებრივი შედეგის დადგო-მას, რომლის მიღწევაც სურდა მოსარჩევეს. ამ მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს პირველი ინ-სტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ რამოდენიმე მნიშვნე-ლოვან გარემოებაზე, რომლებიც, როგორც ზემოთ დაგვასაბუ-თეთ, კანონით დადგენილი წესით სადაც არ გაუხდია აპე-ლანტს, კერძოდ სასამართლომ დაადგინა, რომ:

თ. კ-ი, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან იმავე წლის 31 დეკემ-ბრამდე, ქობულეთის პროფესიული სწავლების ცენტრის დირექ-ტორის №127 ბრძანების საფუძველზე, დაინიშნა ქობულეთის პროფესიული სწავლების ცენტრში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. თ. კ-ან 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება.

2012 წლის 6 ივნისს კოლეჯის დირექტორმა თ. კ-ს განუმარ-ტა, რომ ის ღებულობდა საკადრო გადაწყვეტილებას და თ. კ-ს მოსთხოვა დაეტოვებინა დირექტორის მოადგილის თანამდე-ბობა პირადი განცხადების საფუძველზე.

2012 წლის 7 ივნისიდან 2012 წლის 15 ივნისამდე მოსარჩევე თ. კ-ი სამუშაოზე არ გამოცხადებულა. იგი აღნიშნული პერიო-დის განმავლობაში ტელეფონის საშუალებით არაერთხელ და-უკავშირდა როგორც კოლეჯის იურისტს, ასევე დირექტორის თანამემწეს და თავად დირექტორს, მოითხოვდა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების წერილობითი ფორმით ჩა-ბარებას. აღნიშნულ პერიოდში თ. კ-ის სამუშაოდან გათავისუფ-ლების თაობაზე წერილობითი ფორმით ბრძანება არ გამოცემუ-ლა.

2012 წლის 18 ივნისის სასიპ საზოგადოებრივი კოლეჯის დი-რექტორის №34 ბრძანებით, ამავე კოლეჯის დირექტორის მო-ადგილე თ. კ-ს, დირექტორის მივლინების დროს დირექტორის

მოვალეობის შესრულებისას დაშვებული ხარვეზების, კერძოდ სასწავლო პროცესის მიმღინარეობისას დაშვებული ხარვეზების და გამოცდების არაორგანიზებულად ჩატარებისათვის მიეცა გაფრთხილება.

დარღვევები, რომლებიც საფუძვლად დაედო ჯერ გაფრთხილებას, ხოლო შემდეგ გათავისუფლებას (სარეგისტრაციო ცენტრში ბრძანებების დაგვიანებით მიწოდება, სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტა-შეჩერებაზე არადროული რეაგირება, სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ სახელობითი უურნალის წარმოებაში გვარების არასწორი ფიქსირება და ამის გამო დიპლომების არასწორი ბეჭდვა) გამოვლენილ იქნა და ამ დარღვევებზე დირექტორის მიერ მითითება მოხდა არა სადაო ბრძანებების მიღებისას, არამედ მას შემდეგ, რაც უკვე მიღებული იყო მოსარჩელის მიმართ გათავისუფლების შესახებ ბრძანება.

დირექტორმა საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ ინფორმაცია პირველად სასწავლო პროცესის მენეჯერ 6. გ-ან მხოლოდ 2012 წლის 15 ივნისის შემდეგ მიიღო, რა დროსაც, მოსარჩელე გამოცხადდა სასწავლებელში უფლებამოსილების 10-დღიანი შეწყვეტის შემდეგ და 6. გ-ან ერთად გაამზადა ის ბრძანებები, რომელიც უნდა გაემზადებინა მას, როგორც საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს და რომელიც მანამდე არ იქნა შესრულებული მხოლოდ იმის გამო, რომ მივლინებიდან დაბრუნებულმა დირექტორმა 2012 წლის 6 ივნისს თ. კ-ს პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობის დატოვება მოსთხოვა.

ამდენად მოცემულ შემთხვევაში, სადაცო არ არის ის გარემოება, რომ მხარეებს შორის არსებობდა შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა. სადაცო ბრძანების გამოცემის დროისათვის მოქმედი საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი, შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონმებს უფლების გამოყენების კანონიერებას, რის მიხედვითაც აფასებს

მხარეთა მიერ სასამართლოს ნინაშე დაყენებულ მოთხოვნათა საფუძვლიანობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა შესწავლა. სამუშაოდან გათავისუფლების ან დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მიმართ ამა თუ იმ ონისძიების გამოყენების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ აღმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული საფუძვლების კვლევის შედეგად.

საკასაციო პალატა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე, ასკვნის, რომ მხარეებმა ერთმანეთის მიმართ გამოხატეს ნება, რათა მოშლილიყო მათ შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. ამასთან, როგორც სასამართლომ დაადგინა, დარღვევები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მიმართ გამოცემულ გაფრთხილების ბრძანებას, გამოვლენილ იქნა და ამ დარღვევებზე რეაგირება განხორციელდა მას შემდეგ, რაც უკვე მიღებული იყო მოსარჩელის მიმართ გათავისუფლების შესახებ ბრძანება. ასევე დადგენილია, რომ თ.კ-ის მიერ საკუთარ მოვალეობათა შეუსრულებლობა განაპირობა დირექტორის მხრიდან თანამდებობის დატოვების მოთხოვნამ. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო საპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ გადაწყვეტილს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი წარილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა,

რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საკასაციო საჩივარზე დართული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრიდან დგინდება, რომ კასატორმა საკასაციო საჩივარზე გადაიხადა 300 ლარი. შესაბამისად, კასატორის მიერ გადებული ხარჯების გადახდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საზოგადოებრივ კოლეჯს „ახალი ტალღა“.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. თ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის №34 ბრძანება თ. კ-ის მიმართ დისციპლინური ღონისძიების – გაფრთხილების გამოყენების შესახებ,
4. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს „ახალი ტალღა“ თ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 300 ლარის გადახდა.
5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება

### გადაცევეფილება საქართველოს სახელით

№ას-1634-1533-2012

24 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

ლ. ლ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა. ბ. ბ. კ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა „ა. ბ. ს-ოს – შპს „ა. ბ. ბ. კ-ის“ საქართველოს ფილიალში, მრჩევლის თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2012 წლის 7 ივნისიდან შემდეგი საფუძვლით: 2011 წლის 1 იანვარს მას და „ა. ბ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურების განვის შესახებ, რომლის ვადა განისაზღვრებოდა 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მის მიერ განეული მომსახურების საზღაური კი, 3000 ლარით. ხელშეკრულებას ასრულებდა პირნათლად, მაგრამ 2012 წლის 7 ივნისიდან კომპანიამ ცალმხრივად, მოულოდნელად და უმიზეზოდ განყვიტა მასთან შრომითი ურთიერთობა, რასაც არ ეთანხმება და ითხოვს აღდგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირბების და ვადის მიხედვით, ასევე – განაცდურის დაკისრებას საშეგებულებო თანხასთან ერთად, სულ 4500 ლარის ოდენობით.

მოპასუხე შპს „ა. ბ. ბ. კ-ის“ წარმოდგენელმა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში მიუთითა, რომ ლ. ლ-ან შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელმა შეწყვიტა კანონმდებლობის სრული დაცვით. ლ. ლ-ე არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. დამსაქმებელმა იგი სხვა სამსახურში გადაიყვანა, მაგრამ მან უარი განაცხადა „ბ-ი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობაზე და სამუშაო ოთახის დაცლაზე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა ლ. ლ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ლ. ლ-ის სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

მხარეთა შორის სადაცო არ გამხდარა და სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ 2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე, ლ. ლ-ე დაინიშნა „ა. ბ. ს-ო, შპს ა. ბ. ბ. კ-ის ს. ფ-ის“ გენერალური დირექტორის მრჩევლად და განხსაზღვრა ყოველთვიური ანაზღაურება 3000 ლარი (ხელზე ასაღები თანხა).

მხარეთა შორის სადაცო არ გამხდარა და სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „პ.ს № 1 ჩ. ქ-ნა“ ლ. ლ-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობის პერიოდში წარმოდგენდა მოპასუხის შვილობილ კომპანიას. აგრეთვე შპს „ბ-ი“, ასევე წარმოადგენდა მოპასუხის შვილობილ კომპანიას იმ პერიოდისათვის, როდესაც მოპასუხემ ლ. ლ-ეს დაავალა ამ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილით, მე-3 მუხლით, I მუხლის I ნაწილით და მიიჩნია, რომ, რამდენადაც მხარეებს შორის სადაცო არ გამხდარა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შრომითსამართლებრივი ხასიათი, განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება არ ექცევოდა რაიმე სპეციალური კანონით გათვალისწინებულ მოწესრიგების სფეროში და იგი ექვემდებარებოდა შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმებით დადგენილ რეგულირებას.

პალატამ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ გაიზიარა პპელანტის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ დამსაქმებელმა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეწყვიტა მასთან შრომითი ხელშეკრულება. პპელანტის მოსაზრება მასზე, რომ ერთ-ერთ შვილობილ კომპანიაში – სს „ბ-ი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობის განხორციელებაზე უარის თქმა არ შეიძლება განხილულიყო მხარეთა შორის გაფორმებული 2011 წლის 1 იანვრის შრომითი ხელშეკრულების პირობის დარღვევად, პალატამ არადამაჯერებლად მიიჩნია.

მხარეთა შორის 2011 წლის 1 იანვარს გაფორმებული საკონსულტაციო მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულების 2.1. და 2.2. პუნქტების თანახმად, კომპანიის დავალებითა და ინტერესების დაცვით ლ. ლ-ე, როგორც კონსულტანტი, ვალდებულია, კომპანიის მენეჯმენტს მისცემს რჩევები კომპანიისა და მისი შეიღლობილი კომპანიების მართვასთან დაკავშირებით, ამასთან კონსულტანტი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს კომპანიის მენეჯმენტს (მათ შორის, გენერალურ დირექტორს) კომპანიისა და მისი შეიღლობილი კომპანიების მართვაში.

მითითებული პუნქტების შინაარსიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, კონსულტანტის (გენერალური დირექტორის მრჩეველი) ძირითად მოვალეობას ნარმოადგენდა ერთი მხრივ კომპანიის (მას „ა. ბ. კ-ი“) მენეჯმენტისათვის რჩევების მიცემა კომპანიის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, კომპანიის დავალების შემთხვევაში კომპანიისა და მისი შეიღლობილი კომპანიების მართვაში დახმარების აღმოჩენა, მათ შორის, მართვაში უშუალო მონაწილეობის მიღების განხორციელება. ნიშანდობლივია, რომ 2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და, შესაბამისად, კომპანიის გენერალური დირექტორის მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობისას ლ. ლ-ე, ასევე პარალელულად ასრულებდა სს „ბ.ს №1 ჩ. ქ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ კონსულტანტისათვის ყოველთვიური ანაზღაურების ოდენობაც – 3000 (ხელზე ასაღები თანხა) ლარი, გარკვეულწილად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ამ მოცულობის ანაზღაურება მხოლოდ რჩევების, კონსულტაციისა და 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებისათვის არ იყო გათვალისწინებული და დამსაქმებელს ამ ანაზღაურების სანაცვლოდ, ასევე შეეძლო 2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ლ. ლ-ის, როგორც კონსულტანტისათვის, დაევალებინა შეიღლობილი კომპანიის მართვაში უშუალო მონაწილეობის მიღებაც.

სააპელაციო პალატამ ზემოთ მითითებული გარემოებებისა და მსჯელობის გათვალისწინებით საბოლოოდ დაასკვნა, რომ, რამდენადაც ლ. ლ-ეს, როგორც „ა. ბ. ს-ო, მპს ა. ბ. კ-ის ს. ფ-ის“ კონსულტანტს, დამსაქმებელმა 2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების ფარგლებში და დამსაქმებლის შეიღლობილი კომპანიის მართვაში დახმარების განევის მიზნით დავალა ერთ-ერთ შვილობილ კომპანიაში – სს „ბ-ი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელება, ლ. ლ-ის მიერ სს „ბ-

ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილებაზე უარის თქმა უნდა განხილულიყო მხარეთა შორის 2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევად. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული საკითხები ექცევდა „მერარმეთა შესახებ“

კანონის რეგულირების სფეროში, თუმცა მხოლოდ აღნიშნულის გამო იმის მტკიცება, რომ, მოცემულ შემთხვევაში დამსაქმებელს ლ. ლ-ის არ შეეძლო დაევალებინა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელება, არადამაჯერებელი იყო. მით უმეტეს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული საკონსულტაციო მომსახურების განვეის შესახებ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით მხარეებმა წინასწარვე გაითვალისწინეს შეიძლობილი კომპანიის მართვაში დახმარების განევის ვალდებულება. პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების ამ პირობით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა ლ.ლ-ის მხრიდან ფაქტობრივად ნიშნავდა კონსულტანტის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობის განხორციელებაზე უარის თქმას, რაც, პალატის მოსაზრებით, წარმოშობდა მხარეთა მიერ გაფორმებული 2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების დასაქმებლის მხრიდან შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველს (შე-ის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

პალატის მითითებით, აპელანტს სასამართლოსათვის არ შემოუთავაზებია, რაიმე არგუმენტი, რაც სარწმუნოდ მიუთითებდა აპელანტის მიმართ დისკრედიტაციის მცდელობასა და დამსაქმებლის მხრიდან ლ. ლ-ის მიმართ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე. დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით კი, აპელანტთან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა განპირობებული იყო დამსაქმებლის შეიძლობილ კომპანიის მართვაში ლ. ლ-ის მხრიდან მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმით და ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ლ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, ლ. ლ-ე სარჩელით აპროტესტებდა გენერალური დირექტორის მრჩევლის თა-

ნამდებობიდან განთავისუფლებას და ითხოვდა სწორედ ამ თანამდებობაზე აღდგენას, პირველი ინსტანციის სასამართლო კი, სამოტივაციო ნანილში მსჯელობდა, რომ ლ. ლ-ე მოპასუხე თრგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლებული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ სასამართლო საერთოდ ვერ გაერკვა, თუ რომელი თანამდებობიდან გათავისუფლდა ლ. ლ-ე და სად ითხოვდა აღდგენას. სააპელაციო სასამართლომ კი, საერთოდ არ იმსჯელა ამ საკითხზე. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ლ. ლ-ის განთავისუფლებას სამართლებრივ საფუძვლად დაედო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნანილის „გ“ ქვეპუნქტი – ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა. განსხვავებით ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისაგან, „გ“ ქვეპუნქტით პირის გათავისუფლებას ესაჭიროება კონკრეტული მიზეზი, კონკრეტული დარღვევა, რომლის არსებობაც მოპასუხის დასამტკიცებელია. ლ.ლ-სა და მოპასუხეს შრორის არსებულ შრომით ხელშეკრულების (ანუ 01.01.2011 წლის ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურების განვის შესახებ) მე-2 მუხლი არეგულირებს მხარეთა ვალდებულებებს. ვერც ერთი ინსტანციის სასამართლომ და ვერც მოპასუხემ ვერ შიუთითა, თუ ამ მუხლის ან მთლიანად ხელშეკრულების კონკრეტულად რომელი პირობა დაარღვია ლ.ლ-ემ. გაუგებარისა სააპელაციო პალატის მითითება იმის თაობაზე, რომ თურმე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ლ. ლ-ე პარალელურად ასრულებდა სს „ბ.ს № 1 ჩ. ქ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც. გაუგებარისა რაში გამოიხატება „ნიშანდობლიობა“. რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით შეიძლება დაგასკვნათ, რომ თითქოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობის განხორციელება ლ. ლ-ეს დავალებული ჰქონდა საკონსულტაციო მომსახურების განვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ბუნდოვანია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ თურმე კონსულტანტი-სათვის ყოველთვიური ანაზღაურების ოდენობაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ მოცულობას ანაზღაურება მხოლოდ რჩევების მიცემისთვის არ იყო გათვალისწინებული და დამსაქმებელს შეეძლო, დაევალებინა შვილობილ კომისანის მართვაში უშუალოდ მონაწილეობის მიღებაც. კასატორის განმარტებით, საკონსულტაციო მომსახურების ანაზღაურება შეიძლება იყოს სამი ათასი ლარიც და სამი მილიონი ლარიც. ყველაფერი დამოკიდებულია კომისანის გადახდისუუნარობასა და კონსულტანტის კვალიფი-

კაციაზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ლ.ლ.-ის, როგორც ჩამომ-სხმელი ქარხნის, სტრუქტურაში ყველა საკვანძო თუ არასაკ-ვანძო რეოლზე (მათ შორის გენერალური დირექტორის თანამ-დებობაზე) მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება, ადასტუ-რებს, რომ ლ. ლ-ე გახლავთ მაღალკვალიფიციური და, შესაბა-მისად, მაღალანაზღაურებადი კონსულტაციი.

ზემოთქმული გარემოებები ადასტურებს, რომ სასამარ-თლოს დასკენები და შეფასებები არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან. აბსოლუტურად გაუგებარია სააპელაციო პალატის მოსაზრებაც, რომ თურმე ლ. ლ-ე არ და-ემორჩილა დამსაქმებლის მითითებას ახალი სამუშაო ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ყოველგვარი შეფასება, რომ თითქოს ლ. ლ-ე არ დაემორჩილა დამსაქმებლის მითითებას სა-მუშაო ადგილის შეცვლაზე, დაუსაბუთებელია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შე-ისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიიჩნევს, რომ ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გა-მო:

სააპელაციო სასამართლომ განსახილველ საქმეზე დადგე-ნილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების სა-ფუძველზე, ლ. ლ-ე დაინიშნა „ა. ბ. ს-ო, შპს ა. ბ. ბ. კ-ის“ გენერალური დირექტორის მრჩევლად და განესაზღვრა ყოველ-თვიური ანაზღაურება 3000 ლარი (ხელზე ასაღები თანხა). შპს „ბ.ს №1 ჩ. ქ-ა“ ლ. ლ-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომა-რის მოადგილედ მუშაობის პერიოდში წარმოდგენდა მოპასუ-ხის შეინარჩუნებულ კომპანიას. აგრეთვე სს „ბ-ი“, ასევე იყო მოპასუ-ხის შეინარჩუნებულ კომპანია იმ პერიოდისათვის, როდესაც მოპა-სუხემ ლ. ლ-ეს დაავალა ამ საზოგადოების სამეთვალყურეო საბ-ჭოს წევრის მოვალეობის შესრულება. ალნიშნულზე მოსარჩე-ლებ უარი განაცხადა და მიუთითა, რომ ცოცხალი თავით არ გა-მოიცვლიდა სამუშაო ოთახს და რაიმე ინციდენტის შემთხვევა-ში იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ლ. ლ-ემ 2012 წლის 28 მაისის წერილით უარი განაცხადა სს „ბ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობების და დამსაქმებლის მითითებების (სამუშაო ადგილის არაარსებითი ცვლილება – ქ. ბორჯომში, თ-ის ქ. №39-ში მდებარე ოფისიდან გადასვლა იმავე ქალაქში ბ-ის ქ. №5-ში მდებარე ოფისში) შესრულებაზე. მოპასუხე შპს „ა. ბ. ბ. კ-ის“ გენერალური დირექტორის მიერ განემარტა მოსარჩე-

ლე ლ. ლ-ეს, რომ, თუ მას არ ჰქონდა სურვილი სს „ბ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულებისა, კომპანია არ იყო წინააღმდეგი, დაეკმაყოფილებინა მისი განცხადება განთავსუფლების თაობაზე. ლ. ლ-ე 2012 წლის 1 ივნისიდან სამსახურში არ გამოცხადდა ახალ სამუშაო ადგილას, ნაცვლად იმისა, რომ ჩატარებინა ძევლი სამუშაო ოთახი მოპასუხისათვის, ჩაკეტა იგი და თან წაიღო გასაღები; შემდგომში აღნიშნული სამუშაო ოთახი გაიღო კომისიური წესით. 2012 წლის 7 ივნისის №104/12 წერილით მოპასუხე ორგანიზაციამ მოსარჩელესთან შეზყვიტა შრომითი ხელშეკრულება „უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო“. ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი შედავება ზემომითითებული ფაქტების მიმართ არ წარმოდგენია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ საქმეზე ერთმანეთთან ორი დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობა გააიგივა.

მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის ყურადღება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა გამახვილდეს: კასატორი ვადიანი შრომის ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა გენერალური დირექტორის მრჩევლად მოპასუხე ორგანიზაციაში. იმსაცდროულად, ლ. ლ-ე იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შპს „ბ.ს №1 ჩ. ქ-ი“, რომლის 100%-იან წილს მოპასუხე ფლობს. „ა. ბ.ს“ გენერალური დირექტორის მიმართვით ირკვევა, რომ ლ.ლ-ე გათავისუფლდა შპს „ბ.ს №1 ჩ. ქ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან და დაინიშნა სს „ბ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, რომლის დომინანტი აქციონერია „ა. ბ..“ მოსარჩელემ უარი განაცხადა მითითებული თანამდებობის დაკავებაზე, რის შემდეგაც, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით, დამსაქმებელმა ვადამდე შეწყვიტა ლ. ლ-ან არსებული შრომის ხელშეკრულება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოპასუხე თავის შესაგებელში ლ. ლ-ის სს „ბ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევას განიხილავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოზე გადაყვანად. დავის სწორად გადაწყვეტისათვის პა-

სუხი უნდა გაეცეს კითხვას, ევალებოდა თუ არა შრომის ხელ-შეკრულების საფუძველზე ლ. ლ-ეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა და მის მიერ ამ თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმა იყო თუ არა შრომის ხელშეკრულების პირობების დარღვევა?

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მეწარმეთა შე-სახებ“ კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები, საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები არ წარმოდგენს შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამეწარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან წესრიგდება „მეწარმეთა შე-სახებ“ კანონის საფუძველზე (იხ. მაგ. სუსგ 3/კ259-01). საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. „მეწარმეთა შე-სახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით, მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა.შ); შესაბამისად, ლ. ლ-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დანიშნის საკითხი არ წარმოდგენს მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობის ნაწილს და არ გამომდინარეობს მათ შორის არსებული ხელშეკრულებიდან.

სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი დასკვნის საშუალებას არც თავად შრომის ხელშეკრულება იძლევა, კერძოდ, ხელშეკრულების 2.1-2.4 პუნქტებში ჩამოთვლილია დასაქმებულის ვალებულებები, რომლებიც მოიცავს კომპანიის მენეჯმენტისათ-

ვის რჩევის მიცემას კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მენეჯმენტის (მათ შორის, გენერალური დირექტორის) დახმარებას კომპანიისა და შვილობილი კომპანიების მართვაში. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ „დახმარების აღმოჩენა“, ამ შემთხვევაში, გულისხმობს მართვის პროცესში უშუალოდ მონაწილეობას ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავების გზით და აღნიშნავს, რომ მსგავსი განმარტების საშუალებას ხელშეკრულება არ იძლევა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კონსულტანტის ხელფასი (3000 ლარი ხელზე) ცხადყოფს, რომ ამ მოცულობის ანაზღაურება მხოლოდ რჩევების მიცემისათვის არ იქნებოდა გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო ვერც ამ მსჯელობას გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ, შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მიხედვით, შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის დასაქმებულის ხელფასს განსაზღვრავს დამსაქმებელი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, იმ ოდენობით, რამდენადაც მას ულირს ამ სამუშაოს შესრულება, მიუხედავად იმისა, რა სამუშაოს შესრულებას ითვალისწიებს შრომის ხელშეკრულება, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მაღალი ანაზღაურება მხოლოდ რჩევების მიცემისათვის არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული, დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დამსაქმებელმა ლ. ლ-ან დადებული შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას საფუძვლად შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი დაუდო, რომელიც (შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის მოქმედი რედაქციით) გულისხმობდა ერთ-ერთი მხარის მიერ შრომის ხელშეკრულების პირობების დარღვევას. საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე დაასაბუთა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ვალდებულება შრომის ხელშეკრულებით მონესრიგებულ საკითხს არ წარმოდგენდა და ცალკე სამართლებრივ ურთიერთობას მიეკუთვნებოდა, შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმა შრომის ხელშეკრულების დარღვევად ვერ მიიჩნევა, ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევაზე კი მოპასუხე არ მიუთითებს, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-

მართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე!“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება კი, ორი დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობის გაიგივებითაა განპირობებული, ამდენად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თავად მიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა. ბ. ბ. კ-ის“ მიერ ლ.ლ.-ან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა არამართლზომიერი იყო და ამდენად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

შრომის კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, ეს კანონი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.

იმავე კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კი, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის ვადიანი შრომის ხელშეკრულება იყო გაფორმებული, რომლის მოქმედების ვადა ამონურულია, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირვანდელი სამუშაო ადგილზე აღადგინა, ამ შემთხვევაში, შეუძლებელია და ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, მოპასუხებ მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია, რომელიც მოიცავს იმ შრომის ანაზღაურებას, რასაც დასაქმებული მიიღებდა ხელშეკრულება ვადამდე რომ არ შეწყვეტილიყო. შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, 2012 წლის 7 ივნისიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე მოსარჩელის მიერ ხელზე მისაღები თანხა 21000 ლარს შეადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავე კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

ვინაიდან, განსახილვებ შემთხვევაში, არ დაკმაყოფილდა ლ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნა პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის თაობაზე, ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, მოპასუხე მოსარჩელეს არ აუნაზღაურებს, ხოლო იძულებით მოცდენის პერიოდისათვის შრომის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ამასთან, ამ ნაწილში სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, ამდენად, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული კომპენსაციის, 21000 ლარის, 5%-ის – 1050 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი თ ა:**

1. ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
3. ლ. ლ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ა. ბ. ბ. კ-ის“ დაეკისროს კომპენსაციის სახით ლ. ლ-ის სასარგებლოდ მიუღებელი ხელფასის, სულ 21 000 ლარის გადახდა;
5. ლ. ლ-ის სარჩელი პირვანდელ სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. შპს „ა. ბ. ბ. კ-ის“ დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სა-

სარგებლოდ დაკისრებული კომპენსაციის, 21000 ლარის, 5%-ის – 1050 ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სამეურვეო საბჭოს თანხმობა, საბჭოს ნევრი მასწავლებლის გათავისუფლებისას

### განხილვა

№ას-952-895-2012

18 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-  
დგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

6. ს-მ სარჩელი აღდრა სასამართლოში სსიპ ქ. თბილისის №...  
საჯარო სკოლის მიმართ სსიპ ქ. თბილისის №... სკოლის სამეურ-  
ვეო საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის საოქმო გადაწყვეტილებები-  
სა და ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებ-  
ლის 2011 წლის 21 იანვრის № 1-05/5 ბრძანების ბათილად ცნო-  
ბის, სამუშაოზე აღდგენისა და 2011 წლის 24 იანვრიდან სასა-  
მართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაც-  
დურის – ყოველთვიურად 328,30 ლარის ანაზღაურების მოთ-  
ხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

1987 წელს მოსარჩელემ დამთავრა თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი და მიენიჭა ფილოლოგის, ინგლისური ენისა და  
ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია, შესაბამისად, მუ-  
შაობდა ქ. თბილისის №... სკოლაში ინგლისური ენისა და ლიტე-  
რატურის მასწავლებლად და იყო ამავე სკოლის სამეურვეო საბ-  
ჭოს თავმჯდომარე. 2011 წლის 21 იანვარს სამეურვეო საბჭოს  
სხდომის მიმდინარეობა, რომელზეც სკოლის დირექტორი არ  
ყოფილა მიწვეული, გააგრძელა დირექტორმა და აცნობა მოსარ-  
ჩელეს მისი სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, ასევე და-

აყენა საკითხი 6.ს-ს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადაყენების შესახებ, მიუხედავად 6.ს-სა და საბჭოს წევრების მიერ სხდომის დატოვებისა. ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის საოქმო გადაწყვეტილებით გაცემულ იქნა თანხმობა მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე, ხოლო დირექტორის 2011 წლის 21 იანვრის ბრძანებით შეუწყდა შრომითი ურთიერთობა.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის №4 სხდომის ოქმის თანახმად, სამეურვეო საბჭო 14 წევრისაგან შედგებოდა, სხდომის ოქმის №3 დანართის თანახმად, რომელიც ასევე 2011 წლის 21 იანვარსაა შედგენილი, საბჭოს გადაწყვეტილება კანონიერია, რადგანაც გადაწყვეტილების მიღებისას შედგა კვორუმი და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა 8 წევრი, შესაბამისად, მოსარჩელის არგუმენტი, რომ მან საბჭოს სხდომა ჩაშლილად გამოაცხადა, არასწორია, რადგანაც საბჭოს არც ერთ წევრს ამ საკითხზე თანხმობა არ განუცხადებია, ამასთანავე, საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის გამო, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით არჩეულ იქნა სხვა თავმჯდომარე და საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება. აღნიშნული კი განაპირობებს სამუშაოდან დათხოვნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების კანონიერებასაც. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ დასაქმებულის დათხოვნა მოხდა კანონის სრული დაცვით, არ არსებობს არც განაცდურის ანაზღაურების საფუძველი, ამასთანავე, მოსარჩელეს მიღებული აქვს კომპენსაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით 6. ს-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ნოემბრის განჩინებით 6. ს-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ: 2007 წლის 1 ნოემბერს სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლასა და 6. ს-ს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკ-

რულება; ამავე სკოლის დირექტორის 2011 წლის 21 იანვრის № 1-05/5 ბრძანების საფუძველზე, 2011 წლის 24 იანვრიდან სკოლის მასწავლებელ 6. ს-ს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება; მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 328,30 ლარს; 6. ს-ა იყო სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2011 წლის 16 თებერვლის № 3/59 წერილის თანახმად, №... საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში 2011 წლის 21 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა 15 წევრი, მათ შორის: 6 პედაგოგი, 6 მშობელი, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი, მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი. ასევე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 483 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სკოლის მანდატური სამეურვეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სათათბირო ხმის უფლებით მის უფლებამოსილებას მიკუთხნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

პალატის განმარტებით, 2011 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმზე დაფიქსირებული ხელმოწერებით დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭოს 8 წევრმა 6. ს-ს გათავისუფლების საკითხზე დააფიქსირეს თანხმობა. მოწმედ დაკითხული პირები 2011 წლის 21 იანვრისათვის მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრები არიან და ჩვენებაში დაადასტურეს 6.ს-ს გათავისუფლების საკითხზე გამოვლენილი მათი ნების ნამდვილობა. პალატა არ დაეთანხმა აპელანტის პრეტენზიას სამეურვეო საბჭოს ზოგიერთი წევრის მიერ მისი გათავისუფლების შესახებ საკითხის დადებით გადაწყვეტასთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ დ. მ-მა ჩვენებით დაადასტურა 2011 წლის 21 იანვრის ხელნაწერ ოქმზე მისი ხელმოწერის ნამდვილობა და პოზიცია იმის შესახებ, რომ დაეთანხმა 6. ს-ს სამსახურიდან გათავისუფლებას. ასევე ზ. ქ-ი, რომელიც, მართალია, ჩვენებაში მიიჩნევს, რომ 6. ს-ა არ უნდა გათავისუფლებულიყო სკოლიდან, მან ფაქტობრივად მხარი დაუჭირა 6. ს-ს გათავისუფლების შესახებ საკითხს. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ მოწმეთა ჩვენებები და 2011 წლის 21 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი შეიცავდა საბჭოს რვა წევრის (უმრავლესობის) მიერ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გამოვლენილ ნებას. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2011 წლის 16 თებერვლის № 3/59 წერილის საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ თბილისის №... საჯარო

სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა 2011 წლის 21 იანვრისათვის განსაზღვრული იყო 15 წევრით, შესაბამისად, 8 წევრის თანხმობა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის „ზე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამეურვეო საბჭოს თანხმობას წარმოადგენდა საბჭოს წევრ მასწავლებელთან, ნ. ს-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე. პალატამ აპელაციის პრეტენზია, რომ წერილობითი განცხადებით არ მიუმართავს სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭოსათვის ნ. ს-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხზე სამეურვეო საბჭოს თანხმობის მისაღებად და, რომ 2011 წლის 21 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომა მოწვეული იყო სხვა საკითხებთან დაკავშირებით და კრება ჩაიშალა, არ იქნა მიჩნეული გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოებად. სასამართლოს განმარტებით, მოცემული კატეგორიის დავებში მოქმედი პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით არ არის დადგენილი მტკიცების განსაკუთრებული სტანდარტი მასწავლებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების, სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევის შესახებ სამტკიცებლად. მასწავლებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების ან/და შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა), მათ შორის მოწმეთა ჩვენების, წერილობითი მტკიცებულებებით, ასევე მხარის ახსნა-განმარტების გამოყენებით. პალატამ მიუთითა მოწმედ დაკითხულ პირთა ჩვენებებზე, რომლებიც შეიცავდა მონაცემებს ნ. ს-ს მხრიდან სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევის შესახებ, ეს მოწმეები მოწვეული და დაკითხულ იქნენ თავად აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმე ლ. გ-მა, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს სხდომა ტარდებოდა ძალიან პატარა ოთახში, სადაც საბჭოს წევრები ვერც კი ეტეოდნენ. როდესაც ოთახში შედიოდნენ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, ნ. ს-ა მათ მიმართავდა, რომ „ასეთ გაურემონტებელ საკლასო ოთახში სწავლობენ თქვენი შვილებით“. 2011 წლის 21 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დასასწრებად შესულ სკოლის დირექტორს ნ. ს-მ მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით და მიუთითა, რომ მას არ ჰქონდა სხდომაზე დასწრების უფლება. ი. კ-ს ჩვენების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო სამეურვეო საბჭოს წევრი, ნ. ს-მ არ შეუშვა ერთ-ერთ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად. საბჭოს წევრი მას-

წავლებლები აღშფოთებული იყვნენ იმ გარემოებით, რომ არ იცოდნენ, თუ სად ტარდებოდა სამეურვეო საბჭოს სხდომა. ზე-მოალნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, პალატამ გა-იზიარა №... სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტება დირექტი-ასთან და სხვა პედაგოგებთან ნ. ს-ს დაძაბული ურთიერთობის შესახებ, ასევე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მისი მხრიდან ხდე-ბოდა გარკვეული სახის არასწორი ინფორმაციის გავრცელება დირექტიის საქმიანობის შესახებ, რათა გამოწვეულიყო უკმა-ყოფილება დირექტიის მიმართ. ამასთან, მიუხედავად სკოლის დირექტორის არა ერთი თხოვნისა, სამეურვეო საბჭოს სხდო-მები და მუშაობა ყოფილიყო გამჭვირვალე, ნ. ს-ა უგულებელ-ყოფდა დირექტორის თხოვნას.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის მე-2 მუხლით, პირველი მუხლის პირველი ნაწილით და, ვინაიდან დავა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოშობილ შრომით სამართლებრივ ურთიერთობას შეეხებოდა, ჩათვალა, რომ მასზე უნდა გავრცელებულიყო სპეციალური მოწესრიგე-ბა, დადგენილი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის „ზ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, უნდა დადგე-ნილიყო მითითებულ ნორმათა წინაპირობების არსებობა, ამას-თანავე, ვინაიდან სადაც ბრძანებაში მოსარჩელესთან შრომი-თი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად არას-წორად იყო მითითებული შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირ-ველი წანილის „დ“ ქვეპუნქტი, პალატის მოსაზრებით, ბრძანე-ბაში სამართლებრივი ნორმების არასწორი მითითება, მისი ბა-თილობის საფუძველს არ წარმოადგენდა. იმ დადგენილი გარე-მოების გათვალისწინებით, რომ სადაც ბრძანების მიღებასა და ნ. ს-სთან შრომის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვე-ტას, წინ უძლოდა ნ.ს-ს მხრიდან გარკვეული ქმედებები, სასა-მართლომ ჩათვალა, რომ აპელანტის ამ ქმედებათა შედეგად სკოლაში ყალიბდებოდა არაჯანსაღი გარემო. ამასთან, მიუხე-დავად სკოლის დირექტორის არაერთი თხოვნისა, სამეურვეო საბჭოს სხდომები და მუშაობა ყოფილიყო გამჭვირვალე, რაც უგულებელყოფილი იყო ნ. ს-ს მხრიდან. სასამართლომ ჩათვა-ლა, რომ არსებობდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართვე-ლოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „დ“ და „ზ“ ქვე-პუნქტებით, 35-ე მუხლის პირველი პუნქტით, ასევე 50-ე მუხ-ლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობები, სკოლის დირექტორს, როგორც სასწავლო-სააღ-მზრდელო პროცესის წარმართვასა და სკოლის მართვაზე პა-სუხისმგებელ პირს უფლებამოსილება ჰქონდა ნ.ს-სთან შეეწ-

ყვიტა შრომითი ურთიერთობა, ამასთანავე, სადაც ბრძანების მიღების მომენტისათვის სკოლის დირექტორს ჰქონდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამეურვეო საბჭოს თანხმობა საბჭოს წევრ მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, ამასთან, ვინაიდან არ არსებობდა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებისა და სსიპ ქ.თბილის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა ასევე სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. ს-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ ეყრდნობა სათანადო მტკიცებულებებს, არასწორადაა განსაზღვრული 2011 წლის 21 იანვრის მდგომარეობით ქ.თბილის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, ამასთან, სასამართლომ არსწორად ჩათვალა, რომ კასატორის სამუშაოდან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას სამეურვეო საბჭოს კვორუმი შედგა. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ 2011 წლის 21 იანვარს ქ.თბილის №... საჯარო სკოლაში ჩატარდა სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომლის მონვევის პროცედურაც დაცული იყო. არასწორია პალატის მსჯელობა, რომ სამეურვეო საბჭო არ არის ვალდებული, დაიცევას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, რომ სკოლის დირექტორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან მასწავლებელი და, რომ არ არის საჭირო სამეურვეო საბჭოსათვის წინასწარ მიმართვა სავალდებულო, აღნიშნულით დაირღვა ადმინისტრაციული წარმოების წესი, დაკავშირებული განცხადების განხილვასთან, რომელიც რეგულირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 76-ე, 78-ე, 79-ე, 95-ე, 96-ე, 98-ე, 104-ე, 110-ე მუხლებით, აღნიშნული დარღვევის გამო, ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილისა და 54-ე მუხლის თანახმად, არსებობს სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის ოქმისა და მისი №3 დანართის ბათილად ცნობის საფუძველი. გარდა აღნიშნულისა, დირექტორის გადაწყვეტილებით ირლვევა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი-

თა და შრომის კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი. საქ-მის მასალებით დასტურდება და არც ერთ მხარეს სადავოდ არ გაუხდია, რომ სკოლაში მომუშავე ინგლისური ენის 14 მასწავლებლიდან ყველაზე მეტი, 20-საათიანი კვირეული დატვირთვა მხოლოდ კასატორს ჰქონდა და სწორედ ის იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, მხოლოდ მას წაერთვა შრომის უფლება და მის მიმართ გამოვლინდა დისკრიმინაციული დამოკიდებულება, აღნიშნული კი აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ 1960 წლის 15 დეკემბრის კონვენციით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შრომის კოდექსით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორის გათავისუფლების საკითხს მხარი სამეურვეო საბჭოს წევრთა საჭირო რაოდენობამ არ დაუჭირა, რაც გამორიცხავს ასეთი თანხმობის მიღებულად მიჩნევას, ამასთან, 2011 წლის 21 იანვრის ოქმის №3 დანართის თანახმად, საბჭომ თანხმობა განაცხადა საბჭოს თავმჯდომარე ნ.ს-ს თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სამეურვეო საბჭო არ წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს, მხარი დაუჭიროს საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებას. აღნიშნულით სამეურვეო საბჭომ, ერთი მხრივ, უგულებელყო კანონი, ხოლო, მეორე მხრივ, გადაამეტა მის უფლებამოსილებას, რის გამოც ეს გადაწყვეტილება №3 დანართთან ერთად ბათილია, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილისა. 2011 წლის 21 იანვრის საოქმო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ სამეურვეო საბჭომ შრომითი ურთიერთობა შეუწყვიტა პედაგოგს, რისი უფლებამოსილებაც არა მას, არამედ სკოლის დირექტორს გააჩნდა, რაც ასევე ოქმის ბათილად ცნობის საფუძველია, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა. საყურადღებოა ასევე, რომ სამეურვეო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების №3 დანართი ურთიერთნინააღმდეგობრივია, შესაბამისად, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემულ თანხმობად, აღნიშნული კი განაპირობებს სკოლის დირექტორის 2011 წლის 21 იანვრის №1-05/5 ბრძანების ბათილად ცნობას. სადავო ბრძანების მიღებით სკოლის დირექტორმა ასევე დაარღვია „საჯარო სკოლის დირექტორსა და მას-

წავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების „შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლის მოთხოვნები, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ვალდებულებები მასწავლებელთან ხელშეკრულების მომლამდე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მხარის მიერ მითითებული ზემოაღნიმნული გარემოებები, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონი, რაც მიღებული გადაწყვეტილების 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებისა და ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია, ამასთანავე, გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება სასამართლოს მიერ დაკვიდრებულ პრაქტიკას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით 6. ს-ს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ 6. ს-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ნოემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება სამართლის ნორმები დარღვეულად, ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანი-

ლი. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სა-აპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქ-ტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამარ-თლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასა-ბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სა-აპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობ-რივი გარემოებები:

2007 წლის 1 ნოემბერს სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკო-ლასა და ნ. ს-ს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. მო-სარჩელის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება შეადგენდა 328,30 ლარს. მოსარჩელე იმავდროულად იყო სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში 2011 წლის 21 იანვრის მდგომარეობით ირიც-ხებოდა 15 წევრი, მათ შორის: 6 პედაგოგი, 6 მშობელი, ადგი-ლობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი, მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი და საქართველოს განათ-ლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი. ასე-ვე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 483 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სკოლის მანდატური სამეურ-ვეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სათათბირო ხმის უფლე-ბით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან და-კავშირებით.

2011 წლის 21 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სამე-ურვეო საბჭოს 8 წევრმა ნ. ს-ს გათავისუფლების საკითხზე და-აფიქსირა თანხმობა. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის პრეტენზიას სამეურვეო საბჭოს ზოგიერთი წევრის მიერ მისი გათავისუფლების შესახებ საკითხის დადებით გადაწ-ყვეტასთან დაკავშირებით იმ საფუძვლით, რომ დ. მ-მა ჩვენე-ბით დაადასტურა 2011 წლის 21 იანვრის ხელნაწერ ოქმზე მისი ხელმოწერის ნამდვილობა და პოზიცია იმის შესახებ, რომ დაე-თანხმა ნ. ს-ს სამსახურიდან გათავისუფლებას. ასევე ზ. ქ-ი, რომელიც, მართალია, ჩვენებაში მიიჩნევს, რომ ნ. ს-ა არ უზდა გათავისუფლებულიყო სკოლიდან, მან ფაქტობრივად მხარი და-უჭირა ნ. ს-ს გათავისუფლების შესახებ საკითხს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოწ-მეთა ჩვენებები და 2011 წლის 21 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი შეიცავდა საბჭოს რვა წევრის (უმრავლესობის) მიერ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თა-ობაზე გამოვლენილ ნებას.

პალატამ აპელანტის პრეტენზია, რომ წერილობითი განცხა-

დებით არ მიუმართავს სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭოსათვის 6. ს-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხზე სამეურვეო საბჭოს თანხმობის მისაღებად და, რომ 2011 წლის 21 იანვრის სამეურვეო საბჭოს სხდომა მოწვეული იყო სხვა საკითხებთან დაკავშირებით და კრება ჩაიშალა, არ იქნა მიჩნეული გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოებად.

პალატამ მიუთითა მოწმედ დაკითხულ პირთა ჩვენებებზე, რომლებიც შეიცავდა მონაცემებს 6. ს-ს მხრიდან სკოლის შინაგანანესის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. მიუხედავად არა ერთი თხოვნისა, სამეურვეო საბჭოს სხდომები და მუშაობა ყოფილიყო გამჭვირვალე, 6. ს-ა უგულვებელყოფდა დირექტორის თხოვნას.

სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებობდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, ასევე 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი ნინაპირობები, სკოლის დირექტორს, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვასა და სკოლის მართვაზე პასუხისმგებელ პირს უფლებამოსილება ჰქონდა 6.ს-სთან შეწყვეტია შრომითი ურთიერთობა, რაც განხორციელდა 2011 წლის 21 იანვრის №1-05/5 ბრძანების საფუძველზე, რომლითაც მოსარჩელესთან 2011 წლის 24 იანვრიდან შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან არ არსებობდა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებისა და სსიპ ქ.თბილის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის საფუძველი, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა ასევე სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ნინაპირობები.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან როგორც საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე, რაც გამოიხატება მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე. შესაბამისად, საკასაციო პრეტენზიების მართებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურ-

ვეო საბჭოს უფლებამოსილებები. მითითებული კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად, უზრუნველყოს მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადება და შესრულება. ხოლო, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკავილიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში, ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ საბჭოს წევრ მასწავლებლთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნამდვილობისათვის კანონმდებელი აწესებს დამატებით მოთხოვნას, რაც ასახულია 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში და რომლის თანახმადაც, ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია სამეურვეო საბჭოს თანხმობა. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ანალოგიური დავების გადაწყვეტისას საქართველოს შრომის კოდექსთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, როგორც სპეციალური კანონი, თუმცა, ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, მოსარჩევესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ სადაც ბრძანების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემონმების თაობაზე. რაც შეეხება სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმებს, ისინი დამოუკიდებლად რაიმე იურიდიულ შედეგს არ წარმოშობენ მოსარჩევესთან მიმართებაში. საკასაციო პალატა მოიშველიებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის განმარტებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ სადაცოდ გამხდარი ბრძანება, არ არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული აქტი, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი არ აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს მოსარჩელის უფლებებსა და მოვალეობებს, შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით სხვა ელემენტების არსებობაზე მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.

მხარეთა შორის სადაცო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე 6. ს-ა ნარმოადგენდა სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკო-

ლის სამეურვეო საბჭოს წევრს და იმავდროულად თავმჯდომარეს. შესაბამისად, მასთან, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრ მასნავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შწყვეტისათვის აუცილებელი იყო სამეურვეო საბჭოს თანხმობა. კასატორი როგორც სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში, ასევე საკასაციო საჩივარში განმარტავს, რომ სამუშაოდან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას სამეურვეო საბჭოს კვორუმი არ შემდგარა. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს დ. მ-ის, ზ. ქ-ისა და უ. მ-ის სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებებზე, სადაც ეს უკანასკნელი განმარტავენ შემდეგს: დ. მ-ი – „ხელნაწერი ოქმის შედგენის დროს დარბაზში არ ვიმყოფებოდი და არ ვიცი ვინ შეადგინა. იმ სხდომაზე ხელნაწერი ოქმის გარდა სხვა ოქმი არ მინახავს. სხდომის თავმჯდომარის და მდივნის არჩევას არ დავსწრებივარ. ფაქტია, რომ ჩემი ხელმოწერით დავეთანხმე 6. ს-ს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებას“; ზ. ქ-ი – „2011 წლის 21 იანვარს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დაგვიანებით მივედი, სხდომა დაწყებული იყო უკვე. სხდომაზე რომ მივედი ქალბატონი ლ. დ-ა საუბრობდა და 6. ს-ს მიუთითებდა კანონის მუხლებს და უთხრა, რომ გათავისუფლებული იყო. მას შემდეგ სხდომა დატოვა 6. ს-მ რამდენიმე წევრთან ერთად. მის შემდეგ მეც დავტოვე სხდომა და სიგარეტის მოსაწევად გავედი გარეთ. ავბრუნდი ისევ, რომ საქმის ვითარება გამეგო, შედგა ოქმი და ხელი უნდა მოგვეწერა. მე ამ დროს ჩემი აზრი დავაფიქსირე, როცა თავმჯდომარე და მდივნი არ არის, ქმედებები უკანონი იყო, რადგან თავმჯდომარე და სხდომის მდივანმა სხდომა დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ უკანონოდ ვთვლიდი ხელი მაინც მოვაწერა ოქმს, მაგრამ მისი შინაარსი უცნობია ჩემთვის. მეორე სხდომის ოქმის შესახებ ჩემთვის არ არის ცნობილი, ჩემი ხელმოწერა რომელ ოქმზეც არის გაკეთებული იმ ოქმს ვიცნობ მხოლოდ. 6. ს-ს მასნავლებლობიდან გათავისუფლების შესახებ საკითხი დაყენებული იყო თუ არა ჩემთვის უცნობია, რადგან სხდომაზე განიხილებოდა მხოლოდ მისი თავმჯდომარეობიდან გათავისუფლება, რაზედაც ალვნიშნე, რომ უკანონი იყო“; უ. მ-ი – „სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ამ ხელნაწერი ოქმის გარდა სხვა ოქმი არ შედგენილა. ჩემი ხელმოწერით მხარი დაუჭირე 6. ს-ს სამსახურიდან გათავისუფლებას“. მონმეთა ამ ჩვენებებიდან რადიკალურად განსხვავდება მოპასუხე საჯარო სკოლის წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განმარტება, სადაც აცხადებს შემდეგს: „თანხმობა სამეურვეო საბჭოს წევრებს სთხოვა ს-სთან, როგორც პედაგოგთან შრომითი ხელ-

შეკრულების მოშლის შესახებ. ოქმებში იკვეთება ეს აშკარად რომ წევრებს აცნობა ხელშეკრულების მოშლის შესახებ როგორც პედაგოგთან. მონაბეჭი ადასტურებენ, რომ დირექტორი, რომელიც შევიდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, მან განაცხადა, რომ ის უწყვეტდა ხელშეკრულებას ს-ს, როგორც პედაგოგს და არა როგორც სამეურვეო საბჭოს წევრს". საინტერესოა ასევე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლ. დას სასამართლო სხდომაზე გაკეთებული ახსნა-განმარტება, სადაც აცხადებს შემდეგს: „მე არ მქონდა მისი როგორც თავმჯდომარის გადაყენების უფლება 37 „დ“ პუნქტით, მქონდა მისი გათავისუფლების უფლება". საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა სწორი შეფასებიდან, კერძოდ, ბუნდოვანია რა მტკიცებულებებზე დაყრდობით მივიდა სააპელაციო პალატა იმ დასკვნამდე, რომ სამეურვეო საბჭოს უმრავლესობამ (8 წევრმა) დააფიქსირა თანხმობა 6. ს-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, მაშინ როდესაც 8 წევრიდან სამი წევრი უარყოფს ხელნაწერი ოქმის გარდა სხვა ოქმის შედეგენას, ასევე 6. ს-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღებას. აღსანიშნავია, ასევე ის გარემოება რომ სსიპ ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის სხდომის ოქმი, რომლითაც დაფინდა მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, არ შეიცავს ამ სხდომაში მონაწილე წევრთა ხელმოწერებს, რასაც სათანადო შეფასება არ მისცემია. ამდენად ზემონიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა სამეურვეო საბჭოს ქვირუმთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო მიუთიერებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგი აისახება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იზიარებს ან რატომ უარყოფს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას.

ამასთან, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა ნიშნავს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობას, არამედ მათ ერთობლიობაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთშეჯვერების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები, რასაც შედეგად საქმის გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება.

საკასაციო პალატა დასაბუთებულად ვერ მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციის ფაქტს. მხოლოდ იმ გარემოებებზე მითითება, რომ სკოლის დირექტორის ბრძანება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ან ინგლისური ენისა და ლიტერატურის 14 მასნავლებლიდან მხოლოდ მასთან შეწყდა შორიმითი ურთიერთობა, არ არის საკმარისი ამგვარი დასკვნის გავეთებისათვის, ვინაიდან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს შრომის კოდექსი არ იცნობს დისკრიმინაციის ამგვარ შემადგენლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უხდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განსილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ამის შემდგომ

უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა საქართველოს ორგანული კანონის – საქართველოს შრომის კოდექსისა და განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. ს-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპირელი

### სანივთო სამართალი

პირადი უფლებების დაცვა .....	3; 9
ხანდაზმულობის ვადა სახელშეკრულებო მოთხოვნებზე .....	29
ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა .....	29
ცვლილებების შეტანა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში .....	43
მოჩვენებითი და ოვალომაქცური გარიგებანი .....	56
უკანონო ხელშეშლის აღკვეთა .....	75
გირავნობის საგნის გასხვისება .....	86
საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას	
წარმოშობილი ურთიერთობები .....	95

### შრომის სამართალი

შრომითი ხელშეკრულების გავრძელება	
განუსაზღვრელი ვადით .....	106
შრომითი ხელშეკრულების დარღვევის გამო	
პირგასამტებლოს დაკისრება .....	117
შრომითი ხელშეკრულების მოშლა .....	130; 145
სამუშაოზე აღდგენა .....	154
მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება .....	169
სამეურვეო საბჭოს თანხმობა, საბჭოს წევრი	
მასწავლებლის გათავისუფლებისას .....	180

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 2982103  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)